

The international scientific peer  
reviewed journal

საერთაშორისო სამეცნიერო  
რეცენზირებადი ჟურნალი

GULANI

გულანი

Akhaltsikhe ახალციხე

2021

Samtskhe-Javakheti State University

24

GULANI

Linguistics, Literature Studies, History and Education

**Editor:**

Maka Beridze, Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Editor Council:**

**Linguistics:**

Inga Rhtidze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Jerard Gavanakhi**, Limerikis Technological Institute, Ireland

**Klodin Blokhi**, Freeburg University, Switzerland

**Karmen Alen Garabato**, Montphel Paul Valer University, France

**Literary Studies**

Nestan Sulava (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Cornelia Horn**, The Martin Luther University of Halle-Wittenberg, German

**Natalia Sokolovskaia**, Literary scholar, writer, Russia

**Onomastics**

Merab Beridze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Mustafa Shenel**, Kafkas University, Georgia

**Paata Tskhadaia**, Tbilisi State University, Georgia

**Igor Kekelia**, Georgia

**Education**

Irma Kurdadze (**Editor**) Samtskhe-Javakheti State University, Georgia

**Zakaria Furtskhvanidze**, Franfurt Goethe University, German

**Ronda Sopher**, Gorgon Education Academy Collage, Israel

**Anzor Barkalaia**, Tartu University, Estonia

# 24

## გულანი

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, განათლება

**მთავარი რედაქტორი:**

მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**სარედაქციო საბჭო:**

### ენათმეცნიერება

ინგა ლუტიძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**ჯერარდ გაგანაჰი**, ლიმერის ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ირლანდია  
**კლოდინ ბლოხი**, ფრიბურგის უნივერსიტეტი, შვეიცარია  
**კარმენ ალენ გარაბატი**, მონტფელერის პაულ ვალერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

### ლიტერატურათმცოდნეობა

ნესტან სულავა (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**კორნელია ჰორნი**, ჰალე-ვიტენბერგის მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტი, გერმანია

**ნატალია სოკოლოვსკაია**, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, რუსეთი

### ონომასტიკა

მერაბ ბერიძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**მუსტაფა შენელი**, კავკასიის უნივერსიტეტი, თურქეთი  
**პაატა ცხადაია**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
**იგორ კეკელია**, საქართველო

### განათლება

ირმა ქურდაძე (რედაქტორი), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

**ზაქარია ფურცხვანიძე**, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი, გერმანია  
**რონდა სოფერი**, გორდონის განათლების აკადემიის კოლეჯი, ისრაელი  
**ანზორ ბარკალაია**, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი

*УДК (უკ) 81+82+93/94+37*  
**UDC**    *გ 936*

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: *ნინო კარკაძე*

მდივანი: *მანანა იოსელიანი*

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

საგამომცემლო ჯგუფი: *ლარისა გურგენიძე*  
*ლია ზედგინიძე*

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021  
ISSN 1987-6157

*იგორ კეკელია*

*ისტორიის დოქტორი, ფოთის №15 საჯარო სკოლის პედაგოგი*

**ტოპონიმი ჯგერელია//ჯგირელია და ქრისტიანული  
ღვთისმსახურების ენა ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ  
საქართველოში**

***მოკლე შინაარსი***

წინარექრისტიანულ და ქრისტიანულ ხანაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, დღეს აფხაზეთად სახელდებულ ტერიტორიაზე ბერძნული კოლონიების არსებობისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ბერძენთა საქმიანი, სავაჭრო, პოლიტიკური, რელიგიური ურთიერთობების პირობებში, ყოველი ენა და განსაკუთრებით დიდი კულტურის მქონე ბერძნული ენა, გავლენას ახდენდა ადგილობრივი ხალხის ენაზე. ცხადია, პირველი ქრისტიანი მქადაგებლები – ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრის-აფხაზეთში, ბერძნულად ეწეოდნენ პროპაგანდას და, ა. ბაქრადის მოსაზრებით, ამასთანავე, ყოველთვის ცდილობდნენ დამწერლობისა და მწიგნობრობის შექმნას ადგილობრივ ენაზე, რადგან ხალხისათვის ქრისტეს მოძღვრების მშობლიურ, ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე ქადაგება ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია.

დამოწმებული და გაანალიზებული წერილობითი წყაროებით, საზოგადო ლექსიკით და ტოპონიმებით ნათელი ეფინება იმ ფაქტს, რომ IV-IX საუკუნეებში ბიზანტიის ძლიერი პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის ქვეშ მყოფი კოლხეთის შავიზღვისპირეთში, საეკლესიო ღვთისმსახურება, ბერძნული ენის პარალელურად, ფრაგმენტულად მაინც, ადგილობრივ, კოლხურ (ზანურ) ენაზეც მიმდინარეობდა. არც ისაა გამორიცხული, რომ საოჯახო თუ საეკლესიო განათლების წყალობით კოლხეთის ადგილობრივი ელიტარული საზოგადოება ბერძნულს, როგორც ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ

საშუალებას, ძალიან კარგადაც ფლობდა, რამაც განაპირობა ყველაზე აუცილებელი საღვთისმეტყველო, ქრისტოლოგიური ტერმინების გადმოღება კოლხურში, თარგმნის, კალკირების ან მშობლიური ენის წიაღში ეკვივალენტების მოძიების გზით.

თქმულის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ტოპონიმი **ჯგერილია//ჯგირელია** „წმინდა ელია“ – მინდვრისა და წყაროს სახელწოდება ეკის მთის კალთაზე, სოფ. საჩიქობავოში (სენაკის მუნიციპალიტეტი).

**საკვანძო სიტყვები:** ტოპონიმი, ეკლესია, ღვთისმსახურება, ენა, ქდავება, ქრისტოლოგია, სტატუსი, პოლიტიკა.

*Igor Kekelia*

*Doctor of History, teacher of Poti public school №15*

## **TOPONYM JGERILIA // JGIRELIA AND THE LANGUAGE OF CHRISTIAN SERVICES AND EARLY MIDDLE CENTURIES IN THE WEST GEORGIA**

### *Abstract*

In pre Christian and Christian period in East Black Sea, now days Abkhazia, on the reality of existence of Greece colonies and market, political, religion and business attitude between local population, language and especially the Greece Language had force on the local population speech. It is fact that first predictor Andrew the first and Simon from Canaan, in the west Georgia, in Egrisi and Abkhazia according A. Bakrdze, having the homily in Greece and at the same time they were trying to create written language on the base of local spoken language for the reason that to predict Christianity in local language was the priority for Christian ancestors. In the sources we base it is fact that IV-IX centuries in Colkhети which was under Byzantium, church service in parallel of Byzantium was in local Kolch (Zan) language. It is not surprising that local clique was using the Greece language as a language of communication with Greece people. So the existence of meaningful terms in church services confirm above mentioned fact. The confirmation of above mentioned fact is toponyms Jgerilia // jgerelia “saint Elia” as a geographical name of the valley and source in the village Sachikobave (Senaki municipality).

**Key Words:** Toponyms, Church, Services, Language, preach, Christology.

**შესავალი.** ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ბიზანტიის იმპერიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა კავკასიის ადრეფეოდალურ სახელმწიფოებთან (ქართლი, ეგრისი, არმენია, ალბანეთი), რამდენადაც ბიზანტინიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ქრისტიანობა წარმოადგენდა. ბიზანტიის ისტორიაც მკვლევართა უმეტესობის მიერ IV ს-დან იწყება. აქედან მოყოლებული XV საუკუნემდე, გარკვეულ პერიოდებში, საქართველოს ცალკეული რეგიონები ან ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა, ან მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა; ხან ერთმანეთს მტრობდნენ, ხან კი მშვიდობიანი და მრავალმხრივი კონტაქტები ჰქონდათ. მუდმივცვალებადი ვითარების მიუხედავად, ამ ორ სამყაროს შორის არც ერთ საუკუნეში არ მოშლილა კულტურული ურთიერთობები და სულიერი ფასეულობებისადმი ერთგულება. ამის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ბიზანტიურმა წყაროებმა საქართველოს შესახებ (ბიზანტია..., 2010: 3-4).

**მსჯელობა.** საყურადღებოა ის გარემოება, რომ აფხაზეთში გაბატონებული ბერძნული ენა სწორედ აფხაზთა დინასტიის მიერ შეიცვალა ქართული ენით, რომელსაც, როგორც სახელმწიფო ენას, დაეკისრა სამწერლობო, საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციები. IX-X სს-მდე დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით საგრძნობი იყო ბიზანტიის პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-კულტურული გავლენა, სადაც ქართულს, როგორც საეკლესიო მღვდელმსახურებისა და რამდენადმე სახელმწიფო ენას, ბერძნული ენა ეცილებოდა (ცხადაია, „ქართველური ონომასტიკა“, 2004, 215, და იქვე მითითებული ლიტ-რა: თოთაძე, 1995: 57; დანელია, 1983: 242; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე: კეკელია, 2017: 183).

პ. ცხადაია იმოწმებს ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, რომ 325 წელს, ნიკეაში გამართული მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ტრაპეზუნტისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსები „მხოლოდ ბერძნულ მოსახლეობას კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მთელ მოსახლეობას, როგორც ბერძნულს, ისე ადგილობრივ

მკვიდრ მოსახლეობას“, და რომ „ქართლშიც კი „მოქცევის“ პირველ ხანებში მღვდელმსახურებას ბერძნულ ენაზე აწარმოებდნენ კონსტანტინოპოლიდან მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურები“ (გეორგიკა, 1961: 6, 9). ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებულ მძლავრ რიტორიკულ სკოლაში განათლება მიღებული ფილოსოფოსი თემისტოსი აღნიშნავს, რომ კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული სწავლა-განათლება და კულტურა და კოლხებს ელინთა დღესასწაულებშიც უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით და რიტორიკით (მაკალათია, 1992: 59). პ. ცხადაიას ნიშანდობლივად ეჩვენება აგათია სქოლასტიკოსის ცნობა VI საუკუნეში გუბაზ მეფის მკვლელობისასამართლო პროცესთან დაკავშირებით, რომ ბრალმდებელ დარბაისელ კოლხებს უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა (ცხადაია, 2004: 217; მაკალათია, 1992: 52).

კითხვაზე – როგორი იყო კონკრეტულად ბიზანტიის პოლიტიკური, კულტურული და ეკლესიური გავლენა (თუ ბატონობა) ზღვისპირეთში? – პასუხის გასაცემად პ. ცხადაიას მის მიერ ნაშრომში გაანალიზებულ მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროს და სამეცნიერო ლიტერატურას სამ ვარიანტად აჯგუფებს:

ა) IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოში, უფრო ზუსტად, კოლხეთის სანაპირო ზოლზე, სახელმწიფო და ღვთისმსახურების ენა იყო ბერძნული;

ბ) ბიზანტიის გავლენა ეგრისში განსაკუთრებით იგრძნობოდა VI-VII სს-ში, როცა ადგილობრივი საეპისკოპოსოები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს;

გ) კოლხეთში ბერძნული ენის სტატუსზე გამოთქმული ერთი მოსაზრების მიხედვით (ბ. დიასამიძე), ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნეში და, მამასადაძმე, ეგრისის სამეფოში თავიდანვე სახელმწიფოსაკანცელარიო ენას ადგილობრივი, ზანური, ან მისი განაყოფი ენა – ქართული წარმოადგენდა, ხოლო ღვთისმსახურების ენა IV საუკუნის დასასრულიდან მაინც იყო ქართული ენა. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ლიხთიქითში მდებარე ორ პოლიტიკურ ერთეულში, კერძოდ, აფხაზეთსა და ლაზეთში მდებარე ქრისტიანულ ეკლესიას კონსტანტინოპოლის პატ-



რიარქი მართავს და მას ამარაგებს მქადაგებლებით – მოძღვრებით („პაპებით“) (ბერძენიშვილი, 1990: 596-597).

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბერძნული ენის ფართოდ გავრცელების მაუწყებელია აქ აღმოჩენილი და შესწავლილი ბერძნული წარწერებიც. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ბიჭვინთის ტაძრის იატაკის შემადგენელ ადგილზე გამოსახული მოზაიკური მედალიონი, ქრისტეს სახელის საწყისი ორი ბერძნული ასოს მონოგრამით: X და P, და წარწერით: „მე ვარ ალფა და ომეგა, დასაწყისი და დასასრული, ამბობს უფალი“ (ანჩაბაძე, 1964: 225). ციხისძირში ნაპოვნია აბანოს მოზაიკის ფრაგმენტი, ბერძნული წარწერით: „უფალო შემეწიე“ (იხ. ინაიშვილი, 1993: 114; ჭუმბურიძე, 2010: 28). 2001 წელს ქართულ-ინგლისური ექსპედიციის წევრებმა ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, საპარადო შესასვლელის მარჯვენა მხარეს, გამოავლინეს ქვაში გამოკვეთილი ჯვრის მარცხენა მკლავი, ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით, რაც აკად. თ. ყაუხჩიშვილისა და ლონდონის სამეფო კოლეჯის ძველი ბერძნული ეპიგრაფიკის სპეციალისტის, შარლოტა როჩეს მიერ III-IV სს-ით არის დათარიღებული. წარწერა არსებული მონაცემების მიხედვით ასე იკითხება: „...ავრელიუსმა მიანიჭა (ან პატივი სცა)... მონა (ღვთისა)...“ (ლომიტაშვილი, 2003: 196-198). წებელდის IV საუკუნის ვერცხლის მედალიონზე გვხვდება ბერძნული წარწერა: „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“. დასავლეთ საქართველოში პირველი ქართულ ენოვანი ეპიგრაფიკული წარწერა – გუდაუთის რაიონის სოფ. სანაპიროს მახლობლად, შავი ზღვიდან 3 კმ-ზე, მდ. წკუარას ხეობაში, მსიგზუას მთაზე მდებარე მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევების ე.წ. „მიქაელის წარწერა“, რაც კერამიკული კალიპტერების ანტიფიქსებზეა შესრულებული, მხოლოდ IX ს. განეკუთვნება (სილოგავა, 1980; მიბზუანი, 1999; ახალაძე, 2010: 6); VII ს-ის „ქუთათისის საყდრის“ გათხრებისას აღმოჩენილ, ჯვრის გამოსახულებიან ანტიფიქსზე შესრულებულ ქარაგმიან წარწერას („გაბრიელი“) ო. ლანჩავა ტაძრის თანა დროულად მიიჩნევს და VII ს-ით ათარიღებს (ლანჩავა, 2007: 151). ქართული ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქართულის

გაბატონება სწორედ IX-X საუკუნეებიდან იწყება, რასაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა VII-VIII სს-ში ეგრისის გაქართუბული ნაწილების – აჭარის, გურიის, ქვემო იმერეთის წარმოქმნა (მაკალათია, 1992: 220).

მთელი ზემოთ მოყვანილი მასალა, - დასძენს პაატა ცხადაია, - სადავოს ხდის ტარიელ ფუტკარაძის დებულებას, რომ V საუკუნეში ყველა ქართული სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა მაინც სალიტერატურო ქართულია (იქვე; ფუტკარაძე, 2000: 330-331). მკვლევარი არ იზიარებს ბ. დიასამიძის იმ თვალსაზრისს, რომ ბერძნული, როგორც ღვთისმსახურების ენა, დასავლეთ საქართველოში გამოიყენებოდა მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, პირველ ათწლეულებში (დიასამიძე, 1999: 101).

ბერძნული ენის, კულტურისა და ქრისტიანობის რამდენიმე საუკუნოვანმა მძლავრმა დაწოლამ ასახვა ჰპოვა კოლხურის (და სვანურის) ლექსიკაში, რაც განპირობებული იყო ბერძნულთან უშუალო კონტაქტით. ამ ასპექტით მრავლისმეტყველია ბერძნული **სტაუროს** („ჯვარი“) სიტყვის სვანურ ენაში პირჯვრის წერის გამომხატველი **სტარუნ** – სინტაგმის სახით პოვნეირება.

მეგრულში უშუალოდ ბერძნულიდან ნასესხები სიტყვების არსებობაზე ყურადღებას ამახვილებს თ. გვანცელაძეც. მკვლევარს საინტერესოდ ესახება ის გარემოება, რომ აფხაზურის მიერ მეგრულიდან ნასესხებ ტერმინთა შორის არსებული ბერძნული წარმოშობის ფუძეები მეგრულში უშუალოდ ბერძნული ენიდანაა ნასესხები, ანდა ქართული სალიტერატურო ენის შუამავლობით დამკვიდრებულა მასში (გვანცელაძე, 2000: 58; მსჯელობისათვის იხ. ცხადაია, 2004: 221).

პროფ. გ. როგავას დაკვირვებით, სვანურსა და მეგრულში ზეპირი გზით არაერთი სიტყვაა ნასესხები ბერძნულიდან (ე. წ. გრეციზმები). კერძოდ, სვანურში: **ცხემად** „მშვილდ-ისარი“, თხერე „მგელი“, **ფამლი** „მონა, შინაყმა“, **მალე** „ძლივს, ოღნავ“; ზანურში: **თხოლო** (ქართ. **თხლე**); მეგრულში: **ქულა** „კოჭლი“, **ბორო** „სულელი“, **კაბეტი** „დიდი“, **ბებელი** „უწმინდური“, „ძაღლის განავალი“, **კუნტა** „მოკლე“, კოტო „ქოთანა“;

**დოფა** „ღველფი“, „ლადარი“, **დირე** „დვირე, სახლის ძელი“, **ცომი** (ქართ. ცომი) და სხვ. (როგავა, 1975).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მეგრულში დღეს არსებულ, ბერძნულიდან მომდინარე ლექსიკურ ერთეულებში ორ ჯგუფს გამოყოფენ: ადრეულ, ახ. წ. V საუკუნემდეელ ნასესხობებს, რომელთა რაოდენობაც ცოტაა, და რაოდენობრივად მეტ, გვიანდელ ნასესხობებს. ადრე ნასესხებადაა მიჩნეული კოლ-ხურში (მეგრულში) ბერძნული სიტყვები: **საბატონი** „შაბათი“, ლაზ. **ბუმი** „ძუძუ“, მეგრ. **ბორია** „ქარი“, მეგრ. **ბორქომი** „ბოქლომი“, ლაზ. ანგი „ჭურჭელი“ და სხვ. (მსჯელობისათვის იხ. დანელია..., 1991: 593-594). ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს რამდენიმე სიტყვა, რომელნიც მეგრულს უშუალოდ ბერძნულიდან შეუთვისებია ანტიკურ ან ელინისტურ ხანაში. ესენია, **კერასი** „რქა; რქისაგან გაკეთებული რამე“, მეგრულში **ქერაზი** ფორმით შესული („რქის სასაპნე, რაც ურმის უკანა ჭალზეა დაკიდებული“), **ორგია** (ბერძნულში აღნიშნავს მანძილს განზე გაშლილი ხელების ბოლოებს შორის, ხოლო მეგრულში ამ სიტყვით აღნიშნება ცურვის ერთ-ერთი სახე, კერძოდ, მხარული – ცურვა გაშლილი მკლავის მოსმით). წარმართობის დროს უნდა შემოსულიყო ბერძნულიდან ზეპირი გზით სიტყვა **ანთარე** „ამაღლებული“ (ა. ქობალიას მიერ **ანთარი** განმარტებულია როგორც „მესაქონლეობისა და ნადირთა მფარველი, ქთონური სული, მეგრული მითოსის პერსონაჟი“. შდრ. იქვე, **ანთარკარი** „ანთარის სალოცავი“, ქობალია, 2010, 38). მეგრულში **ჟინი ანთარს** უწოდებენ უმაღლეს ღვთაებას, რომელსაც მსხვერპლს სწირავდნენ და საქონლის მფარველობას შესთხოვდნენ (ცხადაია, 2004: 222).

კოლხეთში იბერიისაგან ქრისტიანობის დამოუკიდებლად მიღებას ადასტურებს მეგრულ-ჭანურში არსებული, ქართული-საგან განსხვავებული ქრისტოლოგიური ტერმინებიც: **ქისე** (ქრისტე) „შობა“, **თანაფა** „თენება“, „აღდგომა“ (ა. ქობალიას განმარტებით, **თანაფა** ეწოდება „აღდგომას, თენებას; ღამის-თევას“. იხ. ქობალია, 2010: 312), **ოხვამე** „სამლოცველო“, „ეკლესია“. ა. ქობალია განმარტავს: „**ოხვამე** სამლოცველო; სასაფლაო; საგოდებელი“; **ოხვამე დო ოწანაფე** ლოცვისა და რწმენის საგანი; სალოცავი და სამსხვერპლო; ტაძარი და ბომონი“;

**ოხვამეკარი** სამლოცველო, სალოცავი ნიში; კარის საყდარი“... (ქობალია, 2010: 558). ალ. ჭინჭარაულის აზრით, ბერძნული **ხომ** ფუძის მნიშვნელობაა „ხვეწნა, ლოცვა-ვედრება“, რაც ზანურ-სვანურ რეგიონებში ალბათ, შავიზღვისპირეთის ხანგრძლივი კოლონიზაციის დროს უნდა შემოსულიყო და დამკვიდრებულიყო, სადაც მას სალოცავი ტაძრის მნიშვნელობა მიუღია. სამეგრელოში მრავლად გვხვდება **ხომ-//ხვამ-** ძირით ნაწარმოები ტოპონიმები: **ნაოხვამენი, ნაოხვამერი, ნაოხვამკირდე, ნაოხვამტყა, ნაოხვამფერდი, ნახვამერი, ნახვამუ, მიოხვამუ//ჯეგეშ გილახვამუ, ოხვამე, ოხვამერი, ოხვამური, ოხვამე კარი, ოხვამეფერდი** და სხვ. მრ. „ვვიქრობთ, ბერძნული და ზანურ-სვანური სიტყვების როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური დამთხვევა აშკარაა და ამ სიტყვის ბერძნულიდან ნასესხობა ექვსის საფუძველს არ ტოვებს“, - წერს იგი (იხ. ჭინჭარაული, 1998: 207), პაპა (ბერძნ.-ლათ. „მღვდელი“) (შდრ. ა. ქობალია: „პაპა მღვდელი, ხუცესი“; პაპალა მღვდლობა, ხუცობა, სამღვდელოება“; **პაპაშუქვი** მღვდლის უქმი, საეკლესიო უქმე“... ქობალია, 2010: 561 და სხვ; დანელია, 1983:196).

პ. ცხადაია განიხილავს რამდენიმე საკუთრივ კოლხურ ტერმინს, მაგალითად, **მარაშინას** „მარიამობას“. ყველა სხვა შემთხვევაში მეგრულში წმინდანის ხსოვნის დღე აღინიშნება ქართულიდან შეთვისებული **-ობა** სუფიქსიანი სიტყვებით: **გერგობა** (გიორგობა), **თერდობა** (თევდორობა), **პეტრობა** (პეტრეპავლობა), **ბარბალობა** და ა.შ. (შდრ. ა. ქობალია: „-ობა ობა, დღეობის აღმნიშვნელი ნაწილაკი (გერგობა, ელიობა)“; იხ. ქობალია, 2010: 529).

რალა მაინცდამაინც მარიამობის ნაცვლად გვაქვს **მარაშინა**, რაც სიტყვასიტყვით „მარიამის ხსენებას“ ნიშნავს? ამ კითხვის პასუხად პ. ცხადაია შენიშნავს, რომ ასე გაუაზრებიათ კოლხებს ბერძნული „**ტა პანაგეიას**“, „**კოიმესის ტეს თეოტოკონ**“. ეს გარემოება მკვლევარს იმის დასტურად ესახება, რომ **მარ(ი)აშინა** მეგრულ-ლაზთა წინაპრებს უშუალოდ ბერძნულიდან გადმოუღიათ ლაზიკის ორ ერთეულად – სამეგრელოდ და ჭანეთად გათიშვამდე (ე.ი. გურია-აჭარის წარმოქმნამდე), რაც ემთხვევა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებას ბიზანტიური ენის, კულტურისა და ქრისტიანობის

გავლენისაგან და ქართული ეკლესიისადმი დაქვემდებარებას... „აღდგომა სიტყვას არაფერი უშლიდა ხელს, რომ კოლხურს იგი ქართულიდან სხვა ქრისტოლოგიური ტერმინების (სახარება, მოციქული, ნათვლა, ნათლისმცემელი, წირვა, მაცხოვარი, წმინდა...) მსგავსად შეეთვისებინა, მაგრამ კოლხურში მას უკვე დახვდა ჯერ კიდევ წარმართული დროიდან მომდინარე და ამჯერად ქრისტოლოგიურ ტერმინ „ანასტასის“-ის ეკვივალენტად ჩათვლილი და გააზრებული **თანაფა**, ე. ი. **თენება**... ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა კოლხ წინაპრებს გაუაზრებიათ როგორც ცისკრის მოვლინება, როგორც ნათლის დადგომა, ანუ გათენება მთელი კაცობრიობისათვის, რაც აღინიშნა კიდევ **თანაფა** „გათენება“ ლექსებით, რომელიც შეენაცვლა ბერძნულ ქრისტოლოგიურ ტერმინ **ანასტასის**-ს. „როგორც ჩანს, – წერს პაატა ცხადაია, – ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში, ე.ი. სანამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია ბერძნული ეკლესიის გავლენას განიცდიდა (IX საუკუნემდე), ზოგი ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი ბერძნულიდან კოლხურ ენაზე იქნა გადმოღებული და დამკვიდრებული ზეპირ მეტყველებაში, თარგმნის, კალკირების ან ეკვივალენტის მოძიების გზით, მაგალითად, **ოხვამე** („ეკლესია, სალოცავი“), **თანაფა** („აღდგომა“), **მარაშინა** („მარიამობა“), **ჯგირი** („წმინდა, წმინდანი“), **პაპა** („მღვდელი“) და სხვ.“ (ცხადაია, 2004: 226). თქმულის დასტურად პ. ცხადაია მიიჩნევს ტოპონიმ **ჯგირ ელიას** „წმინდა ელიას“ – მინდვრისა და წყაროს სახელწოდებას ეკის მთის კალთაზე, სოფ. საჩიქობავოში (სენაკის მუნიციპალიტეტი). გ. ელიავა „ეკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში წყაროს სახელწოდებად დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე იმოწმებს ტოპონიმ **ჯგერ ილიას** და ინფორმანტ დ. ადამიას განმარტებას: წყარო სადაც ამოდის, იქვე იკარგება. აქ წინათ ლოცვა სცოდნიათ (იხ. ელიავა, 1989: 83).

ეპითეტ **ჯგირის** ძველი მნიშვნელობის დასადგენად მკვლევარი იმოწმებს აგრეთვე ფუტკრისა და თაფლის წარმართულ სახელ **ჯგარაგუნას/ჯგერაგუნას** „კეთილ აგუნას“ (ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ ჯგერაგუნა განმარტებულია როგორც წმინდა აგუნა; ფუტკრის მფარველი ღვთაება და მისთვის ლოცვა, სრულდებოდა ამაღლება დღეს. **ჯგერაგუნამ**

**ხვამა** ფუტკრისთვის ლოცვაა. ამდღების დღეს, წაბლის ან ბლის ქვეშ, შინ ან ხატის ტყეში ლოცულობდნენ, თაფლის სანთლით, თაფლაკვერით და სანთლის არყით (იხ. ქობალია, 2010, 736). მეგრულ მეტყველებაში დამოწმებულ ზოგ სიტყვაშიც **ჯგირ-** ფუძე „კეთილის“ აღნიშვნელია. მაგალითად, **მოჯგირე** „მოკეთე“, „ნათესავი“, **ჯგირობუა** „სიკეთე, ბედნიერება; ყოვლიკეთილი“ (ცხადაია, 2004: 226-227). **ჯგირი** მეგრულში აღნიშნავს „კარგს“, „ბედნიერს“. მაგალითად, **ჯგირ დო სქვამი** „კარგი და მშვენიერი“, **ჯგირ დო ფური** „ავ-კარგი“, **ჯგირმახორო** „კარგად მოსახლე“, **ჯგირმორთა** „კარგი მოქცევა მთვარისა“, **ჯგირ ნერჩი** „კარგი ფუძე, საფუძველი“, **ჯგირო** „კარგად“, **ჯგირშე ჯგირი** „კარგზე კარგი“, **ჯგირ კიდირიში** „მკერდბედნიერი“, **ჯგირ ხეში** „ხელმარჯვე, ხელბედნიერი“, **ჯგირ მორსკულაშ დუნაბადი** „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული“. მაგრამ, ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, **ჯგირი** მეგრულში „კეთილის“ შესატყვისიცაა: **ჯგირ დღა** „დღეკეთილი; დღეკეთილობა“, **ჯგირიშ მაკეთებელი** „კეთილისმქმნელი“, **ჯგირიშ მორაგადე** „კეთილად მომხსენებელი“, **ჯგირიშ მაზალებერი** „კეთილისმსურველი“.

ა. ქობალიას სალექსიკონო მასალების მიხედვით, **ჯგირი** მეგრულში აღნიშნავს კარგს, კეთილს; წმინდას, წმინდანს. ამავე მნიშვნელობისაა **ჯეგე**, რაც წმ. გიორგის ეპითეტიცაა. **ჯეგე**, **ჯგერგე** აგრეთვე წმ. გიორგის აღნიშნავს. შდრ. **ჯეგეთა** „წმინდა მთა, წმ. გიორგის მთა“; **ჯეგეთეიროსანი** „წმ. გიორგი თოროსანი“, **ჯეგე მარიამი** „წმ. მარიამი“; **ჯეგე მისარი** „წმ. მირსა“; **ჯეგე მისარონი** „წმ. მირსა, წარმართული ღვთაება (შინაური საქონლისა და მონადირეთა მფარველი)“; „წმ. გიორგი მოისარი“, **ჯეგე ჩეცხენამი** „წმ. გიორგი თეთრ-ტაიჭოსანი“; **ჯეგე ხანგარამი** „წმ. გიორგი ლახვროსანი (შუბოსანი)“ (ქობალია, 2010: 737). მაშასადამე, **ჯგირი**, **ჯგეგე** ფუძიანი ტერმინები თუ ტოპონიმები ცხადყოფს, რომ ქართული სალიტერატურო-საეკლესიო ენიდან „წმინდა“ ეპითეტის ათვისებამდე, ამავე მნიშვნელობით ბერძნული „აგიოს“-ის ეკვივალენტად კოლხურში უკვე დამკვიდრებული იყო „ჯგირი“ (ცხადაია, 2004: 228).

პაატა ცხადაიას აზრით, ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაში დადასტურებული სვანური სუბსტრატი თვალსაჩინოდ ადასტურებს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ბიზანტიური (ბერძნული) ეკლესიის დომინანტობის პერიოდში სვანებისა და მეგრელების თანაცხოვრებას (ცხადაია, 2004: 229). სწორედ ამ დროს უნდა შეეთვისებინა სვანურ ენას წმ. გიორგის მეგრული ეკვივალენტი **ჯგირი გივარგი**, რასაც საბოლოოდ **ჯგვრაგ** ფორმა მოუცია (ცხადაია, II, 2004: 229).

რომელ ენაზე იქადაგეს ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა კოლხეთსა და მესხეთში? ვფიქრობთ, გასაზიარებელია პ. ცხადაიას პასუხი ამ კითხვაზე: უეჭველია, ადგილობრივ ენებზე (კოლხურსა და ქართულზე). მკვლევარი იმოწმებს მ. თამარაშვილის თვალსაზრისს, რომელიც მოციქულთა ცხოვრების ერთ-ერთ ავტორზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ მოციქულები წარმატებით ლაპარაკობდნენ იმ ენაზეც, რომელიც გასაგები იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის (იქვე, 230; და იქვე მითითებული ლიტ-რა: თამარაშვილი, 1992: 83). ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ქრისტიანობის ისტორიის თანახმად, მისიონერობის აუცილებელი საკონტაქტო პირობა იყო ადგილობრივი ენის თუნდაც ზერელედ ცოდნა. ქართლშიც, IV საუკუნემდე, – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, და შემდგომაც, თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, ბერძენი მღვდელმსახურების მიერ წირვა-ლოცვა და სხვა რიტუალები ერთდროულად ბერძნულ და ქართულ ენებზე აღესრულებოდა.

მისაღებია პ. ცხადაიას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „კოლხეთში ქრისტეს მოძღვრების, თავდაპირველი ქადაგების, ბიჭვინთისა და ტრაპეზუნტის საეპისკოპოსოების პროპაგანდისტული მოღვაწეობის პირობებში და შემდგომაც, თვით IX საუკუნემდე, კოლხეთის ეკლესიებში ღვთისმსახურება ბერძნულ და, სავარაუდოა, გარკვეულწილად, კოლხთა ენაზეც მიმდინარეობდა. სწორედ ამ პერიოდში ბერძნულიდან ზეპირი გზით გადმოღებული (თარგმნით, კალკირებით, ეკვივალენტის მისადაგებით) ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი გავრცელდა კოლხეთის მოსახლეობაში და დღემდე შემორჩა საზოგადო ლექსიკასა და ტოპონიმიაში...“ (ცხადაია, 2004: 230).

სამწუხაროდ, ზოგი მკვლევარი შეეცადა პ. ცხადაიას ამ დასკვნაში კუთხურ-ენობრივი მიკერძოება და ისტორიის გაყალბების მცდელობა დაენახა, მაგრამ მკვლევარი მათ უსაფუძვლო ბრალდებებს შემდეგი კითხვებით მიმართავს: 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთისა და ტრაპეზუნტის კათალიკოსები განა მხოლოდ ბერძენი ლეგიონერების სახელით მონაწილეობდნენ? ან: **რა ენაზე უნდა ჩატარებულიყო ღვთის მსახურება IV საუკუნეში ბიჭვინთისა** (სადაც აღმოჩენილია ფრაგმენტები ბერძნულ-ლათინური წარწერებისა) **და ციხე-გოჯში აშენებულ ეკლესიებში, რომ იგი გასაგები ყოფილიყო ადგილობრივ მორწმუნეთათვის – კოლხთათვის**, თუკი ამ პერიოდში ქართლშიც კი ის-ის იყო იწყებოდა ქრისტიანული ლიტურატიურის თარგმნა, ეკლესიების აშენება, და ღვთისმსახურება, ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბება? (ცხადაია, 2004: 230-231).

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოე-სავლეთ შავიზღვისპირეთის, დღეს აფხაზეთად სახელდებულ ტერიტორიაზე ბერძნული კოლონიების არსებობისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ბერძენთა საქმიანი, სავაჭრო, პოლიტიკური, რელიგიური ურთიერთობების პირობებში, ყოველი ენა და განსაკუთრებით დიდი კულტურის მქონე ბერძნული ენა, გავლენას ახდენდა ადგილობრივი ხალხის ენაზე. ცხადაია, პირველი ქრისტიანი მქადაგებლები – ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრის-აფხაზეთში, ბერძნულად ეწეოდნენ პროპაგანდას და, ა. ბაქრაძის მოსაზრებით, ამასთანავე, ყოველთვის ცდილობდნენ დამწერლობისა და მწიგნობრობის შექმნას ადგილობრივ ენაზე, რადგან **ხალხისათვის ქრისტეს მოძღვრების მშობლიურ, ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე ქადაგება ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია**. ეს პირდაპირ არის ნათქვამი კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეში (თავი 14, მუხლი 21): „**რამეთუ სჯულსა წერილ არს, ვითარმედ უცხოდა ენითა და ბაგითა უცხოდა ვეტყოდე ერსა ამას და არცაღა ესრეთ ისმინონ ჩემი, იტყვის უფალი**“. აკაკი ბაქრაძე იმოწმებს პავლე მოციქულის სხვა განმარტებასაც: თუ უცხო ენაზე ვლოცულობ, მართალია,



სული ჩემი ილოცავს, მაგრამ ჩემი გონება რჩებაო უნაყოფოდ. „ამიტომ ქრისტიანობა ზრუნავდა ამა თუ იმ ხალხის მშობლიურ ენაზე მწიგნობრობის ასაღორძინებლად. ამიერკავკასიის ქვეყანაში ქრისტიანობას ეს პრინციპი არ დაურღვევია“ (ბაქრაძე, 1989).

ა. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ უძველეს ქრისტიანულ ცენტრებში – ბიჭვინთასა და ახალ ათონში, ეკლესიისა და მწიგნობრობის ენა ქართული იყო, რასაც იმის უტყუარ საბუთად მიიჩნევდა, რომ ამ რეგიონის (იგულისხმება აფხაზეთის) ძირითადი მოსახლეობის მშობლიური ენა ქართული იყო, რის გამოც ქართული გახდა საეკლესიო ენაც (იქვე).

დამოწმებული და გაანალიზებული წერილობითი წყაროებით, საზოგადო ლექსიკით და ტოპონიმებით ნათელი ეფინება იმ ფაქტს, რომ IV-IX საუკუნეებში ბიზანტიის ძლიერი პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის ქვეშ მყოფი კოლხეთის შავი ზღვის პირეთში, საეკლესიო ღვთისმსახურება, ბერძნული ენის პარალელურად, ფრაგმენტულად მაინც, ადგილობრივ, კოლხურ (ზანურ) ენაზეც მიმდინარეობდა. არც ისაა გამორიცხული, რომ საოჯახო თუ საეკლესიო განათლების წყალობით კოლხეთის ადგილობრივი ელიტარული საზოგადოება ბერძნულს, როგორც ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას, ძალიან კარგადაც ფლობდა, რამაც განაპირობა ყველაზე აუცილებელი საღვთისმეტყველო, ქრისტოლოგიური ტერმინების გადმოღება კოლხურში, თარგმნის, კალკირების ან მშობლიური ენის წიაღში ეკვივალენტების მოძიების გზით (ცხადაია, 2004: 229; მსჯელობისათვის იხ. კეკელია, 2017: 193-194).

საკითხის გარშემო მსჯელობისას საგულისხმოდ გვეჩვენება აგრეთვე ჰოლანდიელი მეცნიერის – ი. ვან-ოორთის მიერ საერთაშორისო სიმპოზიუმზე („ადრექრისტიანობა და საქართველო“) წარმოდგენილი მოხსენების („ებრაული დიასპორის როლი ქრისტიანობის დამკვიდრებაში“) დასკვნა, რომ II საუკუნის დასასრულს და, შესაძლოა, უფრო ადრეც, კართაგენის სინაგოგაში სეპტუაგინტა ბერძნულად იკითხებოდა და დაუყოვნებლივ ითარგმნებოდა ლათინურად, რათა ყველასთვის გასაგები ყოფილიყო (იხ. კეკელია, 2017: 137, 145).

მე სიტუაცია ისე წარმომიდგენია, როგორც სამეგრელოში ჩვენი წინამორბედნი შესწრებიან ნახევარი საუკუნის წინათ: ეკლესიაში წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, მაგრამ სახლში დაბრუნებული მოხუცები ხატის წინაშე წმინდანს შეწევნასა და პატიებას მეგრულად შესთხოვდნენ, რელიგიურ რიტუალებს მეგრულად ასრულებდნენ (ასეთივე სიტუაცია გვაქვს დღესაც).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ხალხსა და ეკლესიას შორის გადაულახავი ბარიერი აღმართეს კომუნისტებმა, ბიბლიისა და მოძღვრის სწავლა-დარიგების გარეშე გაზრდილი ქრისტიანების მთელი თაობები სახლში ინერციით ასრულებდნენ გარკვეულ რელიგიურ რიტუალებს და თავიანთი სიტყვებით მიმართავდნენ უფალს, მშობლიურ ენაზე წარმოთქვამდნენ მარტივ ლოცვებს. შდრ. ერთ-ერთი სოციოლინგვისტური გამოკითხვის შედეგი: „ჭ. ქ. (40: 36: 40: 41) თი იხვამანქ სინ, ქორთულო იჩიებუქო ხვამას, ლოცვას თუ მარგალურო? /აი, რომ ლოცულობ შენ, ქართულად ამზობ ლოცვას თუ მეგრულად?/

ნ. ბ. (40: 41: 40: 44) მუს იხვამა ასე, ვარა, მარგალურო, მაგალთო /რას ვლოცულობ მე ახლა, მაგრამ მეგრულად, მაგალითად/.

წ. ქ. (40: 44: 40: 45) მუჭო თქუა, მაგალთო? /როგორ იტყვი, მაგალითად?/

629-631. ნბ (40: 45: 40: 51: 56) ღორონთი, დიხვამუ სკან სახელქ, ღორონთი... თენა, გოუტიბინე ჩქიმ ოჯახის, ჩქიმ სკუა ლეფს. ასე, იხვამანდუ ჩქიმ მუანთილი, ვარა მა მუს იხვამა, ასე იშენდოიშენი /ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი, ღმერთო... ეს... მიეცი წყალობა ჩემს ოჯახს, ჩემს შვილებს. ახლა, ილოცებოდა ჩემი მამამთილი, თორემ მე რას ვილოცები ახლა მაინცდამაინც/.

632. ჭ. ქ. (40: 59: 41: 04) ღორონთი გუტიბინე ჩქიმ ოჯახის ამდლარ ხვამა... /ღმერთო, წყალობა ჰქონდეს /გაუთბე/ ჩემს ოჯახს დღევანდელი ლოცვით.../.

650. ჭ. ე. (42: 07: 42: 12) **ეკლესიაში მინურქუნ, თექ ხოლო მარგალურო თქუანქო?** /ეკლესიაში რომ შედიხარ, იქაც მეგრულად ამბობ?/.

651. ნბ (42: 12: 42: 14) **მარგალურო ფთქუანქ** /მეგრულად ვამბობ/.

652 წ. ე. (42: 14: 42: 14: 16) **ოხვამემა მინურქუნ, თექ მუჭო თქუა?** /სალოცავში რომ შედიხარ, იქ როგორ იტყვი?/.

653-656. ნბ. (42: 16: 42: 19-42: 24: 42: 29) **თექ ხოლო თემ ფთქუანქ ასე, ღორონთი დიხვამუ სკანი სახელქ...** მარიამ ღვთისმშობელი, სკან სახელი ხვამელი, ახა, ღორონთი, სკან ძალა დო სკან ტიბინი ქიმეშიჩი ჩქიმ ოჯახის, ჩქიმ მოთა დო სკუაშა, ახანინ, ათეს ფთქუანქ, მარგალურო ფთქუანქ /იქაც ასე ვიტყვი ახლა, ღმერთო, დაილოცა შენი სახელი... მარიამ ღვთისმშობელო, დაილოცოს შენი სახელი, ჰო, ღმერთო, შენი ძალა და წყალობა მიეცი ჩემს ოჯახს, ჩემს შვილიშვილსა და შვილს, ჰო, ამას ვიტყვი, მეგრულად ვიტყვი/.

657. ჭ. ე. (42: 29: 42: 30) **ქორთულო ვარ** /ქართულად არა/.

658. ნბ. (42: 30: 42: 32) **ქორთულო მუშე ფთქუა ასე იშენ დო იშენი** /ქართულად რატომ ვიტყვი ახლა მაინცდამაინც/...

679. ჭ. ე. (43: 49: 43: 50) **„მამაო ჩვენო“ ვაიჩქუნო?** /„მამაო ჩვენო“ არ იცი?/.

680. ნბ. (43: 50: 43: 50) **„მამაო ჩვენო“ ჭიჭე მიჩქუ, ბრელი ვარ.** არძა ვამიჩქუ „მამაო ჩვენო“ /„მამაო ჩვენო“ ცოტა ვიცი, ბევრი არა, ყველა არ ვიცი „მამაო ჩვენო“/“ (იხ. გაბუნია..., 2010: 110-112).

ვფიქრობთ, თქმულში მეტ სიცხადეს შეიტანს XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოში ჩამოსული გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის თვალთ დანახული საეკლესიო ლიტურგიის ამსახველი ვითარება სამეგრელოში. აიხვალდი წერს: „მე უცნაურად მომეჩვენა, რომ ყველგან, სამეგრელოს ეკლესიებში, ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ასრულებდნენ, რომელსაც სრულებით არავითარი მსგავსება არა აქვს მეგრულთან; ამასთან, ისინიც კი, რომელთაც ქართული არ ესმით, ყველანი დადიან ეკლესიებში და ასეთები ცოტანი არ არიან. განსაკუთრებით ქალებს არ გაეგებათ ქართული ენა, ან და ცოტაოდენი სიტყვები იციან. მე ვადასტუ-

რეზიდი ჩემს გაცემას, რომ მეგრულ ენაზე არ არის თარგმნილი არც სახარება და არც ზოგიერთი ლოცვანიც კი...“ (აიხვალდი..., 2005: 190).

რასაკვირველია, აიხვალდს ვერ მოვთხოვთ ლინგვისტური ქართველოლოგიის პრობლემური საკითხების ღრმა ცოდნას, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანელი მოგზაური პირუთვნელად გვიხატავს მისი დროის სამეგრელოს ეკლესიებში არსებულ სიტუაციას. აიხვალდი, როგორც ციტირებული ტექსტიდან ჩანს, გაცემას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მეგრულ ენაზე არც სახარება იყო თარგმნილი და არც ზოგიერთი ლოცვანიც კი; თუმცა სამოგზაურო ჩანაწერებში ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიღებულ პასუხსაც გვთავაზობს: მოგზაურისთვის განუცხადებიათ, რომ ლოცვის მეგრულად თარგმნა უფრო მეტად დაცინვის (სიცილის) საბაზი გახდებოდა, ვიდრე შესმენის, რადგან ქრისტიანული რელიგიის ასამაღლებლად მეგრულ ენას არ გააჩნია მაღალფარდოვანი სიტყვებიო... (აიხვალდი..., 2005: 190).

ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკურია, დაისვას კითხვა: თუკი XIX საუკუნის I მესამედში ისეთი ვითარებაა, რომ სამეგრელოს ეკლესიებში მრევლს ქართული ენისა არა გაეგებოდა რა, და ქართულის ცოდნა, აიხვალდის თქმით, განსაკუთრებით უცხო იყო მეგრელი ქალებისთვის, რა სიტუაცია უნდა გვქონოდა ქრისტიანული ლიტურგიის ან ქადაგების თვალსაზრისით ახ. წ. III-IV საუკუნეების კოლხეთში (ქალაქ ფაზისთან უმაღლესი რიტორიკული სკოლა-აკადემიის არსებობის ჟამს), ან თუნდაც VIII-IX საუკუნეებში (ეგრის-აფხაზეთში ბიზანტიის პოლიტიკურ-რელიგიური და ენობრივი ექსპანსიის პერიოდში), თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა, „ბერძნულყოფილი“ საეკლესიო ცენტრების დაარსება, ბიზანტიური კათედრების (ფაზისი//ფოთი), ნიკოფსია, სებასტოპოლისი/ცხუმი, როდოპოლისი//ვარდციხე, საისენე//ცაიში, პეტრა//ციხისძირი, ზიგანევი//გუდაყვა) ქართული საეპისკოპოსოებით „მოცვლა“ (ჩანაცვლება) თუ ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქართულის გაბატონება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე IX-X საუკუნეებიდან ივარაუდება?!

ჩემი აზრით, პასუხი ცალსახა შეიძლება იყოს: III-IV საუკუნეებში, ქალაქ ფაზისის უმაღლეს ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში, ბიზანტიელი ფილოსოფოსის – თემისტოსის სიტყვებით (IV ს.) სასწავლებლად, ადგილობრივებთან ერთად, ბერძნებიც ჩამოდიოდნენ. თვით თემისტოსს და მის მამას – ევგენიოსს, ფილოსოფიური განათლება ამ სკოლის კედლებში მიუღიათ. ფაზისის ელინურ ტაძარში გამოწრთობილი ადგილობრივი მკვიდრნი ხშირად იმარჯვებდნენ ბერძნებზე რიტორიკული ოსტატობით.

საგულისხმოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ თემისტოსის სიტყვებში „პონტოს ნაპირზე, ფაზისის მახლობლად“ მდებარე რიტორიკული სკოლა მოიხსენიება როგორც „ელინური და მუზათა ტაძარი“, სადაც, სწავლება, ბუნებრივია, მიდიოდა უცხოელი ასიმილატორების ენაზე. თუმცა ამით როდი გამოირიცხება ელინურის პარალელურად ადგილობრივ, კოლხურ (მეგრულ) ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობაც. მეცნიერებაში არსებული ერთ-ერთი თვალსაზრისი, ბერძნული (ბიზანტიური) ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ იარაღად ქართული ენისა და კულტურის გამოყენების შესახებ, ნაკლებ სავარაუდოდ მეჩვენება, ვინაიდან, ახ. წ. VIII-IX სს. ლაზიკის სამეფოში მეგრულენოვან მოსახლეობასთან ერთად ქართულენოვანი მოსახლეობის რაიონებისა (იმერეთი, გურია, აჭარა) და, შესაბამისად, ურთიერთენობრივი გავლენის არსებობის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ამ დროისთვის ქართულის გავლენა ლაზიკის ადგილობრივ ან უცხოელ ასიმილატორთა (ბერძენთა) ენაზე მაინც უმნიშვნელო იყო.

ის ფაქტი, რომ მეგრელები და სვანები ისტორიის ასპარეზზე გამოირჩევიან საერთო-ეროვნულ კულტურასა თუ ქართულ სამწერლო ენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილით, განპირობებულია მოგვიანო ხანის მოვლენებით, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებით ბიზანტიური ენის, კულტურისა და ქრისტიანობის გავლენისაგან და ერთიანი ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ცენტრების ქართული ეკლესიისადმი

(„ქართლის საკათალიკოსო“) დაქვემდებარებით (მსჯელობისათვის იხ. კეკელია, 2017: 146-150).

**დასკვნის სახით:** დამოწმებული და გაანალიზებული წერილობითი წყაროებით, საზოგადო ლექსიკით და ტოპონიმებით ნათელი ეფინება იმ ფაქტს, რომ IV-IX საუკუნეებში ბიზანტიის ძლიერი პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის ქვეშ მყოფი კოლხეთის შავიზღვისპირეთში, საეკლესიო ღვთისმსახურება, ბერძნული ენის პარალელურად, ფრაგმენტულად მაინც, ადგილობრივ, კოლხურ (ზანურ) ენაზეც მიმდინარეობდა. არც ისაა გამორიცხული, რომ საოჯახო თუ საეკლესიო განათლების წყალობით კოლხეთის ადგილობრივი ელიტარული საზოგადოება ბერძნულს, როგორც ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას, ძალიან კარგადაც ფლობდა, რამაც განაპირობა ყველაზე აუცილებელი საღვთისმეტყველო, ქრისტოლოგიური ტერმინების გადმოღება კოლხურში, თარგმნის, კალკირების ან მშობლიური ენის წიაღში ეკვივალენტების მოძიების გზით. თქმულის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ტოპონიმი **ჯგერილია//ჯგირელია** „წმინდა ელია“ – მინდვრისა და წყაროს სახელწოდება ეკის მთის კალთაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. საჩიქობავოში.

#### **დამოწმებული ლიტერატურა:**

აიხვალდი..., 2005: ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო გააგელაშვილმა. თბ., 2005.

ახალაძე, 2010: ლ. ახალაძე, აფხაზეთის წერილობითი ძეგლები. გაზ. „ჩემი აფხაზეთი“, ოქტომბერი, 2010.

ბაქრაძე, 1989: ა. ბაქრაძე, უმეცრება თუ პროვოკაცია? „ლიტერატურული საქართველო“, 31 მარტი, 1989.

ბერძენიშვილი, 1991: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990.

ბიზანტია..., 2010: ბიზანტია ქართულ წყაროებში. თბ., 2010.

გაბუნია..., 2010: კ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში. თბ., 2010.

გეორგიკა, 1961: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, თბ., 1961.

გვანცელაძე, 2000: თ. გვანცელაძე, ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. ჟურნ. „არტანუჯი“, 10, 2000.

დანელია, 1983: ვ. დანელია, ზოგიერთი ქრისტოლოგიური ტერმინის შესახებ. წგნ. ქართული სამწერლო ენისა საკითხები, თბ., 1983.

დანელია..., 1991: მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები. წგნ. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II. ზღაპრები და მცირე ჟანრები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს ვ. დანელიამ და ა. ცანავამ. თბ., 1991.

დიასამიძე, 1999: ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში. ბათ., 1999.

ელიავა, 1989: გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია. თბ., 1989.

თამარაშვილი, 1992: მ. თამარაშვილი, წმინდა ანდრია მოციქული საქართველოში. ჟურნ. „რელიგია“, №1-2, 1992.

თოთაძე, 1995: ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა – ისტორია და თანამედროვეობა. თბ., 1995.

ინაიშვილი, 1993: ნ. ინაიშვილი, ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1993.

კეკელია, 2017: ი. კეკელია, პაატა ცხადაია – ქართველური ონომასტიკის მოჭირნახულე. ქუთ., 2017.

ლანჩავა, 2007: ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია. ქუთ., 2007.

ლომიტაშვილი, 2003: დ. ლომიტაშვილი, ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII - ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისის-ნოქალაქევი), სადოქტორო დისერტაცია. თბ., 2003.

მაკალათია, 1992: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1992.

მიბჩუანი, 1975: თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა. თბ., 1999.

სილოგავა, 1980: ვ. სილოგავა, ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, წ. II. თბ., 1980.

ფუტკარაძე, 2000: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის დინამიკისათვის. ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთ., 2000.

ქობალია, 2010: ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010.  
ცხადაია, 2004: პ. ცხადაია, ტოპონიმი ჯგეროანი და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, II, თბ., 2004.

ჭინჭარაული, 1998: ალ. ჭინჭარაული, კიდევ ერთი ბერძნული წარმომავლობის სიტყვა. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, I, თბ., 1998.

ჭუმბურიძე, 2010: მ. ჭუმბურიძე, ქრისტიანობის ისტორიისა-თვის დასავლეთ საქართველოში. ქუთ., 2010.



*ქანა ხაჩატურიანი*  
*ფილოლოგიის დოქტორი,*  
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*  
*საქართველო, ახალციხე*

## **ბრუნება სომხურში და მისი სამეცნიერო შეფასება**

### *მოკლე შინაარსი*

ახალი სომხური ენის ბრუნვათა სისტემის შესახებ სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ახალი სომხური ენის (აშხარაბარის) გრამატიკის ფუძემდებელი ს. პალასიანი შვიდ ბრუნვას გამოყოფდა: სახელობითი, ბრალდებითი, ნათესაობითი, მიცემითი, დაწყებითი, მოქმედებითი, ადგილობითი. მ. აბელიანმა თავის გრამატიკის სახელმძღვანელოში 5 ბრუნვა გამოყო: სახელობითი, მიცემითი, დაწყებითი, მოქმედებითი, ადგილობითი (პალასიანი, 1894). მ. აბელიანი ამას იმით ხსნიდა, რომ ბრალდებით ბრუნვას საკუთარი ფორმა არ გააჩნია, ის ან სახელობითის, ან მიცემითის ფორმას იყენებს, ამიტომ ეს ბრუნვა სინტაქსში უნდა განვიხილოთ და არა მორფოლოგიაში. მორფოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, მ. აბელიანი არც მიცემითსა და ნათესაობითს მიიჩნევდა დამოუკიდებელ ბრუნვად, მან ეს ორი ბრუნვა გააერთიანა და ერთ (მიცემით-ნათესაობით) ბრუნვად გააფორმა (აბელიანი, 1906). ამ ფორმას ნათესაობით-მიცემითი ბრუნვა უწოდა.

მ. აბელიანის მიერ შემოთავაზებულ ბრუნვათა სისტემას არ იღებდა მეცნიერთა ერთი ნაწილი (ა. ლარიბიანი, გ. სევაკი). ისინი თვლიდნენ, რომ ბრალდებითი და ნათესაობითი დამოუკიდებელი ბრუნვებია და თანამედროვე სომხურს, ტრადიციული გრამატიკის მსგავსად, შვიდი ბრუნვა მოეპოვება (სევაკი, 1955: 356).

**საკვანძო სიტყვები:** ბრუნვა; სომხური ენა; მორფოლოგია; თანამედროვე სომხური; ძველი სომხური; დამოუკიდებელი ბრუნვა.

*Zhana Khachatryan*

*Doctor of Philology, Samtskhe-Javakheti State University,*

*Akhaltzikhe, Georgia*

## **NOUN INFLECTION IN ARMENIAN LANGUAGE AND ITS SCIENTIFIC ASSESSMENT**

### *Abstract*

There exists different viewpoints on inflection system of modern Armenian language in scientific literature. Palasyan, the founder of the new Armenian language grammar (Ashkharabar), distinguished seven inflections: Nominative, Accusative, Genitive, Dative, Initial, Instrumental, Locative. Abeghyan distinguished 5 inflections in his grammar book: Nominative, Dative, Initial, Instrumental, Locative (Palasyan, 1894). Abeghyan explained this by the fact that the Accusative case does not have its own markers, it uses either the markers of Nominative or Accusative case and therefore this inflection should be considered in syntax and not in morphology. Based on morphological principles, Abeghyan did not consider Dative and Genitive as independent inflections, he combined these two cases and made them into one (Dative-Genitive) (Abeghyan, 1906). He called this case Genitive-Dative inflection. The system of inflection proposed by Abeghyan was not accepted by some scientists (A. Gharibyan, G. Sevak). They believed that Accusative and Genitive are independent inflections, and like traditional grammar there are seven cases in modern Armenian too, (Sevak, 1955: 356).

**Key Words:** decline; Armenian language; Morphology; Modern Armenian; Old Armenian; independent rotation.

**შესავალი.** ახალი სომხური ენის ბრუნვათა სისტემის შესახებ სხვადასხვა შეხედულებათა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ახალი სომხური ენის (აშხარაბარის) გრამატიკის ფუძემდებელი ს. პალასიანი შვიდ ბრუნვას გამოყოფდა: სახელობითი, ბრალდებითი, ნათესაობითი, მიცემითი, დაწყებითი, მოქმედებითი, ადგილობითი. მ. აბელიანი თავის გრამატიკის სახელმძღვანელოში 5 ბრუნვა გამოყო: სახელობითი, მიცემითი, დაწყებითი, მოქმედებითი, ადგილობითი (პალასიანი, 1894). მ. აბელიანი ამას

იმით ხსნიდა, რომ ბრალდებით ბრუნვას საკუთარი ფორმა არ გააჩნია, ის ან სახელობითის, ან მიცემითის ფორმას იყენებს, ამიტომ ეს ბრუნვა სინტაქსში უნდა განვიხილოთ და არა მორფოლოგიაში. მორფოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, მ. აბელიანი არც მიცემითსა და ნათესაობითს მიიჩნევდა დამოუკიდებელ ბრუნვად, მან ეს ორი ბრუნვა გააერთიანა და ერთ (მიცემით-ნათესაობით) ბრუნვად გააფორმა (აბელიანი, 1906). ამ ფორმას ნათესაობით-მიცემითი ბრუნვა უწოდა. თუმცა როგორც ივ. შილაკაძე აღნიშნავს, „მ. აბელიანი წინააღმდეგობაში ჩავარდა, რადგან პარადიგმების მოტანისას დაივიწყა მის მიერ შერქმეული სახელი, და ნათესაობით-მიცემითის ფორმას მიცემითი უწოდა, ე.ი. ნათესაობითი ამოიღო ბრუნვათა სისტემიდან, ყველა სხვა ბრუნვას თავისი საკუთარი ფორმა აქვს“ (შილაკაძე: 1971: 17-18).

**მსჯელობა.** მ. აბელიანის მიერ შემოთავაზებულ ბრუნვათა სისტემას არ იღებდა მეცნიერთა ერთი ნაწილი (ა. ღარიბიანი, გ. სევაკი). ისინი თვლიდნენ, რომ ბრალდებითი და ნათესაობითი დამოუკიდებელი ბრუნვებია და თანამედროვე სომხურს, ტრადიციული გრამატიკის მსგავსად, შვიდი ბრუნვა მოეპოვება (სევაკი, 1955: 356).

დღეს მიღებული თვალსაზრისით, ახალი სომხური ენის ბრუნვებია:

1. სახელობითი – ուղղასკან
2. ნათესაობით-მიცემითი – սեռասկան-տրասკան
3. დაწყებითი – բացասასკან
4. მოქმედებითი – գործիასკან
5. ადგილობითი – ներգոյასკან

ახალ სომხურ ენაში ბრუნვა ერთია განსხვავებით ძველი სომხურისაგან, სადაც სხვადასხვა ტიპის ბრუნვა გვხვდება. ახალ სომხურში სახელების მხოლოდ მცირე ჯგუფებია, რომელთაც ზოგიერთი თავისებურება ძველი სომხურიდან მეტ-ნაკლებად გადმოჰყვათ. სომხური გრამატიკის სახელმძღვანელოებში ამ თავისებურ ფორმებს განიხილავენ, როგორც გამონაკლისებს და არა ცალკე ბრუნვებად (შილაკაძე, 1971: 18).

სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალ-სახელი) ერთნაირად იბრუნვის, ზედსართავი და რიცხვითი სახელები ბრუნვის შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს არსებითი სახელის მსგავსად დაირთავენ, თავისებურება უმეტესად ნაცვალ-

სახელების ბრუნებისას ვლინდება, თუმცა ძველ სომხურთან შედარებით, ისინიც საკმაო მსგავსებას გვიჩვენებენ არსებითი სახელის ბრუნვის ფორმებთან.

ახალ სომხურ ენაში არსებით სახელთა უმეტესობა (ასევე ზედსართავი და რიცხვითი სახელები) -ქ ბრუნებას განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელები ნათესაობით-მიცემითში -ქ ხმოვანს დაირთავენ სახელის ფუძეზე. მაგ.: ბաჲ-ბაჲჲქ, ուսանող-ուսանողქ, աշխատանք-აշխատանքქ და სხვ.

თანამედროვე სომხური ენის ბრუნვის ნიშნებია:

Ուղղ. -

Մեղ.-տղ. -ქ

Բաց. -ից

Գոյրծ. -ով

Ներգ. -ում

**შენიშვნა:** მრავლობით რიცხვში მდგარი სახელების ბრუნებისას იგივე ბრუნვის ნიშნები გამოიყენება იმ განსხვავებით, რომ ბრუნვის ნიშნების წინ მრავლობითობის მაწარმოებელი -էք და -նէք სუფიქსები დაისმის. მრავლობითში -ქ ბრუნებით იბრუნვიან თავისებურად ბრუნებადი სახელებიც და ზოგიერთი ნაცვალსახელიც<sup>1</sup> (შილაკაძე, 1971: 20).

---

<sup>1</sup> სომხურ ენაში არსებობს მსაზღვრული ნაწევრები (ը და ն), რომლებიც დაერთვის სახელებს და აღნიშნავს, რომ სახელი განსაზღვრულია, გარკვეულია. მსაზღვრელ-ნაწევრები (ը და ն) სახელებს სახელობით და ნათესაობით-მიცემითის ფორმებში დაერთვის. ը და ն ნაწევრებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ, განსხვავება ისაა, რომ ն დაერთვის ხმოვნით დაბოლოებულ სახელს, ը კი – თანხმოვნით დაბოლოებულს. ն ნაწევარი შეიძლება შეგვხვდეს ასევე თანხმოვნით დაბოლოებული სახელის ბოლოს იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო სიტყვა ხმოვნით იწყება. ნაწევარდართული ნათესაობით-მიცემითის ფორმა წინადადებაში მიცემითის ფუნქციით გამოიყენება, ხოლო უნაწევრო – ნათესაობითის ფუნქციით. განსაზღვრული ნათესაობით-მიცემითის ფორმით ირიბი დამატება გამოიხატება, მაგრამ შეიძლება იყოს პირდაპირი დამატებაც, თუ იგი პიროვნების აღმნიშვნელი სიტყვაა, იხ. ივ. შილაკაძე, ახალი სომხური ენის გრამატიკა, ქრესტომათიითა და ლექსიკონით, თბილისი, 1971, გვ. 20.

ამრიგად, -ქ ტიპის ბრუნება ითვლება ბრუნების ძირითად სახეობად და ბრუნების ზოგადი სურათი ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

	მხ. რ.		მრ. რ.	
<b>მთლ.</b>	ქაქ(რ)	აუასქერა(რ)	ქაქერ(რ)	აუასქერასერ(რ)
<b>მთლ.-თრ.</b>	ქაქი(ს)	აუასქერაი(ს)	ქაქერი(ს)	აუასქერასერი(ს)
<b>ჩაგ.</b>	ქაქიგ	აუასქერაიგ	ქაქერიგ	აუასქერასერიგ
<b>ჭიბ.</b>	ქაქილ	აუასქერაილ	ქაქერილ	აუასქერასერილ
<b>სერქ.</b>	ქაქილმ	აუასქერაილმ	ქაქერილმ	აუასქერასერილმ

### ცხრილი 1. ქ (ო) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება

**შენიშვნა:** მნიშვნელოვანია ის, რომ ადგილობრივი ბრუნვა არა აქვს პიროვნების (ან გაპიროვნებულ) სახელს. მის ნაცვლად გამოიყენება ნათ.-მიც. + მსგ (-ზე, -ში) თანდებული: აუასქერაიქ მსგ-აუასქერასერიქ მსგ.

გარდა ძირითადი -ქ ბრუნებისა, გვაქვს ისეთი სახელები, რომლებიც -ნი ბრუნებას მიჰყვებიან. ეს ის სახელებია, რომელთა ფუძე ქ ხმოვნით ბოლოვდება. ასეთ შემთხვევაში ფუძისეული ქ ხმოვანი იკარგება და ნათესაობით-მიცემითში ბრუნვის ნიშნად -ნი-ს დაირთავენ, მაგ.: აყქი-აყნი, ქასაქი-ქასანი, კისი-კისნი, რაჭქი-რაჭნი, ლიქსაგქი-ლიქსაგნი და ა.შ.

-ნი ბრუნების სახელებს განეკუთვნიებიან ასსიქი, ასნიქი, მარქ სახელები, ნათესაობით-მიცემითში ეს სახელები წარმოდგენილი არიან შემდეგნაირად: ასსიქი-ასსიქნი, ასნიქი-ასნიქნი, მარქ-მარქნი.

მხოლოდ რიცხვის ნათესაობით-მიცემითის გარდა ბრუნვის ნიშანი -ნი გვაქვს დაწყებით ბრუნვაშიც -ნიც, სხვა დანარჩენ ბრუნვებში და მრავლობითის ყველა ბრუნვაში ეს სახელებიც ქ ბრუნების მქონე სახელებივით ფორმდებიან (შილაკაძე, 1971: 18).

	მხ. რ.		მრ. რ.	
<b>მოღ.</b>	იქი(ღ)	საქაქი	იქინქ(ღ)	საქაქინქ(ღ)
<b>სტ.-სი.</b>	იქი(ღ)	საქაქი(ღ)	იქინქ(ღ)	საქაქინქ(ღ)
<b>ჩაგ.</b>	იქიღ	საქაქიღ	იქინქიღ	საქაქინქიღ
<b>ჭიბ.</b>	იქიქი	საქაქიქი	იქინქიქი	საქაქინქიქი
<b>სტყ.</b>	იქი მღ	საქაქი მღ    საქაქი მღ	იქინქი მღ	საქაქინქი მღ    საქაქინქი მღ

**ცხრილი 2.** ილ (უ) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება

აქვე უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, როდესაც ერთმარცვლიანი ქ ბოლოფუძიანი სახელები მართალია ფუძისეულ ხმოვანს ინარჩუნებენ, მაგრამ მაინც -ილ ბრუნებას მიჰყვებიან: ბქ-ბქილ, იქი - იქილ და სხვ.

-ექი სუფიქსით წარმოებული ზედსართავი და არსებითი სახელები (წარმოშობით მომავლის მიმღობა), აგრეთვე უცხო წარმოშობის ქ ხმოვნით დაბოლოებული საკუთარი სახელი (მქიქიქი, ჩაქიქი...) ჩვეულებრივ -ქ ბრუნებას მიჰყვება, თუმცა ზოგიერთი მათგანი -ილ ბრუნების მიხედვითაც შეიძლება გაფორმდეს: მქიქიქი, ჩაქიქი, ხაქიქი || ხაქილ, ღაქიქიქიქიქიქი || ღაქიქიქიქიქიქიქი.

გამონაკლისის სახით გვაქვს ისეთი სომხური სიტყვები, რომლებიც ორივე - ქ და -ილ ბრუნების მიხედვით იბრუნვიან. მაგ.: კაქი (ტყავი) ქ ხმოვანზე ბოლოვდება და იბრუნვის, როგორც მოსალოდნელია, ილ ბრუნების მიხედვით, მაგრამ ამასთანავე ქ ბრუნებას მიჰყვება ოღონდ განსხვავებულად:

	-ილ	-ქ
<b>მოღ.</b>	კაქი(ღ)	კაქი(ღ)
<b>სტ.-სი.</b>	კაქილ(ღ)	კაქიქ(ღ)
<b>ჩაგ.</b>	კაქიღ	კაქიქი
<b>ჭიბ.</b>	კაქიქი	კაქიქიქი
<b>სტყ.</b>	კაქილ მღ	კაქიქი მღ

**ცხრილი 3.** კაქი (კაში) არსებითი სახელის ბრუნება

თავისუფლად ბრუნებად სახელებს განკუთვნიება მარტო სახელის ბრუნებაც. იგი თავისებურად იბრუნვის როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში.

	მხ. რ.	მრ. რ.
<b>ნიღ.</b>	მარტ(ღ)	მარტქს
<b>სხნ.-თრ.</b>	მარტოი(ნი)	მარტქსანც
<b>ჩაგ.</b>	მარტოიც	მარტქსანცქც
<b>ჭიბ.</b>	მარტოქ	მარტქსანცოქ
<b>სხრქ.</b>	მარტოი მსჯ	მარტქსანც მსჯ

**ცხრილი 4.** მარტ (მართ) არსებითი სახელის ბრუნება

ქა ბრუნებას მიეკუთვნება დროის აღმნიშვნელი სახელები, მაგ.: ძამანასქ, ძამ, თრ, ჯაქაქ, ამქა, კესოქ, თაქქ, ლესქ, აქაოქ, ქაღღ, ლოც, ათაქოთ, კესოქ, გესქ, ღქღ, კესაღქღ, ათაღ. ამ სახელებს ნათესაობით-მიცემითში ფუძეზე ქა ბრუნვის ნიშანი დაერთვის, დაწყებითში კი ჩვეულებრივ დაწყებითი ბრუნვის ნიშანი (-ქც), ზოგჯერ კი დაწყებითი ბრუნვის ნიშანს ნათ.-მიცემითის ფორმაზე დაერთავენ (-ქან-ქც). ასეთ სახელებს მრავლობით რიცხვში არავითარი თავისებურება არ ახასიათებთ:

<b>ნიღ.</b>	კესოქ(ღ)	ამქა(ღ)	ჯაქაქ(ღ)	ღქღ(ღ)
<b>სხნ.-თრ.</b>	კესოქან(ნი)	ამსქან(ნი)	ჯაქაქან	ღქღან(ნი)
<b>ჩაგ.</b>	კესოქქც    კესოქანსქც	ამსქქც    ამსქანსქც	ჯაქაქქც	ღქღქქც    ღქღანსქც
<b>ჭიბ.</b>	კესოქოქ	ამსოქ	ჯაქაქოქ	ღქღოქ
<b>სხრქ.</b>	კესოქოან	ამსქან მსჯ	ჯაქაქოან	ღქღოან

**ცხრილი 5.** ქა (ვა) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება

**შენიშვნა:** ძამ და ამქა შეიძლება ქა ბრუნების პარალელურად ღ ბრუნებასაც გაჰყვეს: ნათ.-მიც. ძამსქან || ძამქ, ამსქან || ამსქ.

-ქა ბრუნებას განეკუთვნება თაქქ, თუმცა ბრუნებისას გარკვეულ თავისებურებას ავლენს:

<b>ნიღ.</b>	თაქი(ნ)
<b>სლ.-თრ.</b>	თაქა(ნ)
<b>ჩაგ.</b>	თაქიგ
<b>ჭიბ.</b>	თაქიქ  თაქიქიქ
<b>სსრგ.</b>	თაქიომ   თაქაქა მსგ

### **ცხრილი 6.** თაქი (ტარი) არსებითი სახელის ბრუნება

სომხურ ენაში გვაქვს არც თუ ისე მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ან ბრუნებას განეკუთვნება.

ან ბრუნებას განეკუთვნება -ნი ( <ძვ. სომხ.-ნიან) სუფიქსით წარმოებული არსებითი სახელები: ნიანი-ნიანს, ქაქი-ქაქანს, ცნახათი-ცნახათანს და სხვ. ამგვარი სახელების ბრუნების თავისებურება ისაა, რომ ნათესაობით-მიცემითში ფუძეზე დაირთავენ ან ფორმანტს, აქედან ნ ფუძისეულია, ხოლო ა- ფუძის ფლექსია, რითაც გამოიხატებოდა ძველ სომხურში ირიბი ბრუნვები ამ ტიპის სახელებში. ასეთი სახელები მოქმედებით ბრუნვას განსხვავებულად აწარმოებენ: ნიანი-ნიანაქ, ქაქი-ქაქანაქ, ცნახათი-ცნახათანაქ.

ან ბრუნებას განეკუთვნება ის სახელები, რომლებიც ძველ სომხურ ენაში (გრაზარში) ნ თანხმოვნით ბოლოვდებოდნენ და ფუძეცვალებად სახელებს წარმოადგენდნენ. ამ სახელებმა ახალ სომხურში, მართალია, ბოლოკიდური ნ დაკარგეს, მაგრამ გაფორმება ძველი სომხურის მსგავსად შეინარჩუნეს: მაგალითად, ინი < ძვ. სომხ. ინი, ცანი < ცანი, ჭნი < ჭნი, ქნი < ქნი და სხვ.

ან ბრუნების სახელები მრავლობით რიცხვში არავითარ თავისებურებას არ გვიჩვენებენ და -ი ბრუნებას მიჰყვებიან, მაგ.: სახ. ქნინქ(ი), სინქ(ი); ნათ.-მიც. ქნინქი(ი), სინქი(ი).

ან ბრუნებას განეკუთვნება წელიწადის დროის აღმნიშვნელი სახელები: ძანი, ცარი, ანათ, ანი (მათ არ აქვს ადგილობითი ბრუნვის ფორმა), ამთგან ანათ და ძანი მიჰყვება ქა ტიპის ბრუნებასაც - ანათქა, ძანქა.



ნიღ.	ქნი(ღ)	ნოი(ღ)
სლ.-სრ.	ქნას(ღ)	ნოას(ღ)
წაგ.	ქნასიგ	ნოასიგ
ჭიბ.	ქნასილ	ნოასილ
სწიგ.	ქნასიოს	ნოასიოს

**ცხრილი 7.** ან(ან) ტიპის არსებითი სახელის ბრუნება

ან ბრუნებას მიჰყვებიან ჯონ და თონ არსებითი სახელები:

ნიღ.	ჯონ(ღ)	თონ(ღ)
სლ.-სრ.	ჯას(ღ)	თან(ღ)
წაგ.	ჯსიგ	თსიგ
ჭიბ.	ჯსილ	თსილ
სწიგ.	-	-

**ცხრილი 8.** ჯონ(შუნ) და თონ(ტუნ) არსებითი სახელების ბრუნება

სომხურ ენაში გვაქვს ისეთი სახელები, რომლებიც ძველი სომხურის ბრუნების ფორმასაც ინარჩუნებენ და ახალი სომხურის წესებსაც მიჰყვებიან. ერთ-ერთი ასეთი სახელია შასიოს. იგი, როგორც საკუთარი სახელი, ი ბრუნებას მიეკუთვნება: შასიოსი(ს), შასიოსიგ, შასიოსილ, მაგრამ როგორც ზოგადი სახელი ძველი სომხურივით ან ბრუნების ფორმებს გვიჩვენებს: ნათ.-მიც. მასსას(ღ), მასსასიგ, მასსასილ (მასსასაქ). ასეთი ტიპის სახელია ხიას, რომელიც ახალ სომხურში შეცვლილია ხიასქ–ით და ი ბრუნებას მიჰყვება (ხიასქი, ხიასქიგ, ხიასქილ), მაგრამ გვაქვს აგრეთვე ნათ.-მიც. ხიასას, მოქმ. ხიასასქ ფორმები. მსგავსი ტიპის სახელებია ანონ და მახ: სახ. ანონ(ღ), ნათ.-მიც. ანასას(ღ), დაწყ. ანასასიგ. მოქმ. ანასასაქ, მაგრამ იგი ი ბრუნებითაც შეიძლება გაფორმდეს: ნათ.-მიც. ანონსი, დაწყ. ანონსიგ, მოქმ. ანონსილ; სახ. მახ, ნათ.-მიც. მახასას, დაწყ. მახასასიგ, მოქმ. მახასასილ, მოქმ. –მახასასაქ და გვაქვს ასევე ამ სახელის ი ტიპის ბრუნებაც: მახ(ღ), მახი(ს), მახიგ, მახილ (შილაკაძე, 1971: 23).

ასან ბრუნების სახელებად შეიძლება განვიხილოთ -იქიონ სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები. განყენებული სახელები მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებენ, თუმცა –იქიონ-ზე დაბოლოებული ზოგი მათგანი საზოგადო სახელია და მრავლობით რიცხვში -ი ბრუნებას გაჰყვება:

	<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ.</b>
<b>იღი.</b>	ყსთიქიონ(ღ)	ყსთიქიონსნ(ღ)
<b>სნი.-სი.</b>	ყსთიქიონს(ღ)	ყსთიქიონსნქ(ს)
<b>წაგ.</b>	ყსთიქიონსიგ	ყსთიქიონსნქიგ
<b>გიბ.</b>	ყსთიქიონს	ყსთიქიონსნქი
<b>სიქი.</b>	- (ყსთიქიონს მს)	- (ყსთიქიონსნქი მს)

### **ცხრილი 9.** აბსტრაქტული სახელების ბრუნება

ამ სახელების მსგავსად იბრუნვის: აიონ, ბიონ, ანსიონ (ნათ.-მიც. აიან, ბიან, აიქიან), მიქ. აიქიონს, ანსიონს, თუმცა ეს სახელები ჩვეულებრივ ი ბრუნებას მიჰყვებიან: აიონსი, აიქიონსი, ბიონსი და სხვ.

სომხურ ენაში ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები იგ ბრუნებას განეკუთვებიან. ასეთი სახელებია - სიხ, სიქიხ, სიქი, სიქსი, სიქსი, სიქსი, სიქსი და მათგან ნაწარმოები კომპოზიტები: სიქსიქი, სიქსიქი, სიქსიქი, სიქსიქი.

	<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ.</b>
<b>იღი.</b>	სიქი(ღ)	სიქსი(ღ)
<b>სნი.-სი.</b>	სიქი(ღ)	სიქსიქ(ს)
<b>წაგ.</b>	სიქიგ	სიქსიქიგ
<b>გიბ.</b>	სიქი	სიქსიქი
<b>სიქი.</b>	- (სიქი მს)	- (სიქსიქი მს)

### **ცხრილი 10.** იგ(ვირ) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება

ნათესაობითის აღმნიშვნელი სახელებიდან ზოგი -ი ბრუნებითაც იბრუნვის: სიქსი, სიქსიქი და სიქსიქი: სიქსი, სიქსიქი, სიქსიქი.

კიხ მხოლოდით რიცხვში -იე ტიპის სახელების მსგავსად იბრუნვის, თუმცა მრავლობით რიცხვში გარკვეულ თავისე-ბურებას გვიჩვენებს და არც მსაზღვრელ ნაწევრებს დაირთავს:

	<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ.</b>
<b>ნიღ.</b>	კიხ(ღ)	კასაყუ
<b>სხი.-თრ.</b>	კსიღ(ღ)	კასასგ
<b>ჩაგ.</b>	კსიღჩგ	კასასნგჩგ
<b>გიბ.</b>	კსიღიღ	კასასნგიღ
<b>სერგ.</b>	- (კსიღ მსე)	- (კასასნგ მსე)

**ცხრილი 11.** კიხ(კინ) არსებითი სახელის ბრუნება

თავისებურად იბრუნვის ნათესაობითის აღმნიშვნელი სამი სახელი – ხაყუ, მაყუ, ლეყუ და ამ სახელებით შედგენილი რთული სახელები – ხიქლეყუ, მიქლეყუ, საქსახაყუ, საქსამაყუ, თიქსამაყუ და სხვ. ამ სახელების ბრუნების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ფუძისეული აყ–ს ძველი სომხურის მსგავსად ი-თი იცვლება, მაგ.:

	<b>მხ. რ.</b>		<b>მრ. რ.</b>	
<b>ნიღ.</b>	მაყ(ღ)	ლეყ(ღ)	მაყნ(ღ)	ლეყანნ(ღ)
<b>სხი.-თრ.</b>	მირ(ღ)	ლეირ(ღ)	მაყნჩ(ს)	ლეყანნჩ(ს)
<b>ჩაგ.</b>	მირჩგ	ლეირჩგ	მაყნჩგ	ლეყანნჩგ
<b>გიბ.</b>	მიროღ	ლეიროღ	მაყნროღ	ლეყანნროღ
<b>სერგ.</b>	- (მირ მსე)	-(ლეირ მსე)	-(მაყნჩ მსე)	-(ლეყანნჩ მსე)

**ცხრილი 12.** ნათესაობითის აღმნიშვნელი სახელების ბრუნება

სომხური ენაში ბრუნების თვალსაზრისით ცალკე ჯგუფად გამოიყოფა კრებითი მნიშვნელობის მქონე საგვარეულო სახელები (მაგ. ოთარაანი). ასეთი სახელები ძველი სომხურის მრავლობითის ფორმებით არის შემორჩენილი და დღესაც ამ მნიშვნელობით იხმარება, მხოლოდ რიცხვში არ გვხვდება. საგვარეულო სახელები მხოლოდ განსაზღვრული შეიძლება იყოს, ამიტომ ბრუნე-

ბისას ნაწევრებს არ დაირთავენ. ასეთი სახელებია: **გრეტიონი, შალვახანი, ალანი, ვარდანი** და სხვ. (შილაკაძე, 1971: 25).

<b>ნიღ.</b>	ვარდანი	გრეტიონი
<b>სნი.-სი.</b>	ვარდანი	გრეტიონი
<b>წაგ.</b>	ვარდანი	გრეტიონი
<b>გიბ.</b>	ვარდანი	გრეტიონი
<b>სნიგ.</b>	----	---

**ცხრილი 13.** საგვარეულო სახელების ბრუნება

ახალ სომხურ ენაში სნი, სნი და სნი იბრუნვიან ისე, როგორც ძველ სომხურში იბრუნვოდნენ – ფუძეუცვლელი ჯგუფის -ნი ბრუნებით (სნი და სნი შეიძლება -ნი ბრუნებითაც გაფორმდეს). ამ სახელებს ადგილობრივი ბრუნვა და მრავლობითი რიცხვი არა აქვთ:

<b>ნიღ.</b>	სნი	სნი
<b>სნი.-სი.</b>	სნი	სნი
<b>წაგ.</b>	სნი	სნი
<b>გიბ.</b>	სნი	სნი
<b>სნიგ.</b>	----	---

**ცხრილი 14.** სნი (სნი), სნი (სნი) არსებითი სახელების ბრუნება

როგორც უკვე ვნახეთ, ძველი სომხური ენის ფორმები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ახალი სომხური ენის გრამატიკაში. ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სნი – სნი, რომელიც ბრუნებისას ძველი სომხურის ფორმებს დაირთავს და სნი ტიპის ბრუნებასაც შეიძლება მივაკუთვნოთ. ამ სახელს ადგილობრივი ბრუნვა არ აქვს და მრავლობით რიცხვში -ნი ტიპით იბრუნვის:

<b>ნიღ.</b>	აღეჩ(ღ)	აღეჩსნერ(ღ)
<b>სნ.-სრ.</b>	აღეს(ა)	აღეჩსნერჩ(ა)
<b>ჩაგ.</b>	აღესაჩგ	აღეჩსნერჩგ
<b>გიბ.</b>	აღესაჩღ	აღეჩსნერჩღ
<b>სერგ.</b>	--	--

**ცხრილი 15.** აღეჩ (ახიკ) არსებითი სახელის ბრუნება

ზედსართავი სახელი ახლავს არსებით სახელს და მის ნიშან-თვისებას გამოხატავს, მაგ.: სს მათით, ჩიჩ ციქ, საჩითაჲ მადერ, ქარჩ მარღ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სახელი არსებითი სახელის მსაზღვრელია, წინადადებაში არ იბრუნვის, არ ეთანხმება მას ბრუნვასა და რიცხვში.

<b>ნიღ.</b>	კანაჲ ბაი(ღ)	კანაჲ ბაინერ(ღ)
<b>სნ.-სრ.</b>	კანაჲ ბაიჩ(ა)	კანაჲ ბაინერჩ(ა)
<b>ჩაგ.</b>	კანაჲ ბაიჩგ	კანაჲ ბაინერჩგ
<b>გიბ.</b>	კანაჲ ბაიჩღ	კანაჲ ბაინერჩღ
<b>სერგ.</b>	კანაჲ ბაიჩოს	კანაჲ ბაინერჩოს

**ცხრილი 16.** ზედსართავი სახელის ბრუნება

ზედსართავი სახელი წინადადებაში ზოგჯერ გაარსებითებულა, არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში იგი -ჩ ტიპით იბრუნვის, მაგ.:

	<b>მხ. რ.</b>	<b>მრ. რ.</b>
<b>ნიღ.</b>	მნბ(ღ)	მნბნერ(ღ)
<b>სნ.-სრ.</b>	მნბჩ(ა)	მნბნერჩ(ა)
<b>ჩაგ.</b>	მნბჩგ	მნბნერჩგ
<b>გიბ.</b>	მნბჩღ	მნბნერჩღ
<b>სერგ.</b>	მნბჩოს	მნბნერჩოს

**ცხრილი 17.** გაარსებითებული ზედსართავი სახელის ბრუნება



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი სომხური ენის ნაცვალსახელებში ყველაზე მეტად არის შენარჩუნებული ძველი სომხურის ფორმები, განსაკუთრებით ეს არქაულობა ჩანს სახელობითსა და ნათესაობით-მიცემითი, სხვა ბრუნვებში ახალი სომხური ენის ბრუნვებთან სისტემას მიჰყვება.

განვიხილოთ ნაცვალსახელთა ჯგუფები ცალ-ცალკე.

**პირის ნაცვალსახელება:** ხა, դი, სა, მსჲ, დიჲ, სრასჲ. პირის ნაცვალსახელები თავისთავად განსაზღვრულია, შესაბამისად, მსაზღვრელ ნაწევრებს არ დაირთავენ. პირის ნაცვალსახელად განიხილავენ ხჲჲ || ხჲჲჲ განსაზღვრებით ნაცვალსახელსაც. იგი ხშირად პირის ნაცვალსახელთან ერთად იხმარება და მას ინტენსივის მნიშვნელობას ანიჭებს.

		<b>მხოლოდითი რიცხვი</b>		
<b>მღჲ.</b>	ხა	დი	სა	ხჲჲ
<b>სღჲ.-სრ.</b>	ხა    ხაღ	დი    დე	სა	ხრ
<b>წაგ.</b>	ხაღანხგ	დეანხგ	სრან	ხრენ
<b>ჭიბ.</b>	ხაღანხგ	დეანხგ	სრანხგ	ხრენხგ
	ხაღანოქ	დეანოქ		
<b>სერ.</b>	ხაღანოქ	დეანოქ	სრანოქ	ხრენოქ
	ხაღანოამ	დეანოამ		
	ხაღანოამ	დეანოამ	სრანოამ	ხრენოამ
		<b>მრავლობითი რიცხვი</b>		
<b>მღჲ.</b>	მსჲ	დიჲ	სრასჲ	
<b>სღჲ.-სრ.</b>	მსრ    მსე	ღსრ    ღსე	სრანს	
<b>წაგ.</b>	მსეანხგ	ღსეანხგ	სრანსხგ	
	მსეანხგ	ღსეანხგ		
<b>ჭიბ.</b>	მსეანოქ	ღსეანოქ	სრანსოქ	
	მსეანოქ	ღსეანოქ		
<b>სერ.</b>	მსეანოამ	ღსეანოამ	სრანსოამ	
	მსეანოამ	ღსეანოამ		

**ცხრილი 18.** პირის ნაცვალსახელების ბრუნვა

როგორც ვხედავთ, ცხრილში მოცემულია ნათესაობით-მიცემით ბრუნვაში მდგარი პირის ნაცვალსახელთა პარალელური ფორმები, მათგან პირველი ფორმა (ჩამ, ჟი, სრამ, მქი, ღქი, სრამს) კუთვნილებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ და არა პირისას, ამიტომაც ნათესაობითის ფუნქციით (კუთვნილების აღმნიშვნელ მსაზღვრელად) იხმარება.

რაც შეეხება პირის ნაცვალსახელთა ადგილობითის ფორმებს, ამ ფორმით ისინიც იშვიათად გამოიყენება, ხშირად მათ ნაცვლად კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები იხმარება მსგ. თანდებულის დართვით: ჩამ მსგ = ჩამსიამ, ჟიმსგ = ჟესიამ, მქი მსგ = მქესიამ, ღქი მსგ = ღქესიამ.

კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: ჩამ, ჟი, სრამ (ჩქენ || ჩი || ჩი || ქი), მქი, ღქი, სრამს (|| ჩქენსგ || ჩრამსგ). აქედან მხოლოდ ჩქენს იბრუნვის. ყველა დანარჩენი უბრუნველია:

	მხ. რ.	მრ. რ.
ნიღ.	ჩქენ(ღ)	ჩქენს
სხი.-სი.	ჩქენჩ(ს)	ჩქენს
ჩაგ.	ჩქენჩგ	ჩქენსჩგ
ჭიბ.	ჩქენსი	ჩქენსი
სქიგ.	(ჩქენსიამ    ჩი მსგ)	(ჩქენსიამ    ჩქენსგ მსგ)

**ცხრილი 19.** კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნვა

კუთვნილებითი ნაცვალსახელი წინადადებაში მსაზღვრელ ნაწევარს ე-ს ან ი-ს დაერთავს მაშინ, როცა იგი ზმნას უკავშირდება ან დამოუკიდებლად იხმარება: ჩამე, ჟიმე, მქიე, ღქიე, ჩქენე, ჩქენსე. ხოლო თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი წინადადებაში დამოუკიდებლად გამოიყენება, ასეთ შემთხვევაში ყველა მათგანი იბრუნვის.

	მხ. რ.	მრ. რ.
ნიღ.	ჩამ	სქი
სხი.-სი.	ჩამჩ(ს)	მქიჩ(ს)
ჩაგ.	ჩამჩგ	მქიჩგ
ჭიბ.	ჩამი	მქიი
სქიგ.	(ჩამიამ)	(მქიიამ)

**ცხრილი 20.** დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნვა



**ჩვენებითი ნაცვალსახელება:** სა, ჟა, სა, აჟა, აჟი, აჟნ.  
 ამათგან სა, ჟა, სა ჩვეულებრივ იბრუნვის, აჟა, აჟი, აჟნ კი ახალ  
 სომხურში უბრუნველია და მხოლოდ მსაზღვრელებად გამოიყენება.

	<b>მხ. რიცხვი</b>	<b>მრ. რიცხვი</b>
<b>მ. რიცხვი</b>	სა	საჟა
<b>სხ. რიცხვი</b>	სა(ს)	საჟა(ს)
<b>წმ.</b>	საჟა	საჟა
<b>ფორმ.</b>	საჟა	საჟა
<b>სხვა.</b>	საჟა    საჟა	საჟა

**ცხრილი 21.** ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება

ასევე იბრუნვის ჟა და სა. გვაქვს ისეთი ჩვენებითი ნაცვალ-  
 სახელები, რომლებიც წინადადებაში მსაზღვრელის ფუნქციას  
 ასრულებენ და არ იბრუნვებიან. ეს ნაცვალსახელება: საჟა, საჟა,  
 საჟა, საჟა, საჟა, საჟა, საჟა, საჟა, საჟა, საჟა, საჟა, საჟა,  
 საჟა და სხვ. ხოლო თუ აქედან რომელიმე ნაცვალსახელი წინა-  
 დადებაში დამოუკიდებელი მნიშვნელობით იქნა წარმოდგენილი,  
 მაშინ იგი ბრუნებისას სახელივით გაფორმდება. მაგალითად,

	<b>მხ. რიცხვი</b>	<b>მრ. რიცხვი</b>
<b>მ. რიცხვი</b>	საჟა(რ)	საჟა(რ)
<b>სხ. რიცხვი</b>	საჟა(ს)	საჟა(ს)
<b>წმ.</b>	საჟა	საჟა
<b>ფორმ.</b>	საჟა	საჟა
<b>სხვა.</b>	საჟა	საჟა

**ცხრილი 22.** დამოუკიდებელი ჩვენებითი ნაცვალსახელების  
 ბრუნება

კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელება: ი, ი, ი, ი,  
 ი,  
 ასევე ზმნიზებები: ი, ი, ი.

კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელების ბრუნებას წარმოვადგენთ ივ. შილაკაძის სქემის მიხედვით:

**მხოლოდითი რიცხვი**

<b>ნათქ.</b>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	იოს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>
<b>სლ.-თრ.</b>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	იოს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)
<b>ჩაგ.</b>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	იოს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>
<b>ფორმ.</b>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	იოს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>
<b>სტრუქ.</b>	—	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	იოს <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	—

**მრავლობითი რიცხვი**

<b>ნათქ.</b>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> -	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	-	-
<b>სლ.-თრ.</b>	-	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> (ი)	-	-
<b>ჩაგ.</b>	-	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	-	-
<b>ფორმ.</b>	-	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ქსან <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	-	-
<b>სტრუქ.</b>	-	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup> ო <sup>ა</sup>	-	-	-

**ცხრილი 23.** კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება

თანამედროვე სომხურ ენაში ურთიერთობით ნაცვალსახელებად მიჩნეულია: *ჩიარა*, *მჩიასნე*, *მსკმსკი* (*მსკმსკი*). ურთიერთობითი ნაცვალსახელები გვიჩვენებენ ერთმანეთთან ურთიერთობის მქონე სახელებს. მაგალითად, «*ლიქიქი* ს *სანსნ* ოცნოს *სნ* *ჩიარა*», «*მჩიარა* *ს* *ფორ* *გოხს* *მჩი* *მასნე*»:

ურთიერთობითი ნაცვალსახელები ამგვარად იბრუნვიან:

<b>ნათქ.</b>	--	--	--
<b>სლ.-თრ.</b>	მჩიასნე	ჩიარა	მსკმსკი
<b>ჩაგ.</b>	მჩიასნე	ჩიარა	მსკმსკი    მსკმსკი
<b>ფორმ.</b>	მჩიასნე	ჩიარა	მსკმსკი
<b>სტრუქ.</b>	მჩიასნე	ჩიარა	მსკმსკი

**ცხრილი 24.** ურთიერთობითი ნაცვალსახელების ბრუნება

**განსაზღვრებითი ნაცვალსახელება:**

სამსნ || სამსნაჟს, სამსნჟღ, ჟიღიღ, ხამაჟს, ჟიჟაჟსაჟიღი, ამჟიღ, იღ(ღ), ამსნჟს, ჟიჟაჟსაჟიღიჟ, ამსნჟ, ამსნმს, ამსნმჟ...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ფორმაუცვლეელია, არ იბრუნვის, თუკი ისინი მსაზღვრელის ფუნქციით იხმარება. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები წინადადების დამოუკიდებელ წევრებადაც გამოიყენებიან და ამ შემთხვევაში ისინი –ჩ ტიპით იბრუნვიან, გარდა ჟიჟაჟსაჟიღიჟ და ამსნჟ ნაცვალსახელებისა, რომლებიც მხოლოდ ამ ფორმით გვხვდება:

<b>ნიღ.</b>	ჟიღიღ(ღ)	ამსნ მს(ღ)	ჟიჟაჟსაჟიღ(ღ)
<b>სნ.-თჟ.</b>	ჟიღიღჟ(ი)	ამსნ მსჟ(ი)	ჟიჟაჟსაჟიღჟ(ი)
<b>ჟაგ.</b>	ჟიღიღჟგ	ამსნ მსჟგ	ჟიჟაჟსაჟიღჟგ
<b>ჟიღბ.</b>	ჟიღიღიღ	ამსნ მსჟიღ	ჟიჟაჟსაჟიღიღ
<b>სნჟგ.</b>	ჟიღიღიღმ	ამსნ მსჟიღმ	ჟიჟაჟსაჟიღიღმ

**ცხრილი 25.** განსაზღვრებითი ნაცვალსახელების ბრუნება

**განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელება:**

ჩსჟ-იჟ, ჟსჟ-ჟსჟ, იმს, აჟსჟსჟ, მჟჟსაჟსჟ, მჟიღ, იღიღ, აჟ, იღჟს, იღს, მაჟიღ, მჟჟსაჟიღ (მობველებულია: იღსჟგ, ჟსჟსჟგ, მჟს || მჟსღ). მსაზღვრელად გამოიყენებისას, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც არ იბრუნვიან და ფორმაუცვლელნი რჩებიან, ხოლო დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევაში –ჩ ბრუნებას მიჟყვებიან. რამდენიმე ნაცვალსახელი გარკვეულ თავისებურებას ავლენს: იმს მხოლოდით რიცხვში ფორმაუცვლეელია, არ იბრუნვის, მრავლობითში კი ძველი სომხურის ფორმებს გვიჩვენებს:

	<b>მრ. რ.</b>
<b>ნიღ.</b>	იმსაჟ
<b>სნ.-თჟ.</b>	იმსაჟგ
<b>ჟაგ.</b>	იმსაჟგჟგ
<b>ჟიღბ.</b>	იმსაჟგიღ
<b>სნჟგ.</b>	----

**ცხრილი 26.** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ბრუნება

სქიმა „მეორე, სხვა ვიღაც“ ორიდან ერთზე მიუთითებს, ამიტომ მუდამ განსაზღვრულია. განუსაზღვრელობის შემთხვევაში მას ენაცვლება იქიქ „სხვა“. ორივე იბრუნვის ი ბრუნებით.

ასევე ი ბრუნებას მიჰყვება შინ || მიხილ (რომელიც ძველი სომხურის მი „ერთს“ წარმოადგენს ნაწევრით). მრავლობითი რიცხვი არა აქვს. დანარჩენი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები -ი ტიპის ბრუნებას განეკუთვნებიან.

უარყოფითი ნაცვალსახელებია: იუიქ, იუამქქ, იქიხ. არც ერთ მათგანს მრავლობითი რიცხვი არა აქვს. მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენების შემთხვევაში ფორმაუცვლელნი რჩებიან, ხოლო დამოუკიდებლად ხმარებისას მხოლოდით რიცხვში ი ბრუნებით ფორმდებიან.

		მხ. რ.	
<b>ილიქ.</b>	იქ იქ	იქ ისქ(ქ)	იქიხ
<b>სხი.-სი.</b>	იქ იქი(ი)	იქ ისქი(ი)	იქიხი(ი)
<b>ჩაგ.</b>	იქ იქიგ	იქ ისქიგ	იქიხიგ
<b>გიქბ.</b>	იქ იქიქ	იქ ისქიქ	იქიხიქ
<b>სქიქ.</b>	იქ იქიქი	იქ ისქიქი	იქიხიქი

**ცხრილი 27.** უარყოფითი ნაცვალსახელების ბრუნება

ამრიგად, მოცემულ თავში წარმოვადგინეთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ახალი სომხური ენის ბრუნვათა სისტემების შესახებ და ვაჩვენეთ ძველი და ახალი სომხური ენების ბრუნვათა ფორმებს შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ძირითადი ნიშან-თვისებები.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ჯავახეთის სომხობისათვის პრაქტიკულად სამეტყველო ენა სალიტერატურო სომხური არაა, ისინი სალიტერატურო სომხურის ორივე ვარიანტისაგან განსხვავებულ ჯავახეთის სომხების დიალექტზე საუბრობენ, ამდენად სომხური სკოლა, რომელიც სალიტერატურო სომხურით გაწყობილ საგნებს ასწავლის, უკვე შეიძლება მივიჩნიოთ უცხო სამეტყველო ვარიანტად, ხოლო დამატებით შეთავაზებული ენები კიდევ უფრო მეტ სირთულეს უქმნიან შემსწავლელს. ჯავახეთის სომეხთა მეტყველებას კი მათი თურქე-

თიდან ჩამოსახლების მომენტშიც (ბალასანიანი, 2016) არ ჰქონია სომხეთში მოსახლეთა მეტყველების იდენტური ნიშნები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

შილაკაძე, 1971 - შილაკაძე ივ., ახალი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით: სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1971.

აბელიანი, 1906 - Աբելյան, Մ., Աշխարհաբարի քերականութիւն, Վաղարշապատ, 1906:

აჭარიანი, 1979 - Աճարյան Հր., Արմատական բառարան, Երեվան, 1979:

ასტრიანი, 2004 - Ասատրյան Մ., Ժամանակակից հայոց լեզու ձևաբանություն, Եր., 2004, էջ 58:

კარაპეტიანი, 2006 - Կարապետյան, Սամվել Կարապետյան Ջավախք 2006:

პალასიანი, 1894 - Պալասյան Ս., Քերականութիւն մայրենի լեզուի, Տփլիսի, 1894:

სანოსიანი, 2001 - Սանոյան Ա., Սպիտակեղեն, Երեվան, 2001:

სანოსიანი, 1992 - Սանոյան Ա., Ախլցխայի եվ Ախալքալաքի գավառների 1918-ի ինքնապաշտպանություն, Երեվան, 1992:

სარგისიანი, 1999 - Սարգսյան Վ., Ջավախք տեղանվան ծագումը, Երեվան, 1999:

სევაკი, 1955 - Սևակ Գ., Ժամանակակից հայոց լեզվի դասընթաց, Երևան, 1955, էջ 356:

აბელიანი, 1965 – Абебян М. Х., Теория армянского языка. Ереван: Издательство “Митк”, 1965. 699 с. (на армянском языке).

ნურისტანი, – Нуристани Г. В., Грамматические категории имени существительного в русском и армянском языках, [http://pglu.ru/upload/iblock/15c/uch\\_2014\\_v\\_41.pdf](http://pglu.ru/upload/iblock/15c/uch_2014_v_41.pdf)

*ჟანა ხაჩატურიანი*  
*ფილოლოგიის დოქტორი,*  
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*  
*საქართველო, ახალციხე*

## **ბრუნვის ფორმათა შესაბამისობის პრობლემა ქართულსა და სომხურ ენებში**

### *მოკლე შინაარსი*

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში კავკასიის ენათა კვლევამ კიდევ ერთი (უკვე მერამდენედ უახლეს ისტორიაში) ტენდენცია წარმოაჩინა: ტრადიციული თვალსაზრისი კავკა-სიონის ორივე ქედზე მცხოვრები ავტოქთონი მოსახლეობის ენათა ნათესაობისა და დანარჩენ ინდოევროპული წარმომავლობის ენათა გენეზისური სხვაობის შესახებ, რასაც საუკეთესოდ გამოხატავდა (და გამოხატავს) ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“, შეიცვალა „კავკასიაში არსებული ენების (ნებისმიერი მათგანის) ერთმანეთთან სიახლოვის ოდენ ტიპოლოგიური მსგავსებით ახსნის ახალი ხაზით. სომხური და ქართული ამ ორივე ვერსიაში ოდენ ტიპოლოგიურად მსგავს ენებს წარმოადგენდნენ და ხანგრძლივი ისტორიული თანამეზობლობის მიუხედავად, მათი მსგავსება ნამდვილად დაფუძნებულია არა ნათესაურ, არამედ თანამეზობლურ სიახლოვეზე, რაც ნათესაობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია; და რაკი მსგავსებები ტიპოლოგიური ხასიათისაა, ამიტომ სწავლების სიმწიფეებიც ქართულ-სომხური ენობრივი შეხვედრების, მსგავსება-განსხვავებათა პრაქტიკული გამოვლინებებისა და სხვაობათა გათვალისწინებით, ტიპოლოგიური გრამატიკის მეშვეობით უნდა დაიძლიოს. ამ გზაზე კი სპეციალისტებისათვის გასათვალისწინებელია ორივე ენის ბრუნვათა სისტემების ჩამოყალიბების ისტორია, და შემდეგ ამ ორი ენის შეხვედრისას წარმოქმნილი პრობლემები.

**საკვანძო სიტყვები:** მსგავსება-განსხვავება; ტიპოლოგია; ბრუნვათა შისტემა; სომხური ენა; ქართული ენა; ენობრივი შეხვედრები.

*Zhana Khachatryan*

*Doctor of Philology, Samtskhe-Javakheti State University,*

*Akhaltzikhe, Georgia*

## THE ISSUES OF INFLECTION FORM CORRESPONDENCE IN GEORGIAN AND ARMENIAN LANGUAGES

### *Abstract*

Studies on Caucasian languages in modern scientific research have discovered one more trend (for many times in recent history). The traditional viewpoint on relatedness in both languages of autochthonous society living in Caucasus and regarding the genetic difference between the rest of the languages having Indo-European origin, which can be best expressed by the term "Ibero-Caucasian" has changed. "A new type of explanation shows the proximity of the languages with typological similarity (any of them) in the Caucasus. In both of these versions, Armenian and Georgian were typologically similar languages, and despite the long historical coexistence, their similarity is really based not on relatedness, but on co-neighborhood, which is no less important than relation. Since there are typological similarities the issues in teaching these two languages should be overcome by taking into account Georgian and Armenian language proximity, the practical discovery of similarities and differences as well as typological grammar differences. Thus, specialists should remember the history of inflection systems formation of both languages and only then think of problems that arise when these two languages correspond.

**Key Words:** similarity-difference; typology; rotation system; Armenian language; Georgian language; Language meetings.

**შესავალი.** თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში კავკასიის ენათა კვლევამ კიდევ ერთი (უკვე მერამდენედ უახლეს ისტორიაში) ტენდენცია წარმოაჩინა: ტრადიციული თვალსაზრისი კავკასიონის ორივე ქედზე მცხოვრები ავტოქთონი მოსახლეობის ენათა ნათესაობისა და დანარჩენ ინდოევროპული წარმომავლობის ენათა გენეზისური სხვაობის შესახებ, რასაც საუკეთესოდ გამოხატავდა (და გამოხატავს) ტერმინი „იბერიულ-

კავკასიური ენები“, შეიცვალა „კავკასიაში არსებული ენების (ნებისმიერი მათგანის) ერთმანეთთან სიახლოვის ოდენ ტიპოლოგიური მსგავსებით ახსნის ახალი ხაზით. ამჯერად ამ ფრიად ვრცელი და რთული საკითხის ახსნა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს; ჩვენთვის ახლა მთავარი ისაა, რომ სომხური და ქართული ამ ორივე ვერსიაში ოდენ ტიპოლოგიურად მსგავს ენებს წარმოადგენდნენ და ხანგრძლივი ისტორიული თანამეზობლობის მიუხედავად, მათი მსგავსება ნამდვილად დაფუძნებულია არა ნათესაურ, არამედ თანამეზობლურ სიახლოვეზე, რაც ნათესაობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია; და რაკი მსგავსებები ტიპოლოგიური ხასიათისაა, ამიტომ სწავლების სიძნელეებიც ქართულ-სომხური ენობრივი შეხვედრების, მსგავსება-განსხვავებათა პრაქტიკული გამოვლინებებისა და სხვაობათა გათვალისწინებით, ტიპოლოგიური გრამატიკის მემკვიდრით უნდა დაიძლიოს.

დავაზუსტებთ, რომ მიღებულია „ტიპი“ განისაზღვროს, როგორც ნიშან-თვისებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც წარმოქმნის ურთიერთკავშირების შინაგანად მყარ ბირთვს და ამ სახეობაში თვითონ ხდება ტიპოლოგიური ცოდნის კონკრეტული „ერთეული“. აქ სირთულეს ქმნის ტიპის სპეციფიკის განსაზღვრა „სახეობასა“ (ცოდნის გენეტიკური ერთობლიობის ლოგიკური კავშირი) და „გვარეობასთან“ (საკლასიფიკაციო ერთეული) მიმართებაში.

გასაოცარია, რომ დღემდე ასეთი გრამატიკა არ დაწერილა, და ქართულ-სომხურ ენობრივ (და არა მარტო ენობრივ) კონტაქტებს ნაკლებად აქვს დამებნილი მსგავს და განსხვავებულ შესატყვისობათა გრამატიკული, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილისტიკური ახსნა-განმარტებები. და რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა შესაძლებლობა, ერთი მხრივ, შემთხვევითი და, მეორე მხრივ, მიზეზთა გამო წარმოქმნილი მსგავსებები დაგვეჯგუფებინა და ისე გვესწავლებინა, მაგალითად, სომხურენოვანი ბავშვებისათვის ქართული ენა.

**მსჯელობა.** წარმოდგენილ ნაშრომში საკითხი ასე დგას - არაქართულენოვან მოქალაქეებს, რომელთაც სახელმწიფო ენის არცოდნა ან ცუდად ცოდნა მრავალი საზოგადოებრივი სფეროს წიაღში დამკვიდრებასა და ინტეგრირებაში უშლის ხელს,



რაც შეიძლება მეტად უნდა დავეხმაროთ ქართულის დაუფლებაში. ამ მიზნით კი ქართულისა და ნაციონალური ენების ყველაზე ძნელად დასაძლევ უბნებისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ამ მხრივ საუკეთესო რესპონდენტებად არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და ე. წ. ნაციონალური სკოლების მოსწავლეები ჩანან. მათ ყოველდღიურად უწევთ ერთი ენიდან მეორეზე პრაქტიკული თარგმნის ოპერაციების ჩატარება და ყველა ცთომილება მყარად ამახსოვრდებათ.

როგორც არაერთმა ინტერვიუმ დაგვარწმუნა (და საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებაც ამასვე გვიდასტურებს), განსაკუთრებით თვალში საცემია სიმწელები სახელთა ბრუნების სწავლებაში (კერძოდ, მოთხ. ბრუნვა; წოდებითი ბრუნვა); ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ ასაკობრივი გრადაციის მიხედვით, რატომ უჭირთ წინადადების აგებისას საჭირო ბრუნვის ფორმის შერჩევა და როგორ უნდა დავეხმაროთ ამ პრობლემის მოგვარებაში.

ამ გზაზე კი სპეციალისტებისათვის გასათვალისწინებელია ორივე ენის ბრუნვათა სისტემების ჩამოყალიბების ისტორია და შემდეგ ამ ორი ენის შეხვედრისას წარმოქმნილი პრობლემები. ჩვენი სინამდვილე, არაქართულენოვანი პირებისათვის ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით, სპეციფიკურია (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში).<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ჯავახური დიალექტის თავისებურებები გავლენას ახდენს იმ სომხურზე, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ჯავახეთში მცხოვრები სომხების მეტყველებაში სომხურის სრულიად დამოუკიდებელ დიალექტად – სომხურის ჯავახეთში მცხოვრები სომხების დიალექტად გვევლინება. ქართული ენის ჯავახური დიალექტი იქ ჩასახლებული სომხებისათვის პირველხარისხოვანი სესხებისა და გავლენის წყაროა. უნდა ითქვას, რომ სომხურიდან შესული ლექსიკა თვით ჯავახურშიც დასტურდება. ასე, რომ იმ უცნაური ფაქტის მიუხედავად, რომ ამ დროისათვის ჯავახეთში მცხოვრები უფროსი ასაკის სომხები ქართულს ვერ ფლობენ, ამ მეტყველებათა ურთიერთშეხებისა და გავლენის ფაქტი აშკარაა. ქართული ენის ჯავახური დიალექტი დასტურდება ახალქალაქის რაიონის სოფლებში: აფნია, გოგაშენი, ოკამი, პტენა, ჩუნჩხა, კოთელია, მურჯახეთი, ვარევანი, ბარალეთი, გოკო, ასპინძის რაიონის სოფლებში: ხიზაბავრა, თოკი, სარო,

არსებობს მრავალი ნაშრომი (მათ შორის სადისერტაციო კვლევები და მეთოდოლოგიური მონოგრაფიები), რომლებშიც მეტ-ნაკლებად განხილულია ტიპობრივი შეცდომები შესასწავლი ენის ათვისების გზაზე; ეს საკითხიც არ შეიძლება მხოლოდ განზოგადებულად განვიხილოთ, რადგან შესასწავლ ენაში დაშვებული შეცდომები ძირითადად დედა ენის სისტემური თავისებურებებითაა განპირობებული.

როგორც ცნობილია, ენა, რომელზეც იწყებს ლაპარაკს ადამიანი, სამყაროს შეცნობის პირველი საშუალება და სათქმელის სამეტყველო რეალიზაციის პირველი ყალიბი ხდება, ამიტომაც, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, მოლაპარაკე ყველა სხვა ენის ცოდნას თავისი მეტყველების ამოსავალ ყალიბებთან ათანხმებს და, ფაქტობრივად, ყველა შესაძლო შეცდომა სწორედ ამ ყალიბთა სხვაობითაა განპირობებული (ტაბიძე, 2008: 294-304).

ქართულ მხატვრულ ლიტერატურას უამრავი მასალა აქვს ფიქსირებული სომხების ქართულად მეტყველებისას ყველაზე ტიპური შეცდომების თვალსაზრისით; საინტერესოა, რომ ეს დაკვირვებები თითქმის სრულად თანხვედბა დღეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში აღნუსხულ ტიპურ შეცდომებს. ამ ნაშრომებში ძირითადად ყურადღებაა გამახვილებული მშობლიური ენის ინტერფერენციულ გავლენაზე შესასწავლი ენის სტრუქტურულ (და ხშირ შემთხვევაში - სემანტიკურ-კონოტაციურ) შეცდომებზე. არის ცდები, შედგეს შეცდომათა ტიპოლოგიური ნუსხები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეცდომათა გამოვლინების ყველა კატეგორია (ტიპურობა, სიხშირე, მდგრადობა); „შეცდომათა ანალიზის“ მეთოდს („error analysis“) დიდი ყურადღება ეთმობა უცხოელ

---

ვარგავი. ბორჯომის რაიონის სოფლებში: ბალანთა, ჭიხარულა... თუნდაც ორი-სამი ასწლეულის წინ ქართული ენის ჯავახური დიალექტი გაცილებით დიდ ტერიტორიას ფარავდა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ჯავახურს ბევრი საერთო აქვს ქართლის კილოებთან, განსაკუთრებით ახლოა იგი მესხურთან. ჯავახური შეზავებულია დასავლურ-ქართული კილოების თავისებურებებით. ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში უხვად არის დანერგილი თურქულ-არაბული ენობრივი შეხვედრების კვალი. ამ მოვლენას, ცხადია, ისტორიული ახსნა აქვს, თუმცა ამჯერად ამ საკითხებზე არ შევჩერდებით.

ავტორებთან (S. P. Corder, E. Haugen, G. Helbig, C. James W. Nemser, G. Nickel, J. C. Richards). ამ ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შეცდომებს აქვს რეგულარული, სისტემური ხასიათი და მოსწავლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბებული მყარი სურათისაგან განსხვავებული ფაქტორების (ეს ფაქტორებია სხვა ენობრივი სისტემისა და სამყაროს სხვა ენობრივი სურათის ცდომილებები ენობრივი შეხვედრების დროს) ზემოქმედებისას ვლინდება.

ვფიქრობთ, რომ შეცდომათა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ობიექტური სიძნელეები და კანონზომიერებები სწავლების კონკრეტული ვარიანტის შემთხვევაში; ამ გზით კი სწავლების რეალისტური მიზნების დასახვა მოხერხდება, თუ ცალ-ცალკე მიმოვიხილოთ ბრუნების სტრუქტურას ქართულსა და სომხურ ენებში. ცხადია, ბრუნვათა რაოდენობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია.

როგორც ვიცით, თანამედროვე ქართულში შვიდი ბრუნვაა (თუმცა ეს რაოდენობა სადავოა, მაგრამ ოფიციალურ სტანდარტში, რომლითაც ჯერჯერობით ხელმძღვანელობს განათლების სამინისტრო, სწორედ შვიდი ბრუნვა სახელდება). ქართულში სახელები ყველა იბრუნვის, ისეთებიც კი, რომლებიც ნასესხებია ბრუნვის უქონელი ენებისაგან (მაგ. ფრანგული-საგან) ან ისეთი ენებისაგან, რომლებსაც სახელთა ბრუნება შეიძლება მოეპოვებოდეს საზოგადოდ, მაგრამ ზოგიერთი სახელი მაინც უბრუნველი ჰქონდეს (ასეთია, მაგალითად რუსული ენა). სი ტყვეები „პალტო“ და „დეპო“ ნასესხებია ფრანგულიდან რუსულში, რუსულიდან კი ქართულშია გადმოსული. არც ერთი მათგანი არ იბრუნვის არც ფრანგულში არც რუსულში, მაგრამ ქართულში ისინი ბრუნებადია (ხაჩატურიანი, 2019:148-152).

ბრუნვათა რაოდენობაზე საუბრისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში ბრუნვათა რაოდენობის გამოყოფისა და მიმდევრობის დღევანდელი სურათი (მეტ-ნაკლებად გაზიარებული და სტანდარტად დადგენილი) საკმაოდ ხანგრძლივი ლინგვისტური აზროვნების შედეგია (ჩიქობავა, 1956: 34-40).

1. დღესაც ძირითადად მიღებული ბერძნულ-ლათინურ-რუსული რიგის მიხედვით გაწყობილი ვარიანტი წარსულთან შედარებით მცირედაა შეცვლილი (სადაც მოთხრ. ბრ.-ს აკუ-

ზატვის ადგილი უკავია, ხოლო ვითარებითი წოდებითს უსწრებს წინ); ამ რიგს მორფოლოგიურთან ერთად სინტაქსური მხარეც განაპირობებს, რაც, უდავოდ, ლოგიკურია;

2. ძველ გრამატიკაში ბრუნვათა დალაგება მეტ-ნაკლებად შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ანდა გათვალისწინებული იყო ევროპული ენების ვითარება. მაგალითად, სახელობითის შემდეგ იდგა ნათესაობითი, შემდეგ მიცემითი, მას მოჰყვებოდა მოთხრობითი;

3. ამჟამად სტანდარტად მიჩნეული ანუ სახელმძღვანელოებში დაცული და ა. შანიძის მიერ დადგენილი ბრუნვათა რიგი - სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი დაფუძნებულია მორფოლოგიისა და სინტაქსის მოთხოვნებზე: ჯერ მოცემულია სუბიექტის ბრუნვები (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი). ამ მიმდევრობას ისიც უჭერს მხარს, რომ სწორედ ამ ბრუნვებში ვლინდება ფუძეუკუმშველობა და უკვეცელობა (შანიძე, 1956).

ქართულში ყველა სახელი ერთნაირად არ იბრუნვის. ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით ზოგი სახელის ფუძე იკუმშება ან იკვეცება, ზოგის ფუძე უცვლელია; ზოგჯერ ბრუნვის ნიშანი განიცდის ცვლილებებს.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სომხური ენა, რომელიც ნორმატიული თვალსაზრისით პურიზმისკენაა მიდრეკილი, მისი გავრცელების ყველა ადგილას ერთნაირად არ განიცდის დროის ცვლილებას. მაგალითად, როდესაც 1922–1924 წლებში განხორციელდა სომხური ენის ორთოგრაფიული რეფორმა, უცხოეთში მცხოვრებმა სომხობამ რეფორმის მოთხოვნები არ გაიზიარა და კვლავ ძველ ორთოგრაფიას მიჰყვა.

ამჟამად სომხურ ენაშიც დატრიალდა ის პროცესი, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ე.წ. „ცენზურირებული“ ნორმების უნიფიკაციურ მოქმედებას განაპირობებდა. საბაზრო ეკონომიკამ მედია ცენტრალიზებული მართვისაგან გამოათავისუფლა და ნორმობრივი აღრევა ყველგან აღინიშნა. არც სომხური აღმოჩნდა გამონაკლისი (ჩინჩალაძე, პოლოსიანი, 1998).

სომხურშიც, დღევანდლამდე ბრუნვათა სახელწოდებებს, რიგსა და ფუნქციებს გრძელი გზა აქვს გამოვლილი (შილაკაძე, 1971). მრავლობითს აქვს თავისი ნიშნები, ეს ნიშნებია

ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის ლი და ერთზე მეტმარცვლიანი სახე ლებისათვის -ნი. მრავლობითის ნიშანი ემატება სახელის ფუძეს, რომლის შემდეგ დაისმის ბრუნვის ნიშანი. ე.ი. ახალ სომხურში მრავლობითი რიცხვის გაფორმება სახელებში ქართულის მსგავსია;

ბრუნვა კი ხუთია, თუ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომ მორფოლოგია დამოუკიდებელ ბრუნვად მიიჩნევს განსხვავებულ ფორმას. სომხურ გრამატიკულ ლიტერატურაში კი ამჟამად გაბატონებული მოსაზრების გამო ბრალდებითაც ცალკე ბრუნვად გამოყოფენ, თუმცა პირდაპირ დამატებას (ბრალდებითს) არასოდეს მოეპოვება თავისი საკუთარი ფორმა: იგი ან სახელობითის, ან ნათესაობით-მიცემითის ფორმას იყენებს, ამიტომ უფრო მართებულია მისი განხილვა სინტაქსში და არა მორფოლოგიაში. ყველა სხვა ბრუნვას თავისი საკუთარი ფორმა აქვს. ამრიგად, ახალი სომხური ენის ბრუნვებია:

1. სახელობითი – ուղղակასն
2. ნათესაობით-მიცემითი – սեռակასն-տրակასն
3. დაწყებითი – բացառակასն
4. მოქმედებითი – գոძխակასნ
5. ადგილობითი – ներգոյակასն

როგორც ვხედავთ, ბრუნვათა სისტემა ქართულსა და სომხურში საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისგან. სწორედ ამ განსხვავებული სტრუქტურის თანხვედრის მიზეზიცაა მთელი რიგი შეცდომებისა ენის შესწავლის პროცესში.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ ერთ-ერთ ტექსტს, რომელშიც თვალსაჩინოდაა მოცემული სომეხი მოსწავლისათვის სრულიად ტიპობრივი რამდენიმე შეცდომა ქართული ტექსტის შესების დროს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემა შექმნა მოთხრობითმა ბრუნვამ წარსული დროის ერთპირიანი ზმნის ფორმასთან.

შეცდომაა:

„მამამ ევროპაში მოგზაურობდა...“

„ჰაიკუმმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა“.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის დაკვირვებები, რომელიც ფიქსირდება მხატვრულ ლიტერატურაში არაქართველთა,

კონკრეტულად სომხების ქართულად მეტყველების დროს ქართველი მწერლების მიერ. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უპირველეს ყოვლისა, ამ ენის სისტემის ათვისება ხდება [[https://cciiir.ge/images/pdf/1348829210\\_BE\\_3\\_GEO.pdf](https://cciiir.ge/images/pdf/1348829210_BE_3_GEO.pdf)]. ხოლო რამდენადაც სისტემა ლინგვისტიკის შესწავლის სფეროა, სწორედ ლინგვისტიკის მონაცემების მომარჯვებაა საჭირო ენის შესასწავლად.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ხშირად ენის სისტემის შესწავლაზე უფრო დიდი ძალა მეტყველების ათვისებას აქვს, რამდენადაც მეტყველება არის მთავარი კომუნიკაციის დროს. კომუნიკაცია კი ცალკე სამსჯელო თემაა (ამ საკითხს კიდევ შევეხებით).

ბრუნვათა სისტემაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ბრუნებადი მეტყველების ნაწილების თავისებურებები. ამიტომ ცალ-ცალკე უნდა შევხვით არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელს, რომლებიც ქართულში (ისევე როგორც სხვა ენებში) ბრუნებისას გარკვეულ სხვადასხვაობას გვიჩვენებენ.

ჩვენი მიზანი არ არის (და ვერც იქნებოდა) ქართულ-სომხური ბრუნების სრული შეპირისპირებითი დახასიათება, რადგან საკითხი ძალიან ფართოა, ისტორიულ წიაღსვლებსა და ტიპოლოგიური მეთოდოლოგიის ყოველმხრივ გამოყენებას მოითხოვს, რაც აღემატება ამ ნაშრომის ფორმატს. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართულებით მუშაობისთვის წინამდებარე კვლევასაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა. ამჯერად კი, როგორც უკვე ვთქვით, ვესწრაფვით სომხურენოვანი კონტინგენტისათვის ქართულის სწავლებისას წარმოქმნილი პრაქტიკული სიმძნელების აღწერას, განხილვას, შეფასებასა და, შეძლებისდაგვარად, რეკომენდაციების შემუშავებას.

ნაცვალსახელთა ბრუნებისას სომხური გარკვეულ თავისებურებას იჩენს: მაგალითად. კუთვნილებით ნაცვალსახელს მყარი ადგილი აქვს, ის აუცილებლად წინ უძღვის საზღვრულს; ამით სომხური მკვეთრად განსხვავდება ქართულისაგან, რომელსაც კუთვნილებითი ნაცვალსახელის დასმა ყველგან შეუძლია საზღვრულის წინაც და საზღვრულის შემდეგაც, იქამდე,

ქართულში ნაცვალსახელი (და ნებისმიერი სხვა მსაზღვრელად გამოყენებული სახელი) შეიძლება სხვა წევრმაც დაამოროს საზღვრულს და მაინც სინტაქსური კავშირი არ დაირღვევა:

ქართული	სომხური სიტყვასიტყვითი (ელექტრონული თარგმანი)	სალიტერატურო სომხური
ჩემო ტკბილო მეგობარო	ჩუნ քաղցրი ընկերը	ჩუნ քաղցրი ընկերս
მეგობარო ჩემო ტკბილო	Ընկեր իմ քաղցր	Ենկերս իմ քաղցր
მეგობარო ტკბილო ჩემო	Ընկերսական քաղցր իմ	Ընկեր իմ քաղցր

### ცხრილი 1. ელექტრონული და სალიტერატურო თარგმანა

სალიტერატურო სომხურში მრავლობითის წარმოებისას რამდენიმე წესი მუშაობს, რომლებიც დიალექტებში დაცული არაა:

ა) ე.წ. უთვლადი სახელები (ქართულში რომ კრებითს ვუწოდებთ) მრავლობითს არ აწარმოებენ; ქართულისა არ იყოს, ამ სახელების მრავლობითში ჩასმა შეიძლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეიცვლება სახელის შინაარსი ან კონოტაცია. (მაგალითად: թեյ-ჩაი, հաց-პური, մեղր-თაფლი, կարագ-კარაქი, կաթ-რძე, და სხვ. );

ბ) ქართულის მსგავსად სომხურში მრავლობითზე მიმანიშნებელი მსაზღვრელის არსებობის შემთხვევაში საზღვრული სახელი აღარ აწარმოებს მრავლობითს და მხოლოდითში რჩება (այստեղ երեք կարմիր ბაղჩქ է – აქ არის სამი წითელი ყვავილი) [<https://www.dissercat.com/content/subetnicheskie-gruppy-armyan>].

მიუხედავად იმისა, რომ ორივე წესი ქართულსა და სომხურს საერთო აქვთ, შეცდომები ამ ორივე წესთან დაკავშირებულ მაგალითებში მაინც გვხვდება.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ტაბიძე, 2008 - ტაბიძე მ., ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების პრობლემატიკა საქართველოს ენობრივი სიტუაციის ფონზე, ქართველური მემკვიდრეობა XII, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2008, გვ. 294-304.

ჩიქობავა, 1956 - ჩიქობავა არნ., მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, თბ., 1956.

ჩინჩალაძე..., 1998 - ჩინჩალაძე მ., პოლოსიანი ვ., ქართულ-სომხური სასაუბრო. რედ.: ნ. საგანელიძე. თბილისი: განათლება, 1989.

შილაკაძე, 1971 - შილაკაძე ივ., ახალი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით: სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1971.

შანიძე, 1956 - შანიძე ავ., წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, თბ., 1956.



*მაცვალა დავითაძე*

*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

## შამილის სახე აკაკი გაწერელიას პროზაში

### *მოკლე შინაარსი*

მეოცე საუკუნის თვალსაჩინო მწერლისა და მეცნიერის, აკაკი გაწერელიას მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს მთის ამაყი შვილის, შამილის სახის ჩვენებას. ზოგადად, შამილის სახე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში წარმოჩნდა როგორც ერთგვარი პარადიგმა დაუმორჩილებლობისა და თავისუფლები-სათვის მებრძოლი გმირისა. ამ დამოკიდებულებითაა შექმნილი აკაკი გაწერელიას ისტორიული მოთხრობები.

ნაშრომში მოცემულია აკაკი გაწერელიას მოთხრობების „იმამის ერთი დღე“, „იმამი ლოჟაში“ და „ბოსკოს შეგირდის“ მხატვრული ანალიზი.

ავტორის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, თავისუფლები-სათვის მებრძოლი გმირის – შამილის სახის ჩვენება, მისი დამარ-ცხების შემდეგ, ტყვეობაში, მისი იდეალიზება, მეორე მხრივ კი, თანამედროვეთათვის თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდება.

**საკვანძო სიტყვები:** აკ. გაწერელია, მოთხრობები, შამილი, კავკასია, თავისუფლებისათვის ბრძოლა.

*Makhvala Davitadze*

*Doctor of Philology, Associate Professor,*

*Samtskhe-Javakheti State University,*

*Akhaltzikhe, Georgia*

## THE FACE OF SHAMILIN AKAKI GATSERELIA'S PROSE

### *Abstract*

Remarkable writer of the 20th century Akaki Gatsserelia`s artistic work takes up a lot of space to show the face of Shamil, the face of a proud son of the mountain. In general ,in the works of Georgian writers, the face of Shamil appears to be a paradigm of disobedience and a hero fighting for freedom. Akaki Gatsserelia`s historical novels are created with this attitude. The article contains artistic analysis of Akaki Gatsserelia`s novels such as “One Day of the Imam”, “Imam in the lodge”, and “Bosco`s apprentice”. The author`s goal is to show the face of the hero Shamilstruggling for freedom on the one hand, and on the other hand to urge contemporaries to fight for freedom.

**Key Words:** Akaki Gatsserelia, stories and novels, Shamil, Caucasus, struggle for freedom.

**შესავალი.** მწერლობაში არაერთი მწერლის შთაგონების წყაროდ იქცა კავკასიის ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის შამილის წინამძღოლობით.

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, კავკასიელ მუსლიმთა პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი შამილი 1834 წელს იმამად აღიარეს. შამილმა შეძლო ის, რომ დაღესტანი და ჩეჩნეთი, მოგვიანებით კი ჩერქეზეთიც, გააერთიანა, ჩამოაყალიბა იმამატი და 25 წლის განმავლობაში შეუდრეკლად იბრძოლა თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ, დაღვარა ბევრი ადამიანის სისხლი, ამ ბრძოლაში შამილი იყო შეუვალი, როგორც გარეშე, ასევე ბევრ შინამოწინააღმდეგესაც გაუსწორდა უმკაცრესად, ამაყმა შამილმა გაუძლო უამრავ განსაცდელს, შემოიღო შარიათის კანონი, სამშობლოსათვის საკუთარ შვილსაც კი არ ზოგავდა, მისცა რუსებს მძევლად, ხოლო გამოსახსნელად სასტიკი გზა მოძებნა. კავკასიის თავისუფლებისათვის

უთანასწორო ომში ჩაბმული, შეუპოვარი და უდრეკი ნების-ყოფის გმირი, სამწუხაროდ, განწირული აღმოჩნდა დასამარცხებლად. თავდაუზოგავი მებრძოლის, შამილის სახე არის ნაჩვენები ქართველი მწერლის, აკაკი გაწერელიას შემოქმედებაში.

**მიზანი.** თავისუფლების იდეა მეცხრამეტე საუკუნის მთავარი ორიენტირი და ღირებულებაა. არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არის დახატული შამილი, როგორც კავკასიის ხალხთა თავისუფლებისათვის დაუცხრომელი და თავდადებული მებრძოლი ადამიანი. ქართულ ლიტერატურაში შამილის სახე წარმოჩნდა როგორც ერთგვარი პარადიგმა დაუმორჩილებლობისა. ასეა დახატული მთის არწივის – შამილის სახე აკ. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, გრ. რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ა. კალანდაძის, აკ. გაწერელიას შემოქმედებაში.

დღემდე აკაკი გაწერელიას მოთხრობები და ნოველები, რომლებიც შეეხება კავკასიელი ხალხის ბრძოლას რუს კოლონიზატორთა წინააღმდეგ, არ არის შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია მწერლის მიერ ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, მიზანი კი თავისუფლების მოყვარე ადამიანის – შამილის სახის ჩვენებაა.

**მსჯელობა.** რუსეთის იმპერიის ნაწილად გახდომის დღიდან საქართველო ყოველთვის იბრძოდა დაკარგული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღსადგენად. ყველაზე უკეთ თავისუფლებადაკარგულ ქართველობას ესმოდა კავკასიელი ხალხის თავდადებული და ხანგრძლივი ბრძოლის ჟინისა, რომლის მიზანს წარმოადგენდა კავკასიიდან რუსის განდევნა, თავისუფლების მოპოვება და ღირსეული ცხოვრება. ლიტერატურა ყოველთვის ცდილობდა მხატვრული სიტყვით მებრძოლებოდა სამშობლოს დამპყრობელს.

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში რუსეთის იმპერიის მხატვრული სახე ალეგორიულად იკითხებოდა. ტყვეობა, დატივევება, დატყვევებული სატროფოს სახით სამშობლოს წარმოდგენა იქცა რომანტიკოსთა შემოქმედების მთავარ სახედ.

რომანტიკოსთა კვალად, არაერთმა ქართველმა შემოქმედმა ასახა თავის შემოქმედებაში თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეალი.

ქართველი მწერლები განსაკუთრებით დაინტერესდნენ შამილის მიერ რუსი დამპყრობლის წინააღმდეგ წარმოებული ომის მხატვრულად ასახვით.

1834 წელს შამილი აირჩიეს იმამად. მისი ხელმძღვანელობით იმამატი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა კავკასიის წინააღმდეგობის მოძრაობაში. ის 25 წელი მეთაურობდა დაღესტნისა და ჩეჩნეთის მთიელებს რუსებთან უთანასწორო ბრძოლაში. მეტისმეტად სძულდა რუსობა. და მათ სახელს დამამცირელად მოიხსენიებდა. რუსები მიაჩნდა უპირო, მოღალატე და გაუტანელ ხალხად. დიდი სამხედრო ტალანტი და ორგანიზატორობის ნიჭი, უდრეკი ნებისყოფა და შეუპოვრობა მთლიანად შეაღია თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს.

1859 წლის 25 აგვისტოს შამილი გარშემორტყმული აღმოჩნდა 400 თანამებრძოლთან ერთად ღუნბში და 26 აგვისტოს ტყვედ ჩაბარდა. იგი გადაასახლეს კალუგაში, შემდეგ კიევში. 1870 წელს ალექსანდრე მეორემ მას ნება დართო მექაში მომლოცველად წასულიყო. ჰაჯის შესრულების შემდეგ იგი ეწვია მედინას, სადაც გარდაიცვალა.

თავისუფლებისათვის მისმა ხანგრძლივმა ბრძოლამ სიმპათიით განაწყო ბევრი ქართველი მწერალი და შემოქმედი. მის სახეში ხედავდნენ იმ გმირს, რომელიც ასე სჭირდებოდა კავკასიას.

თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის მთავარი ორიენტირსა და ღირებულებას წარმოადგენდა. არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არის დახატული შამილის სახე, სახე კავკასიის ხალხთა თავისუფლებისათვის დაუცხრომელი და თავდადებული მებრძოლი ადამიანისა. ქართულ ლიტერატურაში შამილის სახე წარმოჩნდა, როგორც ერთგვარი პარადიგმა დაუმორჩილებლობისა. ასეა დახატული მთის არწივის – შამილის სახე აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ა. კალანდაძის და სხვათა შემოქმედებაშიც.

რუსულ იმპერიალიზმთან დაპირისპირება, ჩეჩენთა პრინციპული პოზიცია, ყველაფრის ფასად თავისუფლების მოპოვების წყურვილი, ქართველი მწერლების შემოქმედებაში აღტაცებისა და მათდამი სიმპათიის გამოხატვაში გამოვლინდა.

მაგ. ალ. ყაზბეგმა ნაწარმოებში „იმამის მკვლელი“ შექმნა შამილის ჰეროიკული პორტრეტი და ის აქცია თავისუფლებისათვის ბრძოლისა და მტრისადმი დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ. შამილი წარმოადგინა კეთილშობილ, პატრიოტ და სამშობლოსთვის თავგანწირულ, მტერთა რისხვისშემყრელ ადამიანად. შამილი იქცა იდეალიზებულ გმირად. ასეა წარმოდგენილი შამილის სახე სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაშიც.

ქართველ მწერალთა ინტერესი შამილის პიროვნების მიმართ არ შენელებულა და არ გაფერმკრთალებულა არც შემდგომი ხანის ქართულ ლიტერატურაში. ამის ნათელი მაგალითია ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის აკაკი გაწერელიას შემოქმედება.

აკ. გაწერელიას ლიტერატურული საქმიანობის დასაწყისად უპირობოდ მიჩნეულია 1927 წელი. თავად ლიტერატორი კი თვლიდა, რომ მან ლიტერატურული საზოგადოების კარი 1926 წელს შეადო, როცა 16 ჭაბუკი, ნიჭიერებით გამორჩეული, მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატის რანგში ნიკო ნიკოლაძისა და ვასილ ბარნოვის გვერდით იდგა.

მის მხატვრულ შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ისტორიულ მოთხრობებს: „იმამის ერთი დღე“, „ამზათი“, „ჩირ-იურთი“, „იმამი ლოჟაში“, „ბოსკოს შეგირდი“ „ორეული“, რომანი-მატიანე „შამილი“, გულდასაწყვეტია რომ ის მუშაობდა ისტორიულ რომანზე, სურდა შეექმნა „დიადი ეპოპეა“ შამილის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ეს სურვილი აუსრულებელი დარჩა. აკაკი გაწერელიას ნაწარმოებებში დახატული იმამის სახე მონუმენტურია და ადამიანური ღირსებითაა სავსე.

ნაწარმოებს „იმამის ერთი დღე“ წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად აპ. რუნოვსკის დღიურის ჩანაწერი, რომელიც 1861 წლით თარიღდება: „თხემით ტერფამდე ფილოსოფოსი-სტოიკოსი. უღარიბესი და უღელვებელი ფაკირი მთელს ქვეყანაზე. თავისავე თავის ტყვე“ - ეს მინაწერი ავტორის ხერხია, რომ შეამზადოს მკითხველი შამილის დიდებულების სისრულით აღსაქმელად. აწერს 1858 წლის ზამთრის ერთ სუსხიან დღეს ვედენოში და შამილს, უმკაცრეს სტოიკოსს გვიხატავს ადამიანურად თბილი დამოკიდებულებით. ეს დამოკიდებულება იკითხება შამილის ქცევა-მანერებში თავის საყვარელ კატასთან

მიმართებაში. „გაუფანტავი მოწყენა არგუნა შამილს უზენაეს-მა“, წერს ავტორი, და მეტაფორული ფრაზით ხატავს გარემოს, რომელშიც შამილი იმყოფება: „მისი სარკმლიდან კარგად ჩანს დათოვლილი ჩერმოილამი, ჟამიდან ჟამზე არემარეს ყვა-ვები გადაუფრენენ“. ყვავების გადაფრენა ერთგვარი ალეგორიაა მტერთა შემოსევისა.

აკ. გაწარელია ამ ნაწარმოებში აღწერს შამილის რეზიდენციას და საგანგოდ ხაზს უსვამს მესამე ოთახს – იმამის კაბინეტს, სადაც „ლოცულობს, კითხულობს და იძინებს იმამი“, „...მდიდარი ბიბლიოთეკა, ოთახის სამივე კედელი ჭერამდე სავსეა არაბული წიგნებითა და მანუსკრიპტებით“, – წერს ავტორი, რითაც ხაზს უსვამს შამილის დამოკიდებულებას წიგნისა და განათლებისადმი. „ომისაგან მოცლილი მთიელთა ბელადი მეტწილად ოთახშია ჩაკეტილი, ლოცვისა და კითხვის შემდეგ სიძეებს ღებულობს და არაბული გრამატიკის, ლოგიკისა და ლექსწყობის კანონებს უხსნის მათ, ან ყურანის სურებს განუმარტავს, ან კიდევ ჰაზავათის წარსულ ამბებს უყვება“. განათლებული შამილის სახე იკვეთება ერთი მეტაფორული წინადადებით: „როცა საუბრობს ხუნძურ კილოკავზე ან არაბულად – ვარდები ცვივა ბაგეთაგან“, – წერს ავტორი. რკინისებური ნებისყოფა, მიმოხრა – მტკიცე, მაგრამ არა დუნე“, – ეს არის შტრიხები, რითაც მართლაც მთელი დიდებულებით წარმოუდგება მკითხველს შამილის სახე, რომელსაც სწამდა, რომ „ყველაფერში უზენაესის ხელი ურევია!“

„ჭკვიანი და დიადი“, „მთვლემარე ლომი“, - ასე ახასიათებს ავტორი შამილს.

შამილი ასეთი ზვიადი, ამაყი, მტკიცე და მკაცრი სახის დახატვის შემდგომ, ავტორი ნაწარმოების ბოლოს ხატავს შამილის ჩვეულებრივ ადამიანურ თბილ სახეს, რომელიც ვლინდება ნაიბებთან კრების დროს შამილის ქურქის სახელოში მოკალათებული კატის მიერ შობილი ოთხი ცინდალის მზრუნველობაში: „დივანი დასრულდა, მთების ზვიადი მზრძანებელი დარბაზს ტოვებდა გამარჯვებულის გამომეტყველებით, მკერდთან, ქილების ქვემოთ ცინდლები ეჭირა მარცხენა ხელში, ჭრელი და ფერდებჩავარდნილი კატა მის წინ მიხტუნავდა. მოთხრობაში „იმამი ლოჟაში“ რუსებთან ხანგრძლივი ბრძო-

ლის შემდეგ დამარცხებული შამილის სახეა დახატული. მაგრამ ტყვეობისა და დამარცხების შემდეგაც ზვიად ბუნებასა და წონასწორობას რომ ინარჩუნებს. ტყვეობაში მყოფი შამილის სულში ქარცეცხლი ტრიალებს, რომლის დაფარვასაც ის ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ცდილობს. „შამილის გარეგნობაში ყველაფერი ძლიერ ნებისყოფას და მბრძანებლობას და ჩვეულ ხასიათს ამჟღავნებდა. ხანდაზმულობის მიუხედავად, მისი მიმოხრა აღსავსე იყო საკუთარი ღირსების შეგნებითა და საზღვარმიჩენილი, მრისხანებანარევი გრაციით“, შამილი არც ასეთ რთულ ვითარებაში კარგავს წონასწორობას. სწორედ ამიტომ გამოჩენისთანავე მაგიურად მოქმედებდა მნახველებზე. მნახველები კი მრავლად ჰყავდა სევასტოპოლსა თუ ხარკოვში და გაოცებულს ტოვებდა მათ, რადგან სისხლის მსმელი ფანატიკოსისა და ველური კავკასიელის ნაცვლად მათ წინაშე მოხუცი რაინდი იდგა ფერმკრთალი, მაგრამ ჭკვიანი სახით.

ტყვე იმამს განგებ მოუწყეს თბილი შეხვედრა, ისმენს მათ ქათინაურებს და არ კარგავს წონასწორობას. „უცხო მამაკაცებისა და ამ საზოგადოებაშიაც ექს-იმამმა ჩვეული სიმშვიდე და ზვიადი სისადავე შეინარჩუნა. მუდამ სერიოზულ მის სახეს ხანდისხან თუ გაანათებდა ანაზდეული ღიმილი.“

არაჩვეულებრივად იხატება შამილის სახე ვერდის მუსიკის მოსმენის შემდეგ, ტრუბადურის გამოსათხოვარმა არიამ და ელეონორას სასოწარკვეთილმა მოთქმამ მრისხანე მთიელს ცრემლი მოჰგვარა. არადა, ოცდაათი წელიწადი არავინ უკრავდა მის სამშობლოში, არავინ ერთობოდა თარით და ჩონგურით. შამილი სასტიკად სდევნიდა მთიელთა გონების მათრობელ ყველა აზარტულ გართობას, ახლა კი, „მრავალი ჯოჯოხეთური წამების მნახველი სამოცდასამი წლის შამილი, დიდი იმამი თვითონ ისმენდა მუსიკას კურსკის იტალიურ ოპერაში და ელეონორას ბედ-იღბლით იყო შეძრწუნებული“. მიუხედავად ასეთი სულიერი ტკბობისა, ანტრაქტის დროს შამილს არ ავიწყდება მკაცრი რეალობა, რომლის გამოც ღრმად ამოიხრებდა ხოლმე. სულიერ შვებას ასეთ დროს ყურანის რომელიმე სურის გამეორება ან კრიალოსანის მარცვლა ჰგვრიდა.

რა თქმა უნდა, ოპერაში, წარმოდგენის დროს ლოყებსა და პარტერებში წარმოთქმული რეპლიკებიც წვდება მის ყურს: „აი,

გმირის ტიპი! არა ეს ავაზაკის ტიპია! მოწამის ტიპია! რა უძირო სევდაა“. იმამი ამ რეპლიკებსაც მდუმარედ იღებს.

რუს ქალბატონთან ორიოდე ფრაზით გასაუბრება ვერ წყვეტს მთის ამაყი არწივის ფიქრს. კარეტაში ჩამჯდარი იმამი თითქოს თავის თავს ელაპარაკება: – „მხოლოდ უზენაესის კარნახით გადახდილი ომია ტკბილი და მწარეც... ვალლაჰ!“ ავტორი შამილის სახეს უდიდესი ხელოვნებითა და პორტრეტის ხატვის ოსტატური ხერხებით, სიდიადით აღწერს და ბოლოს ერთგვარად აფასებს: „გალიაში მთვლემარე ლომი, რომელსაც ძველი ბუნაგი ეზმანება“

მოთხრობა „ბოსკოს შეგირდი“ თითქოს ერთგვარი გაგრძელებაა შამილის კალუგაში ყოფნის ქრონიკისა. ნაწარმოებში კიდევ უფრო საინტერესოდ იხატება შამილის სახე, რომელიც სასტიკად კრძალავდა თრობას, თამბაქოს წევას, მუსიკას, აზარტულ გართობას. შამილი იყო მოსამართლე, რომელიც მთიელთა დავას მიუკერძოებლად არჩევდა და ეს განაპირობებდა იმას, რომ მან შეძლო „ოცდახუთ წელს გამკლავებოდა კავკასიის უძლიერეს მხედრობას“.

შამილის სახე კარგად ჩანს ბოგუსლავსკითან საუბარში, რომელსაც შამილმა გაუმხილა, რომ მას არ აინტერესებს არავითარი სიმდიდრე, მცირედიტაც კმაყოფილია და მხოლოდ ორი სურვილი აქვს: „ყველა ჩემი წიგნი დამიბრუნდეს, სხვა სიმდიდრე ფუჭია“. რაც შეეხება მის მეორე სურვილს, ეს მექაში გამგზავრებაა. საინტერესოა ბოგუსლავსკისა და რუნოვსკის დიალოგი და მათი თვალთ დანახული შამილის სახე: „ექს–იმამი მაგონებს ფილოსოფოს–სტოიკოსს, იგი ყველაზე ღარიბი და აუღელვებელი ფაკირია ამქვეყნად“, – ეუბნება რუნოვსკი ბოგუსლავსკის ფრანგულად.

შამილმა ბოსკოს შეგირდის, ჯამბაზის მიერ რგოლების ტრიალისას, გაანალიზა თავისი მარცხის ერთ–ერთი მიზეზთაგანი. ნაიბებისადმი ბრმად ნდობამ მოუტანა მას სავალალო შედეგი: „ისე უნდა მედევნებინა თვალი მათთვის, როგორც ბოსკოს შეგირდი ადევნებდა სათამაშო რგოლებს. ბებერი შამუილ ცუდი ჯამბაზი გამოდგა“.

მოთხრობის ფინალში ავ. გაწერელია ერთგვარად აჯამებს და კრავს შამილის სახეს: – ოცდახუთი წელი ვმეთაურობდი ჰაზა-



ვათს, დავმარცხდი, მაგრამ საიქიოში პირნათლად წარვსდგები უზენაესის წინაშე – ავი მან დააწესა კანონი, რომელიც რწმენისთვის გადახდილ ომს თუ ჯამბაზის თვალმაქცობასაც ერთნაირად უაზროსა ხდის. ჩვენ ყველანი სათამაშო ვართ განგების ხელში!... მსმენელისათვის გაუგებარი დარჩა კანონის სახელი. შამილი მიუხვდა მათ, ტახტის ზურგს მიეყრდნო და გასაგონათ წარმოთქვა: – ალ–მავთ,“ (სიკვდილი) მოხმობილი კონტექსტი დინამიკურად, ექსპრესიულად და ღრმა აზრითაა დატვირთული. აქ იჩენს სწორედ თავს ავტორის ღრმა, მხატვრული ოსტატობა.

აკ. გაწერელიამ „იმამის ერთი დღე“ 1970 წელს დაწერა, „იმამი ლოქაში“ – 1942 წელს, ხოლო „ბოსკოს შეგირდი“ – 1959 წელს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მას, როგორც შემოქმედს, არასოდეს გადაუხდია ხარკი თავისი დროისა და ოფიციალისათვის, თავის შემოქმედებით ნაფიქრალი არასოდეს გაუმრუდებია, არ მოუქცევია მავანთათვის სასურველ ყალიბში.

შამილის სახის ლიტერატურაში შემოტანით მწერალი ახერხებდა საბჭოთა ეპოქაშიც შეეხსენებინა თანადროული საზოგადოებისათვის იმ დაუღალავი ბრძოლის შესახებ, რომელსაც კავკასია და საქართველო ეწეოდა რუსეთის წინააღმდეგ ხანგრძლივად და უკომპრომისოდ.

ცხადია, მწერლისაგან ეს ნაბიჯი, გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული და ის ამ ნაბიჯზე სრული შეგნებითა და სამშობლოს თავისუფლების სიყვარულით მიდიოდა, რაც მის მიმართ, როგორც ხელოვანისა და ადამიანის მიმართ, კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განგვაწყობს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

გაწერელია, 1985: გაწერელია აკ. ნოველები და მოთხრობები. თბ., 1985;  
გაწერელია, 1962: გაწერელია, აკაკი. შამილი // რჩეული ნაწერები: [ტ.] 1: წერილები და ნარკვევები, ლიტერატურული ძიებანი, პორტრეტები. ა. გაწერელია. თბ., 1962;

ხუნდაძე, 1934: სიმონ ხუნდაძე. აკაკი გაწერელია, 1934 // მნათობი. - თბილისი, 1934. - №10. გვ. 184-185.

ყაზბეგი, 1948: ყაზბეგი, ალექსანდრე. თხზულებანი, ტ. 2, თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად. თბილისი. საბჭოთა მწერალი. 1948.

*კვა დულაშვილი*  
*ფილოლოგიის დოქტორი,*  
*კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის*  
*მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,*  
*საქართველო, თბილისი*

## **ეფთვიმე მთაწმინდელის ხსენება ბერძნულ ეორტოლოგიონში**

### *მოკლე შინაარსი*

სტატია ეძღვნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ბერძნულ ხელნაწერს, ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილ საეკლესიო განგებას (gr.24), რომელიც პლატონ იოსელიანმა 1849 წელს ათონის მთაზე ყოფნისას გადააწერინა და ჩამოიტანა საქართველოში. განგება შეიცავს მწუხრის და ცისკრის სრულ რეპერტუარს სტიქარონებით და ორი საცისკრო კანონით. განგების ტექსტშივე ჩართულია ლიტურგიის საკითხავები ძველი აღთქმიდან (სიბრძნე სოლომონისა). განგების ორი კანონიდან მეორე არის სრული რვაოდიანი. მეორე კანონის ფარგლებში გაერთიანებულია თითოეულ ოდაში რამდენიმე ტროპარი, რომელთაგან ნაწილი აკროსტიქში არ მონაწილეობს. აკროსტიქის ტროპარების ავტორად დასახელებულია სათაურშივე მანუილ დიდი ეკლესიის რიტორი. ბერძნული წყაროების მიხედვით მანუილი იყო მე-15-16 საუკუნეების მოღვაწე, ცნობილი ჰიმნოგრაფი. იგი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხართოფილაკი და საღვთისმეტყველო სკოლის მასწავლებელი და ავტორიტეტული პიროვნება იყო.

პლატონ იოსელიანი მიუთითებს, რომ ეს საგალობლები გადაწერილია ბერძნული ეორტოლოგიიდან (სადღესასწაულოდან). ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი საინტერესო მხატვრულ სახეებს შეიცავს. რვაოდის თითოეულ სტროფში შესხმულია ეფთვიმე მთაწმინდელი, როგორც ჭეშმარიტი მონაზონი, ასკეტური ღვაწლით მისაბამი მოღვაწე, წმინდა წერილის ქართულად მთარგმნელი და ქართველთათვის ახალი ოქროპირი.

ცნობილია იოანე და ეფთვიმე მთაწმინდელების ცხოვრების XVIII ს-ში დაწერილი ბერძნული რედაქცია. სხვა ბერძნულენოვანი ტექსტი ეფთვიმეს შესახებ ცნობილი არ იყო. აღნიშნული საგალობლის აღმოჩენით გამოჩნდა XV-XVI სს-ების მიჯნაზე მოღვაწე ავტორის მანუილ რიტორის მიერ დაწერილი საგალობელი. ჰიმნოგრაფიული კანონის ტექსტში გამოკვეთილია ეფთვიმეს ასკეტური მოღვაწეობა და ქართული მწიგნობრობის ისტორიაში მისი ღვაწლის მნიშვნელობა. ჩვენი დაკვირვებით, საგალობელი ეფუძნება ეფთვიმეს მოღვაწეობის შესახებ ზეპირ, ტრადიციით გადმოცემულ ცოდნას. ინფორმაციულად მწირია და აქცენტირებულია წმინდა ეფთვიმე მთაწმინდელის მონაზვნური მოღვაწეობა. აღნიშნული საგალობლის სახით შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ივირონში ქართველ მოწესეთა შემცირების მიუხედავად, ეფთვიმე მთაწმინდელის სახელი მაინც განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებოდა.

საინტერესოა, თუ რამ განაპირობა XVI საუკუნეში მანუილ რიტორის მიერ ეფთვიმე მთაწმინდელისდმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული განგების შექმნა? ცნობილია, რომ ამ დროს საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო კერებს დახმარებას უწევდნენ სამცხის ათაბაგები ყვარყვარე II (1451-1498) და მზეჭაბუკი (1500-1515). ათაბაგების ღვაწლთან მიმართებით მოვიხმობ XVI საუკუნეში შექმნილ ერთ ბერძნულ ტექსტს, რომელიც ბერძენმა ისტორიკოსმა სპირიდონ ლამპროსიმ გამოსცა 1909 წელს. ეს ტექსტი აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულთა თხრობას შეიცავს და მისი შემქმნელიც არის მანუილ რიტორი, ტექსტის ბოლოს დართულია ქაიხოსრო ათაბაგისა და მისი ძმის მზეჭაბუკის შესხმა, მათი მოღვაწეობის ქება. ეს ტექსტი რუსული თარგმანით გამოსცა მეცნიერმა ჰრაჩ ბართიკიანმა. ბერძნული ტექსტის გამომცემელი და ბართიკიანიც ყურადღებას ამახვილებენ პოსტბიზანტიურ ეპოქაში სამცხის ათაბაგების ურთიერთობაზე ბერძნებთან.

ამ ტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მანუილ რიტორი პირადადაც იცნობდა სამცხელ ათაბაგებს. ვინაიდან კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხარტოფილაკი და დიდი რიტორი ხშირად იმყოფებოდა ივირონში, როგორც ამას აღნიშნავს მკვლევარი გ. პაპადოპულოსი. XV-XVI საუკუნეებში

სამცხის სკრიპტორიუმში შექმნილი არაერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში იხსენიება ათაბაგების მიერ ათონის ივერთა მონასტრისთვის გაღებული შეწირულობის შესახებ. ამგვარი ინტენსიური ურთიერთობის არსებობა სამცხის ათაბაგებსა და ივირონს შორის, ასევე მანუილ რიტორის მიერ შექმნილი „თხოვა“ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონიც სწორედ ათაბაგთა დაკვეთით დაწერა მანუილ რიტორმა. შემდეგ ეს ტექსტი შევიდა ბერძნულ „ეორტოლოგიონში“ და შემთხვევითი არ არის, რომ ამ საგალობლის ყველაზე ადრეული ხელნაწერი სწორედ ივირონის კოლექციაში აღმოჩნდა. ვფიქრობ, ლოგიკურია, რომ სამცხის ათაბაგები ივირონის აღმშენებლობასთან ერთად მისი კტიტორის სახელის აღორძინებაზეც იფიქრებდნენ.

ამრიგად, Gr. 24-ში არსებული მანუილ რიტორის მიერ დაწერილი ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი ერთადერთი ადრეული ბერძნული ტექსტია, რომელიც ივირონის კტიტორის ხსენების დღეს 13 მაისს სრულდება მონასტერში მისი შექმნის დროიდან დღემდე.

**საკვანძო სიტყვები:** საგალობელი, ეფთვიმე მთაწმინდელი, ივირონი, ეორტოლოგიონი.

***Eka Dughashvili***

*Doctor of Philology, Chief scientific employee of the Korneli Kekelidze*

*National Manuscript Center,*

*Tbilisi, Georgia*

## **EUTHYMIOS THE HAGIORITE IN THE GREEK EORTOLOGION**

### ***Abstract***

The paper deals with a Greek manuscript kept in the National Center of Manuscripts Liturgical Rite, which includes Hymnographic Canons dedicated to Euthymios the Hagiorite (gr. 24) which in 1849, during his visit to Mount Athos, Platon Ioseliani had copied and brought to Georgia.

The canon contains the full repertoire of vespers and matins with kontakions and two matins. The same canon includes liturgical texts from the Old Testament (the Wisdom of Solomon). The second out of two canons is complete with eight odes. In the second canon, each ode incorporates several troparions, some of which are not part of the acrostic. The author of the acrostic troparions, identified in the title as Manuel the Great Church rhetor. According to the Greek sources, Manuel was the 15<sup>th</sup> - 16th cc figure of great authority, famous hymnographer, chartophylax of the Patriarchy of Constantinople and a teacher of a theological school. Platon Ioseliani points out that these hymns have been copied from the Greek festal calendars. The hymnographic canon dedicated to Euthymios the Hagiorite contains interesting poetic tropes, epithets, metaphors. In each stanza of eight odes, Euthymios is praised as a true monk, a model of asceticism, as the translator of the Holy Scripture into Georgian and the new John Chrysostom. There exists a 18th century Greek edition of the Life of John and Euthymios. There were no other Greek texts known concerning Euthymios. With the discovery of the hymn in question, a hymn attributed to Manuel the Rhetor, an author of 15<sup>th</sup> - 16th cc., was identified. The hymnographic text reveals Euthymios' ascetic life and the significance of his work for the history of the Georgian literature. In our view, the hymn is based on the knowledge transmitted through oral tradition on the work of Euthymios. The information is scarce, and only Euthymios' monastic activity is accentuated. Based on the above hymn, we can judge that despite the reduction of the number of Georgian monks in Iveron, the name of Euthymios the Hagiorite was still mentioned with special honor. It is interesting to observe what led to the creation of a Hymnographic canon dedicated to Euthymios by Manuel the Rhetor in the 16th century. It is known that at that time, Georgian monasteries abroad were assisted by Samtskhe Atabags Kvarkvaré II (1451-1498) and Mzechabuki (1500-1515). Regarding the merits of the Atabags, I will quote one Greek text created in the 16th century, published by the Greek historian Spiridon Lamprosi in 1909. This text contains the miracles of the icon of the Thotikos of Atskuri and it is written by Manuel the Rhetor. Attached at the end of the text is a praise for Kaikhosro Atabagi and his brother, Mzechabuk, and for their work. This text with the Russian translation was published by the Hrach Bartikian. Both the publisher of the Greek text and Bartikian focus on the relationship of the Samtskhe Atabags with the Greeks in the post-Byzantine era. From this text it may be

assumed that Manuel the Rhetor was personally acquainted with the Samtskhe Atabags, since the chartophylax and Rhetor of the Patriarchate of Constantinople often visited Iveron Monastery, as noted by G. Papadopoulos. Numerous testaments of manuscripts created in the Samtskhe scriptorium in the XV-XVI centuries contain information about the donation made by the Atabags to the Iveron Monastery in Athos. The existence of such an intense relationship between the Atabags of Samtskhe and Iveron, as well as the 'narrative' created by Manuel the Rhetor, suggest that the hymnographic law dedicated to Euthymios the Athonite was written by Manuel the Rhetor at the behest of the Athabags. This text was later included in the Greek Eortologion, and it is no coincidence that the earliest manuscript of this hymn appeared in the collection of Iveron. It is probable that the Atabags of Samtskhe, in addition to rebuilding Iveron, were also thinking of reviving the name of its founder. Thus, in Gr 24 the Hymnographic canon dedicated to Euthymios, written by Manuel the Rhetor is the sole early Greek text, This hymnographic canon is involved in the liturgy on May 13th, the day of Iveron Monastery's founder's commemoration since its creation to this day.

**Key Words:** Hymn, Euthymios the Hagiorite, Iveron, Eortologion.

**მიზანი:** სტატიის მიზანია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ Gr24 ხელნაწერში არსებული ეფთვიმე მთაწმინდელისდმი მიძღვნილი ბერძნული ლიტურგიკული განგების ტექსტის ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური კვლევა, ჰიმნოგრაფიული კანონის ტექსტის ავტორის იდენტიფიკაცია და ბერძნული ტექსტის ანალიზი; ამ ტექსტის მნიშვნელობის განსაზღვრა ივირონის ხელნაწერი მემკვიდრეობის ისტორიაში.

**მეთოდი:** ნაშრომში ვიყენებ კვლევის მულტიდისციპლინურ მეთოდებს, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ, ისტორიულ-შედარებით და აღწერილობით მეთოდებს.

**შესავალი.** ათონის ივერთა მონასტერი და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ქართული ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ივირონის ისტორიული მნიშვნელობის გამო. ივირონის ქართულ და ბერძნულ ხელნაწერთა კოლექცია დიდი ხანია ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევის საგანია. თუმცა არსებობს ჯერ

კიდევ ისეთი ხელნაწერები, რომლებიც სამეცნიერო წრეებისთვის უცნობია. მათი სხვადასხვა ასპექტით კვლევა მნიშვნელოვანია ათონის ქართველთა მონასტრის კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად. ამგვარ ხელნაწერთა შორის უნდა დავასახელოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი საეკლესიო განგება Gr.24.

აღნიშნული ტექსტი პლატონ იოსელიანმა 1849 წელს ათონის მთაზე ყოფნისას გადააწერინა და ჩამოიტანა საქართველოში. ამაზე მიუთითებს ხელნაწერის სატიტულო გვერდზე მინაწერი: „ესე მწუხრისა და ცისკრის საგალობელნი პატივად წმიდისა ქართუელის ევთიმისა, გარდამოვაწერინე ათონის მთასა ყოფასა ჩემსა, ლავრასა შინა ყოვლადწმიდისა პორტაიტის ღ(მრთი)სმშობელისასა, - 12 მაისს 1849 წელსა, პლატონ იოსელიანმან.“

იმავე გვერდზე: „მაისის 13-სა ხსენება ღირსისა მამისა ევთიმი ქართუელისა საგალობელნი მცირესა, დიდსა მწუხრსა ზედა, და ცისკარზედ სათქმელნი“.

ხელნაწერი შეიცავს 21 ფურცელს. ნაწერია მინუსკული კალიგრაფიული ხელით, შავი მელნით, სათაურები და მთავრული ასოები - წითელი მელნით. სტიქარონების დასაწყისი მთავრული ასოები ოდნავ ორნამენტულია. შედგენილობა - შინაარსი: ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი ერთი დღის 13 მაისის განგება, შედგება მწუხრის, ცისკრის სტიქარონებისგან და ცისკრის ორი კანონისგან, მათგან ერთი კანონი სრულიად. აქვს აკროსტიქი. მეორე კანონი ნაკლულია (ἔτερος-სხუა). განგება კომპილაციური ხასიათისაა.

მოვიყვანო ტექსტის შედგენილობის მოკლე აღწერილობას:

Τῷ αὐτῷ μῦθῳ, ἰγ´. τοῦ ὁσίου καὶ θεοφόρου πατρὸς ἡμῶν Εὐθυμίου, τοῦ τῆς καθ' ἡμᾶς βασιλικῆς, πατριαρχικῆς, μεγίστης λαύρας τῶν Ἰβήρων κτίτορος. ἐν τῷ μικρῷ ἔσπερινῷ ἰσθᾶμεν στίχ· δ´. στίχῳ· προσόμια. ἦχος, δ´. ἕδακας σήμεωσι. (φ. 3ρ) (წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა, სამეფო და საპატრიარქო დიდი ლავრის ივირონის დამაარსებლისა, მცირე მწუხრის.)

**სტიქარონების დასაწყისები:**

Inc .: Ὁ στίλος ὁ πύρινος, ὁ ἀπὸ γῆς ἐνδεικνύμενος ...

Ἐδειξεν ὁ κύριος, δὲ θεοῦργῆμον ὑπερλαμπρόν ...

Οἱ κόσμον μισήσαντες, ...

- Δόξα, ἦχος, πλ(ἀγιδ) β΄.

Inc.: Συγχάρητε ἡμῖν ἅπασαι ...

• Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 4ρ)

Εἰς τὸν στίχον· στιχिरὰ. ἦχδ, β΄.

Οἶκος τοῦ ἐφραθαᾶ.

∴ Καθάπερ ἀστραπή, ...

• Δίκαιος ὡς Φοῖνιξ ἀνθήσει.

Inc .: Ὡς ἐξἀνατολῶν, ἥλιος ἀνατείλας, ...

• Πεφυτευμένος ἐν τῷ οἴκῳ Κυρίου,

ἐν ταῖς αὐλαῖς τοῦ θεοῦ ἡμῶν ἐξανθήσει.

Inc .: Λαύραν τὴν ἱερὰν, ...

• Δόξα καὶ νῦν, ὅμοιον.

Inc .: Τάχυνον ὦ ἀγνή, ...

• Ἐν δὲ τῇ ἀγρυπνίᾳ εἰς τὴν μέγαν ἐσπερινόν, τὸ μακάριος ἀν ἡρ. εἰς στῶμεν στίχους ἦ. Καὶ ψάλλομεν τὴν παρούσαν ἀκολουθίαν, ἥτις ἐτυπώθη ὑπὸ τοῦ κύρ Μαιουήλ τοῦ μεγάλου ῥήτορος τῆς μεγάλης Ἐκκλησίας. ἦχος, α΄. τῶν οὐρανίων ταγμάτων. (დოდო მწუხროს ღამისთევზზე - ნეტარ არს კაცი.... და ვგალობთ ამ სკოლუთიას, რომელიც შეადგინა მანუილ დოდო ეკლესიის რიტორმა. ხმა ა)

• Inc .: Τῷ τῆς σοφίας κρατήρι, ...

**სტროფების დასაწყისები:**

• ἦχδ δ΄. ὡς γενναῖον ἐν μάρτυσιν.

• Inχ.: Φωταυγῆς ὡσπερ ἥλιος, ...

Δόξα, ἦχος, πλ(ἀγιδ) β΄.

Inc .: Ἐξέλαμψεν ἡμνήμησου σήμερον, ...

• Καὶ νῦν, τῆς ἑορτῆς. ὁδος. προκείμ.

τῆς ἡμέρας. καὶ τὰ ἀναγνώσματα.

• Σοφίας Σολομώντος τὸ ἀνάγμω.

Inc .: Δικαίων ψυχαὶ ἐν χειρὶ θεοῦ ...

Σοφίας Σολομώντος τὸ ἀνάγμωσμα.

Inχ.: Δίκαιος εἰς τὸν αἰῶνα ζῶσι, ...

Σοφίας Σολομώντος τὸ ἀνάγμω.

Inc .: Δίκαιος ἐὰν φθάσῃ τελειτῆσαι, ...

• Εἰς τὴν λιπὴν, ἰδιόμελ ἦχος, α΄. (φφ. 7ρ-8)

Inχ.: Ἐπρεπε τοῖς αὐτόπταις τοῦ λόγου ...



ἦχος β΄.

Inc · Ἐν εὐθυμίᾳ ψυχικῇ εὐφημήσωμεν ...

Δόξα ἦχος, πλ(άγιδ) α΄.

Inc · Σαλπίσωμεν ἐν σάλπιγγι ἀσμάτων, ...

- Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 9ρ)
- Εἰς τὸν στίχον. στιχηρά. ἦχος, β΄.

᾽Οτε ἐκ τοῦ ξύλου σε νεκρόν.

Inc · ᾽Οτε ἐν τῷ ὄρει τῷ σεπτῷ, ...

Δίκαιος ὡς φοῖνιξ ἀνθήσει.

Inc · ᾽Αλλον σε γινώσκει ἡ μονή, ...

- πεφυτευμένος ἐν τῷ οἴκῳ Κυρίου.

Inc · ῥύου πειρασμῶν καὶ συμφορῶν, ...

- Δόξα ἦχος, πλ(άγιδ) δ΄.

Inv· Ἐν ἀκήταις καὶ ὀσίοις, ...

- Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 10ρ)
- τροπάριον ἦχος, α΄.

Inc · Ἰσάγγελος ἀνύσας ἐπὶ γῆς βίον ἔν δοξε, ...

- εἰς τὸν ὄρθον, μετὰ τὴν α΄. στιχολογ΄: καθ΄.

ἦχος, α. τὸ τάφον σου σωτήρ.

Inc · Νηστεία προσευχῆ τῶν παθῶν ...

- ἕτερον, Δόξα

Inc · Ἐξήγηθησαν σοφὲ, ἐν τῷ ὄρει ...

- Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς.
- Εἰς τὴν β΄. στιχολογ΄. καθ΄ ἦχος, δ.
- Επεφάνης σήμερον.

Inc · Τὴν τοῦ βίου τάραχον ...

- Δόξα νόμενος.

Inc · Καθαρθεῖς τῷ πνεύματι ἐν τῇ ἀσκήσει, ...

- Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. (φ. 11ρ)

**δοδωνήνο:** τὸν πολυέλεον. καθ΄, ἦχος, δ΄.

- ταχὺ προκατάλαβε.

Inc · Ταῖς θέαις ἰκεσίαις σο.

**δοδωνήνο:** δῖς.

• Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. οἱ ἀναβαθμοὶ, τὸ α-ον· ἀντίφωνον τοῦ δ΄.  
ἦχου. προκμ΄.

- Τίμιος ἐναντίον Κυρίου ὁ θάνατος  
Στίχ<sup>4</sup>. Τὶ ἀνταποδώμεν τῷ Κυρίῳ
- πάσα πνοή, εἰς<sup>4</sup> ἀγγέλ. ὁ ν'. ἰδιόμ. ἦχος, πλ(ἀγιῶ) β'.

Inc .: Τὴν ποίμνην σου πρισμακάαρ ...

- Ὅι κανόνες. τῆς ἑορτῆς μετὰ τῶν εἰρμῶν εἰς στ.<sup>7</sup>

Καὶ τοῦ ἀγίου δύο, εἰς η'. οἶ

- ἀγιὸς ὁ κανὼν ποίημα Μανουήλ ῥητορος τῆς

μεγάλης ἐκκλησίας. οἶ ἡ ἀκροστιχίς.:

Ἕσμασιν Εὐθύμιον ὑμῶν Εὐθυμῖω, Μανουήλ. ὠδή α'. ἦχος, Δ'.  
(კანონები ძლისპირებით. კანონი ქმნილება მანუილ დიდი  
ეკლესიის რიტორის. მისი ავრუსტიცია: „ვუგალობთ ეფთვიმეს (აქ  
ეს სიტყვა შესაძლებელია იყოს ეპიტეტი „კეთილგონიერს“),  
ვუგალობ ეფთვიმეს, მანუილ. გალობა ა, ხმა დ)

ἀνοιξω τὸ στόμα μου.

Inc .: Ἄγγελλων στρατεύμασι, ...

**შენიშვნა:** შეიცავს 4 ტროპარს;

- ἕτερος κανὼν τοῦ ἀγίου, ὠδή, α'. (φ. 12ρ)
- ἦχος, πλ(ἀγιῶ) δ'. ἀρματηλάτην φαραώ.

Inc .: Ἄνοιξον ἕφης τῷ προφήτ ...

**შენიშვნა:** შეიცავს 4 ტროპარს;

- ὠδή, γ'. τοὺς σοὺς ὑμνολόγους θεοτόκε.

Inc .: Σταυρὸν τοῦ Κυρίου ...

**შენიშვნა:** შეიცავს 4 ტროპარს;

- ἄλλος

ὁ στερεώσας κατ' ἀρχάς.

Inc .: Μείζωνος βίον γυναικῶν, ...

**შენიშვნა:** შეიცავს 4 ტროპარს;

- καθήσµα ἦχος, πλ(ἀγιῶ) δ'. τὴν σοφίαν καὶ λόγον.

Inc .: Ἐγκρατείας τοῖς πόνοις πάτερ σοφέ...

- Καὶ τῆς ἑορτῆς ὠδή, δ'. ὁ καθήμενος ἐν δόχῃ.

Inc .: ἑπεισηλθες τοῦ Κυρίου ...

**შენიშვნა:** შეიცავს 4 ტროპარს;

- ἄλλα. σύµου ἰσχύς Κύριε.

Inc .: Ἡ φωταυγής, σοῦ καὶ φωσφόρος πανήγυρις, ...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

- ձծի, Է՛.

էճէճտի տձ սծմքոտո.

Inc · 'Iάμoтo άπoσιν

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

ծոս.՝ Էնo տիմե άπώσo. άλλoս.

Inc .՝ 'Aρετiн ωσπερ μiαν ...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

տiн θեiαν տoտiн кoι άпoтiмoн ձծի ստ՛.

Inc .՝ Mετo тώн άνω δυνάμewн...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

άλλo. iλoσθiηтiмoи σωтiηp.

Inc · 'Iσάγγeλoн eπi γiηs

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

- кoυтoάκioн

իիոս, ձ՛. էπiηφoնiηs σiηмepoн.

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 2 ծրոճոճոճ;

- o δioσώσoс eн πυρι ձծի ճ՛.

Inc .՝ 'υπεξεлθoնтoс тoυ πoтpiδi ...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

- άλλoс. πoиδeс ёβpoиwн eн кoμiнwп.

Inc .՝ πoиδeс ёβpoиwн тiн σoφiαν...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

- πoиδoс eυaγeиs eн тiη ձծի i՛.

Inc · 'Ωσπερ πoтoαмoн тoυ σтoмoтoс σoυ...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

- էπтoπлaсiи́с пoμiнoн. άλλoн.

Inc .՝ 'oлoлaμπiηs ωс iи́лioс...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

- άлoс γiηγeи́иs, ձծի, θ՛.

Inc · Naoс φωтoυγiηs...

**ՅրոճոՅրոճ:** Յրոճոճոճ 4 ծրոճոճոճ;

- άλλo էճէճտի eπi тoυтo o oυpαнoс.

Inc .՝ 'Ωс άσoρкoс βiώсoс...

**შენიშვნა:** შეიცავს 4 ტროპარს;

ἐξαπ' Ὁ δυν' τοῖς ἄστροις

Inc : Τῶν μοναζόντων τὰ στηφί...

- Καὶ τῆς ἑορτῆς.
- Εἰς τὸν αἰῶνος ἰστώμεν στιχ'. δ'. ἦχος, α'.

Πανεύφημοι μάρτυρες.

Inc : Ἐκβρέφους ἀοίδι, ε Χριστῷ...

**შენიშვნა:** შეიცავს 3 ტროპარს;

Δόξα, ἦχος, δ'.

Inc : Τὸ ναζηραίων θεῖον κλῆτος...

- Καὶ νῦν τῆς ἑορτῆς. Δοξολογία μεγάλη, καὶ ἀπόλυσις.

Εἰς τὴν λειτουργίαν τυποικά, καὶ ἐκ τῶν καισίων. ᾠδή, γ'. καὶ  
στ'. κοινῶ Εἰς μνημόσυον (φ. 21<sup>4</sup>)

**მსჯელობა.** განგების ტექსტი შეიცავს მწუხრის და ცისკრის სრულ რეპერტუარს სტიქარონებითა და ორი საცისკრო კანონით. განგების ტექსტშივე ჩართულია ლიტურგიკული საკითხავები ძველი აღთქმიდან (სიბრძნე სოლომონისა). განგების ორი კანონიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე სრული რვაოდიანია და თითოეულ ოდას აქვს თავისი ძლისპირი. ცალკეული ტროპარებისა და სტიქარონების და პირველი კანონის ავტორზე მითითება არ არის ხელნაწერში. მეორე კანონის ავტორად დასახელებულია მანუილ დიდი რიტორი. კანონი აკროსტიქულია და მასში იკითხება

„ἀσματος Εὐθύμιου ἡμῶν Εὐθυμῶ Μαριουῆλ“?

საგალობლის ავტორზე მითითება საყურადღებოა, რადგან სწორედ ეს ფაქტი გვაძლევს შესაძლებლობას, ტექსტის შექმნის თარიღი განვსაზღვროთ.

ბერძნული წყაროების მიხედვით, მანუილ დიდი რიტორი იყო XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი პიროვნება. მისი სახელი ბერძნულ წყაროებში ხშირად გვხვდება (პაპადოპულოსი, 1902: 71-102); (ლამპროსი, 1907: 116-117). მანუილ რიტორი დაიბადა XV ს-ის 80-იან წლებში კორინთოში და მოღვაწეობდა XVI ს-ის პირველ ნახევარში. 1506-1520 წლებში იგი იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საღვთისმეტყველო სკოლის მასწავლებელი. მანუილი დიდი რიტორის და ხარტოფილაკის თანამდებობაზე მსოფლიო საპატრიარქოში მსახურობდა XVI ს-ის 40-იან

წლების ბოლომდე, რადგან კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს 1547 წლით დათარიღებულ სინოდალურ წერილში ის ჯერ კიდევ ცოცხლად იხსენიება:

„Ο Μανουήλ ὁ ῥήτωρ τῆς Μεγάλης Εκκλησίας.? (მანუილი დიდი ეკლესიის რიტორი), ასევე წყაროების მიხედვით, იგი უნდა გარდაცვლილიყო 1550-1551 წლებში, რადგან 1553 წელს რიტორის თანამდებობზე სხვა პიროვნება ჩანს, იოანე ზიგომალასი. (პაპადოპულოსი, 1902: 71-102), (ხრისოხოიდისი, 1991: 429).

მანუილ რიტორი იწოდება „Μανουήλ ὁ Χαρτοφυλαξκαὶ Μέγας Ῥήτωρ τῆς Μεγάλης Εκκλησίας“, „Χαρτοφυλαξ“ და „Μέγας Ῥήτωρ“, „ხარტოფილაკი“ და „დიდი რიტორი“ - ეს იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში თანამდებობა, „ხარტოფილაკი“ დაწესდა VI ს-ში და საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა მისი მოვალეობები. თავდაპირველად „ხარტოფილაკის“ ფუნქცია იყო საპატრიარქოს ან ეპისკოპოსების დოკუმენტაციის დაცვა და მეთვალყურეობა, VII საუკუნიდან მას ევალეობდა მსოფლიო საეკლესიო კრებების დოკუმენტაციის მომზადება და განაგებდა საპატრიარქოს სასამართლოსაც. XI საუკუნიდან იმპერატორ ალექსი კომნენოსის ბრძანებით „ხარტოფილაკი“ გახდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მოსაყდრე, ანუ მისი ნაცვალი (აგათანგელოსი, 2002: 1-2).

მანუილ დიდი რიტორი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ჰიმნოგრაფი და ჰომილიების ავტორი. მას ეკუთვნის მრავალფეროვანი საგალობელი რეპერტუარი და სხვადასხვა საუფლო დღესასწაულზე დაწერილი ჰომილიები. საგულისხმოა, რომ მანუილის ჰომილიებისა და ჰიმნოგრაფიის დიდი ნაწილი შემორჩენილია ათონის ივერთა მონასტრის ბერძნულ ხელნაწერებში, მათ შორის მაგ. აღდგომის დღესასწაულის ჰომილია გვხვდება მხოლოდ ივირონის ხელნაწერში Ibir.512 (BYZANTIACA.2012-2013: 366).

ამავე ხელნაწერში დასტურდება ეფთვიმე ახალი ათონელი-სადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი.

მკვლევარი გ. პაპადოპულოსი მიუთითებს, რომ მანუილ დიდი რიტორი ხშირად სტუმრობდა ივირონს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მონასტრის სამმოსთან, ხელნწ. N512 დათარიღებულია 1515 წლით, და როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მანუილის ჰიმნო-

გრაფიული რეპერტუარის შემცველ ხელნაწერთა შორის ეს არის უძველესი. ტექსტს ამგვარი სათაური აქვს: τοι ὄσιο Ευθύμιο τοι Νέδ. ათონის ივერთა მონასტრის მოსახსენებლებსა და ზოგადად, ხელნაწერ ტრადიციაში „Ὅσιος Ευθύμιος ὁ Νέος“ არის ეფთვიმე ათონელი, ეფთვიმე იბერი (პაპადოპულოსი, 1902: 245). Ibir.512-ში მოცემული ტექსტი სწორედ ის ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელიც პლატონ იოსელიანის მიერ ჩამოტანილ ჰიმნოგრაფიულ განგებაშია ჩართული. ამგვარად, გამოვლინდა XVI საუკუნეში დაწერილი ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლის ავტორიც არის პოსტბიზანტიური ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მაღალი თანამდებობის პირი და ავტორიტეტული ფიგურა, ცნობილი ჰიმნოგრაფი. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძნულ ენაზე შექმნილი ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი სხვა საგალობელი ცნობილი არ არის.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ Gr.24 შეიცავს სტიქარონებსაც და გარდა მანუილ რიტორის მიერ დაწერილი ჰიმნოგრაფიული კანონისა, მეორე არასრულ კანონსაც, რომლის ავტორი მითითებული არ არის. ამრიგად, ეს განგება კომპილაციური ხასიათისაა, აკროსტიქში მონაწილეობს მხოლოდ მანუილის დაწერილი ტროპარები, მეორე კანონის ტროპარებს კი მიწერილი აქვს ἔτερος-სხვა, ეს სტროფები გრამატიკული თავისებურებებით ერთმანეთისგან განსხვავდება. კერძოდ, მანუილის ტექსტი ბერძნული ენის უფრო ადრეულ ეტაპს ასახავს, „სხვა“ კანონის სტროფები კი გვიანდელი XVIII საუკუნის ენისთვის დამახასიათებელი ფორმებით ხასიათდება.

ამ საკითხის უფრო ზუსტად გარკვევა საგალობლების ენობრივი ანალიზით არის შესაძლებელი, შეიძლება ითქვას, რომ XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა ბერძნული ენის ცვლილება, პოსტბიზანტიური ბერძნულიდან „კათარევუსას“ (ბერძნული ენის განვითარების ეტაპი, ე.წ. „სუფთა“ ენა) ადრეული ფორმების ჩამოყალიბება (მახარაძე, 1978: 5-11), როცა ტექსტებში არსებობს ძველი ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმები და იმავდროულად ჩნდება „კათარევუსას“ საწყისი ეტაპის ამსახველი ელემენტებიც.

მიუხედავად ამგვარი სიტუაციისა, ტექსტების ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება. „კათარევუსასთვის“ დამახასიათებელი უმთვრესი ნიშანი არის ზმნის კავშირებითი კილოს ძველი ბერძნულისგან განსახვავებულად გადმოცემა *να* მაწარმოებლით *μαγ. να εἰσαράμην* (რომ აღმოვაჩინოთ,) *να τούς βλάπῃ* (ისინი რომ ენახა) და ა.შ. კავშირებითი კილოს ამგვარად გადმოცემა ნორმად იქცა XVIII საუკუნიდან. ასეთი ფორმები გვხვდება იოანეს და ეფთვიმეს ბერძნული „ცხორების“ რედაქციებში, რომელიც XVIII ს-ის დასაწყისით არის დათარიღებული (მაჩხანელი, 1982: 18-19). განგების ტექსტებში კი კავშირებითი კილო ძველი ბერძნული კონსტრუქციით გადმოიცემა, *μαγ. βίησμεν* (ვხმობდეთ), *Συγχαρήτε* (გიხაროდეთ), *προσπαυτήσασεν* (მივუგებდეთ (აორისტ. კავშირებითი კილო) და სხვა.

ყურადღება მივაქციეთ განგების ტექსტების ლექსიკასაც და ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. *τῶν Ἰβήρων κοσμήταρ, - κοσμήταρ*, სიტყვა ძველ ბერძნულშიც გვხვდება, კათარევუსაშიც და ახალ ბერძნულშიც, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით. ძველ ენაში ეს ნიშნავს წინამძღოლს, მომწესრიგებელს, მოგვიანო პერიოდის ენაში და თანამედროვე ბერძნულში *κοσμήταρ* ნიშნავს მომკაზმველს, მომრთველს. საგალობლის ტექსტში *τῶν Ἰβήρων κοσμήταρ* - ძველი მნიშვნელობით არის მოცემული, ივერთა წინამძღოლი, მომწესრიგებელი და არა მომკაზმველი. თვალში საცემია ასევე აქტიურად გამოყენებული ინფინიტიური კონსტრუქციები *καταπεμπθῆναι*, *φλαττεῖν*, ბრძანებითი კილოს ძველი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ფორმები: *ρῆσαι*, *καθηγιάσαι*, *καταυτήσαι*.

მანუილ რიტორის მიერ დაწერილი ჰიმნოგრაფიული კანონი ტექსტობრივად მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო მხატვრულ სახეებს შეიცავს. ცნობილია, რომ ჰიმნოგრაფიულ ტექსტში თხრობის ელემენტები არ არის, გალობა არის შესხმა წმინდანის ღვაწლისა. საგალობლის ცალკეული ოდების ფარგლებში ხდება თემის ვარიაცია (ქსიდესი, 1978: 25-37). შესაძლებელია ერთი და იგივე თემა მეორედებოდეს კანონის სხვადასხვა ოდაში. ამ თვალსაზრისით ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი ტექსტი გამონაკლისი არ არის. რვა ოდის თითოეულ

სტროფში შესხმულია ეფთვიმე მთაწმიდელი, როგორც ჭემმარიტი მონაზონი, ასკეტურ ღვაწლში მისაბადი მოღვაწე, წმინდა წერილის ქართულად მთარგმნელი და ქართველთათვის ახალი ოქროპირი, ებრაელთა საცთურის დამრღვევი.

ამ თემების ვარიაციაა მოცემული კანონში.

Σοφῶς ὑπέξέφυγες τὸν κόσμον πάσαν προσπάθειαν, ἐκ βρέφους ἂ οἶδιμε, πάτερ Εὐθύμιε, μαράνας του σώματος, τὰ ἐπὶ γῆς μέλη ὅσπερ, σοφῶς καθυπέταξας, τῷ νόμῳ τοῦ νοῦς (სიბრძნით განემორე ამა სოფლის ყოველგვარ მცდელობებს, სიყრმიდან, ნეტარო მამო ეფთვიმე, დააჭუნე სხეული და მიწიერი სხეულის ნაწილები სიბრძნით განაგდე/ განწმინდე) (დაუმორჩილე გონების კანონს),  
οὐσίας ὄντως ἔξασθήσας οὐάπερ, ὅρει τοῦ ἀθανάτου Διαβιτικὸς φοῖνιξ (ავყავდი, როგორც ნეტარი ათონის მთაზე დავითის ფინიკი);

σταύρον τοῦ Κυρίου ἐπι ἁμῶν, πάτερ (უფლის ჯვრის მხრებზე მტკირთველო მამაო),

Χρυσόστομος Εὐθύμιε, τὴν θείαν γραφὴν ἐφερηγυέσας, ἐκ τῆς ἑλλάδος πρὸς τὴν ἰβήραν φανήν, (ოქროპირო ეფთვიმე, საღმრთო წერილის მთარგმნელო ბერძნულიდან იბერთა ენაზე),

Εβραίων ὥσπερ ἰσθόν, ἀράχνης πάτερ διέλυσας προτάσεις λόγους τοῖς σοῖς, θεοσφοῖς ὅσπερ (ებრაელთა ესელის დამრღვევო, შენი ღმრთივგანბრძნობილი სიტყვებით).

ეფთვიმესადმი მიძღვნილ საგალობელში გვხვდება მხატვრული სახეები, შედარებები და ეპითეტები;

πανύμμητε (ყოვლადსაგალობელო), Θεόφιρον (ღმრთივგონიერო), Θεόφορε (ღმერთშემოსილო), σοφέ (ბრძენო), μακάρι (ნეტარო), ὅσι (ღირსო), τρισμακαρι (სამგზისნეტარო), τῶν ἑβραίων μᾶστιξ (ებრაელთა მათრახო).

განგების ტექსტებზე დაკვირვებით აშკარად ჩანს, რომ ეფთვიმე მთაწმინდელის ღვაწლის შესხმისას გამოკვეთილია შემდეგი თემები:

- იგი არის ასკეტური ღვაწლის იდეალი;
- ღმრთივგანბრძნობილი სიტყვით განაჩიქებს იუდეველთა სარწმუნოებას;
- იგი არის ქართველთა სულიერი წინამძღოლი და წმინდა წიგნების ქართულად მთარგმნელი.

ეს სამი თემა ასახულია ეფთვიმე მთაწმინდელის ცხოვრების როგორც ქართულ, ისე ბერძნულ რედაქციებში.



რაც შეეხება მანუილ რიტორის საგალობლების წყაროს, აქვე გამოვრიცხავთ ეფთვიმეს ბერძნული ცხოვრების რედაქციას, რადგან ეს ტექსტი გვიან XVII- XVIII საუკუნეებშია შექმნილი. რაც შეეხება ქართულ ენაზე დაწერილ საგალობლებს, ცნობილია XI საუკუნეში შექმნილი გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილი საგალობელი (Ath. 56) თვენის ბოლოს დართული და XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი განგება. სავარაუდოა, რომ მანუილ რიტორი ჰიმნოგრაფიული კანონის შედგენისას ისარგებლებდა რაიმე ბერძნული წყაროთი ან ივირონში ეფთვიმე მთაწმინდელის ღვაწლის შესახებ არსებული ზეპირი ტრადიციით. უშუალო ბერძნული წყაროს არსებობა დასაშვებია, თუმცა მისი არსებობა ცნობილი არ არის. ვფიქრობთ, მეტად სარწმუნოა ჰიმნოგრაფიული კანონის ტექსტი ეყრდნობოდეც ეფთვიმეს მოღვაწეობის შესახებ ზეპირ ცოდნას. ჩვენთვის საინტერესოა განგების ყველა ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ნაცნობი ავტორის მიერ შედგენილი ტექსტი. Gr.24-ის ტექსტზე დაკვირვებით ნათლად ჩანს, რომ მისი შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა საუკუნეშია შექმნილი, თუკი მანუილ რიტორის მიერ დაწერილი საგალობელი XVI საუკუნეშია დაწერილი, მეორე კანონი უფრო გვიან XVIII საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, ამაზე ზემოთ მოყვანილი გრამატიკული ფორმები მეტყველებს, საბოლოოდ მთელი განგება XVIII საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო, ამ ვარაუდს ამყარებს მ. მაჩხანელის მოსაზრება: „XVIII ს-ის დასაწყისში მონასტრის სიძველის დამტკიცებისთვის მის მესვეურებს არა მარტო სჭირდებოდათ საქვეყნოდ გამოტანა იმ ფაქტისა, რომ მათი მონასტერი X ს-ის ბოლოსაა დაარსებული ქართველთა მიერ, არამედ ამაყობდნენ კიდევ ამით. ამიტომაც შეიქმნა ათონელი მამების იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება და ნიკოდიმოს მთაწმინდელის დაწერილი საგალობელი, ივირონის კტიტორთა ღვაწლის გახსენება და პატივისცემა ამ პერიოდში დადასტურება იყო დიდი მამების სულიერი მემკვიდრეობის გაგრძელებისა“ (მაჩხანელი, 1982: 18-19).

მ. მაჩხანელის დაკვირვება სარწმუნოა და ნათელია, რომ XVIII საუკუნეში რამდენადმე განახლდა ივირონის კტიტორთა მიმართ ყურადღება და მათი ღვაწლის ხელახლა წარმოჩენის აუცილებლობა დადგა.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რამ განაპირობა XVI საუკუნეში მანუილ რიტორის მიერ ეფთვიმე მთაწმინდელისდმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული განგების შექმნა? ცნობილია, რომ ამ დროს ივირონი აღარ არის ქართული მწიგნობრობის მძლავრი კერა, ბიზანტიის დაცემამ, გაუთავებელმა რბევამ მონასტერი დაასუსტა და დააუძლურა, სავანის ბერებმა დასახმარებლად მიმართეს თანამემულეებს. ამ დროს საქართველოს ერთიანი სამეფოც დაშლილი იყო და საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო კერებს დახმარებას უწყევდნენ სამცხის ათაბაგები ყვარყვარე II (1451-1498) და მზექაბუკი (1500-1515). ქართველთა დახმარებამ და შეწირულობამ გამოაცოცხლა ივირონი და ნაგებობათა განახლება დაიწყო (მენაბდე ლ. 1982: 20-21).

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ათონის ქართველთა მონასტერს მფარველობდა ჯაყელ-ციხისჯვარელთა ფეოდალური საგვარეულო. ამის შესახებ ცნობები დაცულია ალაპთა წიგნის ჩანაწერში (№162-164) და მონასტრის არქივის სხვა დოკუმენტებში. ათაბაგი ყვარყვარე დიდი (1451-1498), მისი შვილები ქაიხოსრო (1498-1500) და მზექაბუკი (1500-1515) მონასტრისთვის მნიშვნელოვან შეწირულობას გასცემდნენ, რითაც აღადგინეს კოშკი – ბასტიონი და სენაკების ნაწილი. თავიდან აშენდა მთავარი კოშკი, საავადმყოფო, კათოლიკონის გვერდითი მინაშენი, აშენდა და მოიხატა ტაძრის გალერეა. ტაძარი მოიხატა კტიტორების – ქაიხოსროსა და მზექაბუკის – ასევე, იმ ქართველ მეფეების პორტრეტებით, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდათ მონასტრის აშენება-გაფართოებაში. 1883 წელს მონასტრის ბერძენი წინამძღვრის მითითებით ტაძარი ახალი ფრესკებით მოიხატა, ხოლო წარწერები გადაკეთდა. „ალაპთა წიგნი“ ადასტურებს ბერძნულ წარწერას კათოლიკონის დასავლეთ კედელზე, სადაც აღნიშნულია, რომ 1513 წელს დამთავრებული იყო სამშენებლო სამუშაოები ეკლესიასა და კოშკში; ასევე, გარემონტდა მონასტრის კედლების ღიობები და სათოფურები. შემოწირულობა ივირონში, იერუსალიმსა და სინას მთაზე ხორციელდებოდა ქაიხოსრო ათაბაგის აღზრდილი ამბროსის მეშვეობით, რომელმაც ივირონის ბერებს გადასცა 25 500 თუმანი. საკუთარი ხარჯით ვერცხლით შეამკო ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რაზედაც მეტყველებს მასზე

ამოტვიფრული ასომთავრული წარწერა. XVI ს-ის დასაწყისში 1500-1503 წლებში სამცხის ათაბაგები ინტენსიურად სტუმრობდნენ და უხვ შეწირულობას იღებდნენ ივირონისთვის (სხირტლაძე ზ. 1996: 17-21). ამდენად, ათაბაგების აქტიური მოღვაწეობა ივირონის აღორძინებისთვის ნათელია წყაროების მიხედვით.

ათაბაგების ღვაწლთან მიმართებით ყურადღება მინდა გავამახვილო XVI ს-ში შექმნილ ერთ ბერძნულ ტექსტზე, რომელიც ბერძენმა ისტორიკოსმა სპირიდონ ლამპროსიმ გამოსცა 1909 წ. ეს ტექსტი აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულთა თხრობას შეიცავს და მისი შემქმნელიც არის მანუილ რიტორი, ტექსტის ბოლოს დართულია ქაიხოსრო ათაბაგისა და მისი ძმის მზეჭაბუკის შესხმა, მათი მოღვაწეობის ქება. ეს ტექსტი რუსული თარგმანით გამოსცა მეცნიერმა ჰრაჩ ბართიკიანმა (ზალდასტანიშვილი, 1996.17-21). ბერძნული ტექსტის გამომცემელი და ბართიკიანიც ყურადღებას ამახვილებენ პოსტიზანტიურ ეპოქაში სამცხის ათაბაგების ურთიერთობაზე ბერძნებთან. ამ ტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მანუილ რიტორი პირადადაც იცნობდა სამცხელ ათაბაგებს. ვინაიდან კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხარტოფილაკი და დიდი რიტორი ხშირად იმყოფებოდა ივირონში, როგორც ამას აღნიშნავს გ. პაპადოპულოსი. XV-XVI საუკუნეებში სამცხის სკრიპტორიუმში შექმნილი არაერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში იხსენიება ათაბაგების მიერ ათონის ივერთა მონასტრისთვის გაღებული შეწირულობის შესახებ. ამგვარი ინტენსიური ურთიერთობის არსებობა სამცხის ათაბაგებსა და ივირონს შორის, ასევე მანუილ რიტორის მიერ შექმნილი „თხრობა“ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია, ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონიც სწორედ ათაბაგთა დაკვეთით დაწერა მანუილ რიტორმა. შემდეგ ეს ტექსტი შევიდა ბერძნულ „ეორტოლოგიონში“ და შემთხვევითი არ არის, რომ ამ საგალობლის ყველაზე ადრეული ხელნაწერი სწორედ ივირონის კოლექციაში აღმოჩნდა. ვფიქრობ, ლოგიკურია, რომ სამცხის ათაბაგები ივირონის აღმშენებლობასთან ერთად მისი კტიტორის სახელის აღორძინებაზეც იფიქრებდნენ. ამრიგად, Gr.24-ში არსებული მანუილ რიტორის მიერ დაწერილი ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი ერთადერთი ადრეული ბერძნული ტექსტია, რომელიც

ივირონის კტიტორის ხსენების დღეს 13 მაისს სრულდება მონასტერში საგალობლის შექმნის დროიდან დღემდე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ზალდასტანიშვილი 1996: ზალდასტანიშვილი მ. „მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ“, არტანუჯი, ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, V. თბილისი, 1996, გვ. 17-21.

მაჩხანელი 1982: „იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების“ ბერძნული ცხოვრება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. მაჩხანელმა. 1982.

მახარაძე 1978: მახარაძე ნ. ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი. 1978.

მენაბდე 1982: მენაბდე ლ. ქართული კულტურის კერა ათონზე, თბილისი, 1982.

მენაბდე 1980: მენაბდე ლ. ძველი ქართული სამწიგნობრო კერები, ტ. II, თბილისი, 1980.

სხირტლაძე 1994: სხირტლაძე ზ. ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოჭედებლობა, თბილისი, 1994, 17-27.

Επισκόπου Φαναρίου Αγαθαγγέλου, Γεν. Διευθυντού, Ερμηνεία των οφφικίων της Αγίαςτου Χριστού Μεγάλης Εκκλησίας. Αποστολικής Διακονίας της Εκκλησίας της Ελλάδος, 1-2. [www.apostoliki-diakonia.gr](http://www.apostoliki-diakonia.gr)

BYZANTIAKA 2012-2013: BYZANTIAKA Τόμος 30ός Αφιέρωμαστη Θεσσαλονίκη για τα 100 χρόνια από την απελευθέρωσήτης Θεσσαλονίκη 2012-2013, Μυρσίνη Σ. Αναγνώστου Μανουήλ Κορινθίου του μεγάλου ρήτορος Λόγος στην Ανάστασηκαιστη Ζωοδόχο Πηγή

ლამპროსი: Λάμπρου Σπ. Κατάλογος των ελληνικών χειρογράφων του Αγίου Όρους, Cambridge 1900

-«Μανουήλ ο Κορίνθιος» Νέος ελληνομνήμων, τ.4ος τχ.Α΄, Αθήνα 1907, σελ. 116-117, «Μανουήλ ο Κορίνθιος» Πάπυρος-Λαρούς-Μπριτάνικα, εγκυκλοπαίδεια, τ. 40

ქსიოდესი 1951: Ξύδης Θεόδωρος, Στιχουργικές παρατηρήσεις στην έκκλησιαστική ποίηση, Αθήνα 1951.

ჰაპადოპულოსი: ΠαπαδόπουλοςΓεώργιος „Ιστορική επισκόπησις της βυζαντινής εκκλησιαστικής μουσικής από των αποστολικών χρόνων μέχρι των καθ' ημάς (1-1900 μ.Χ), εκδ. Τέτριος Κατερίνη.

*ნინო მეგენიშვილი*  
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,*  
*საქართველო, ახალციხე*

*შორენა თავაძე*  
*ოსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,*  
*საქართველო, თბილისი*

## **ხელნაწერთა საცავების სტრუქტურულ-თემატური სხვადასხვაობა და ფონდების დაცვის თავისებურება**

### *მოკლე შინაარსი*

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ფონდები დაცულია ოთხ საცავში: ქართულ ხელნაწერთა საცავი, ისტორიული დოკუმენტებისა და უცხოენოვან ხელნაწერთა საცავი, საზოგადო მოღვაწეთა პირადი საარქივო ფონდებისა და ფოტო-მიკროფირების საცავი. თითოეული მათგანი გამოირჩევა თემატური და სტრუქტურული მრავალფეროვნებითა და მათი კონცერვაციის სხვადასხვაობით, რაც გამოწვეულია დაცული ფონდების ფაქტურის ნაირგვარობით.

წყაროების დაცულობისთვის უმნიშვნელოვანესია ყველა ტექნიკური პარამეტრის - კლიმატკონტროლისა და ფონდების განლაგების ცოდნა. იმის მიხედვით, თუ რა მასალაზეა შესრულებული ხელნაწერი: პაპირუსზე, ეტრატზე, ქაღალდზე, რა ფორმისაა ხელნაწერი – წიგნისა თუ გრაფილის სახით, არის ფოტო თუ მიკრო ფირი, მოეთხოვება განსხვავებული ტემპერატურა, განათება, განლაგება, თაროებისა და შესანახი კარადების მასალის შერჩევა, ხელნაწერებსა და თაროებს შორის, ასევე თაროებსა და იატაკს შორის საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული მანძილის დაცვა. ხელნაწერთა კონსერვაციისათვის აუცილებელია ტემპერატურის, ტენიანობის, ხელნაწერების დახრის ტრეექტორიის, განათების საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული რეჟიმის გათვალისწინება გამოფენის დროს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სარესტავრაციო ლაბორატორიის მრავალწლიანმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ,

ასევე მსოფლიოს სხვადასხვა საარქივო ფონდებში დამკვიდრებული ტრადიციამ აჩვენა, რომ სასურველია ცალ-ცალკე ბლოკში ინახებოდეს ქაღალდზე, ეტრატსა და პაპირუსზე შესრულებული ხელნაწერები, სხვადასხვა ბლოკში უნდა განთავსდეს ფოტომასალა და მიკროფირები. თითოეულ საცავს უნდა ჰქონდეს ე.წ. ბუფერული ზონა და დაზიანებული ხელნაწერებისათვის სამუშაო ოთახი. სასურველია, დაცული იყოს განლაგების თავისებურება საცავებსა და სამკითხველო დარბაზს შორის, რათა სხვაობამ საცავის, დერეფნისა და სამკითხველო დარბაზის ტენიანობასა და ტემპერატურას შორის არ გამოიწვიოს ხელნაწერთა სტრუქტურული ცვლილება.

**საკვანძო სიტყვები:** ფონდების დაცვა; ხელნაწერთა საცავეები; კონსერვაცია; ხელნაწერთა აღწერილობა.

***Nino Megeneishvili***

*Doctoral student of Samtskhe-Javakheti State University,*

*Akhaltshikhe, Georgia*

***Shorena Thavadze***

*Doctoral student of TSU Faculty of Humanities,*

*Tbilisi, Georgia*

## **STRUCTURAL AND THEMATIC DIFFERENCES OF MANUSCRIPTS REPOSITORIES AND PECULIARITIES OF FUNDS PROTECTION**

### ***Abstract***

In the National Center of Manuscripts the funds are preserved in four repositories: repository of Georgian manuscripts, repository of historical documents and manuscripts in foreign languages, repository of personal archive funds of public figures and repository of photo-microfilms. Each of them is distinguished by thematic and structural diversity and differences in their conservation, which is caused by the variety of texture of the protected funds. Knowledge of all technical parameters and arrangement of

funds is of great importance for preservation of sources. According to what texture is used for the manuscripts: papyrus, parchment, paper, what its form is: the manuscript book or a scroll, a photo or a microfilm, is demanded special temperature, lighting, arrangement, selection of material for shelves and cases for preservation, observance of distance at international standards between the manuscripts and shelves, also between the shelves and the floor. For conservation of manuscripts it is necessary to take into consideration temperature, humidity, trajectory of manuscripts bent, regime of lighting at internationally accepted standards during the exhibitions. Many year long observation and rich experience in the restoration laboratory of the National Center of Manuscripts and also the tradition established in different archive funds worldwide has shown that it is desirable the manuscripts on paper, parchment, papyrus should be kept in separate blocks, photo material and microfilms should be arranged in separate blocks too. Each repository should have the so-called buffer zone and a separate room for work on damaged manuscripts. It is also desirable to observe specific arrangement between repositories and the reading hall because the difference in humidity and temperature in repository, corridor and reading hall should not cause structural change of the manuscripts.

**Key Words:** Funds Protection; Manuscripts Repositories; Conservation; Manuscripts description.

საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ეთნოკულტურული სივრცეა. სამწერლობო კულტურის გასამღიერებლად საქართველოსა და უცხოეთში ადრექრისტიანულ პერიოდშივე შეიქმნა არაერთი ლიტერატურული კერა (ტაო-კლარჯეთში, გელათში, გარეჯში, ათონზე, სინას მთაზე, პეტრიწონსა და სხვაგან), სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერების შექმნა, გადაწერა, გაცხოველება, უცხოენოვანი თხზულებების ქართულად თარგმნა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იყო. არჩილ მეფე პოემაში „გაბაასება კაცისა და სოფლისა, სწავლა სოფლისაგან კიდევ საერთო (თავი ზ)“ წერდა:

„ვსჭვრეტდი წიგნებს მონასტერში უბუდობით სულა ოდეს  
სიტყვა მათი სასურველი საუკუნოდ გვიფასობდეს,  
საღვთოსა და საკაცობოს ორსავე კარგათ შეამკობდეს,  
მას ყურს არვინ ათხოვბდა, ცუდბუდეზე ბაასობდეს.

სადვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბედობით,  
საშაიროს ინახევდნენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით,  
უმჯობესი დაივიწყეს წესის რასმე ან ახლობით,  
სიმართლესა მრუდმე სცვლიან სიცრუვისა მომზახლობით“.

ხელნაწერთა ფუნდამენტური, მეცნიერული კვლევა XIX საუკუნიდან, კერძოდ, 1879 წელს შექმნილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, შემდეგ კი 1907 წელს შექმნილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების ინიციატივითა და მოწინავე ინტელიგენციის ჩართვით დაიწყო. მათი უპირველესი მიზანი, ფუნქცია ხელნაწერების შეგროვება და პირველი არქეოგრაფიული აღწერილობის შედგენა იყო. განურჩევლად იმისა, ხელნაწერი სრული სახით იყო შემორჩენილი თუ ფრაგმენტულად და მათ ენიჭებოდათ ე.წ. საინვენტარო ნომერი. შემდგომში ხელნაწერები ხელახლა იქნება კატალოგიზებული.

თანამედროვე ეპოქაში ქართული ხელნაწერი წიგნები ინახება საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა ფონდსა და კერძო კოლექციაში. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ხელნაწერი წიგნების, ისტორიული საბუთებისა და პირადი საარქივო ფონდების ერთ-ერთი მდიდარი საცავია საქართველოში. იგი დაარსდა 1958 წელს ილ. აბულაძისა და მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, რაფიელ დვალის და სხვათა, ინიციატივითა და მცდელობით. აქ აქტიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ხელნაწერთა შეგროვება, მათი კონსერვაცია-რესტავრაცია, აღწერილობების შედგენა, ტექსტოლოგიური კვლევა. ამჟამად კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 10 000-მდე ქართული ხელნაწერი წიგნი. ხელნაწერები განაწილებულია 4 კოლექციაში: A ფონდში (ყოფილი საეკლესიო ფონდი), H ფონდში (ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი), S ფონდში (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი) და Q ფონდში (ახალ კოლექციაში ე.წ. მზარდი ფონდი); ხელნაწერი ფონდები მდიდრდებოდა ისტორიული დოკუმენტებითაც (ისინი ხელნაწერი წიგნების მსგავსად განაწილებულია 4 კოლექციაში d, Sd, Hd, Qd), ამჟამად აღნიშნულ ფონდში ინახება 40000-მდე ისტორიული დოკუმენტი; ხელნაწერთა



ეროვნული ცენტრი მდიდარია არაქართულენოვანი ხელნაწერი კოლექციითაც. აქ ინახება არაბული, სპარსული, თურქული, ძველბერძნული, ლათინური, გერმანული, სომხური, რუსული და სხვა, ხელნაწერები და დოკუმენტები; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ასევე დაცულია საზოგადო მოღვაწეთა (პოლიტიკოსთა, მწერალთა, კომპოზიტორთა, მეცნიერთა, მოგზაურთა და სხვათა) 188 საარქივო ფონდი, დაახლოებით 180 000-მდე ერთეული, ასევე ძვ.წ. II–XV საუკუნეებით დათარიღებული 170-მდე პაპირუსი.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ფონდები დაცულია სამ საცავში: ქართულ ხელნაწერთა საცავი, ისტორიული დოკუმენტებისა და უცხოენოვან ხელნაწერთა საცავი, საზოგადო მოღვაწეთა პირად საარქივო ფონდებში. დროთა განმავლობაში დაიწყო საზღვარგარეთ სხვადასხვა ფონდში დაცული ქართულ ხელნაწერთა ასლებისა და მიკროფირების შეგროვება, ამ მიზნით ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებიდან მალევე (1964 წელს) შეიქმნა ხელნაწერთა ფოტო და მიკროფირების საცავი.

თითოეული საცავი გამოირჩევა თემატური და სტრუქტურული მრავალფეროვნებითა და მათი კონსერვაციის სხვადასხვაობით, რაც გამოწვეულია დაცული ფონდების ფაქტურისა და ფორმის ნაირგვარობით.

რა არის ხელნაწერი? ხელნაწერი წიგნი არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც გააჩნია წყაროთმცოდნეობითი, ესთეტიკური, კულტურულ-სამეცნიერო ფასეულობა მისი გარეგნული იერსახისა და შინაარსის მიხედვით. ხელნაწერი წიგნი არის კონკრეტული არეალის, ეთნოსის, პერსონალების ისტორიული საფუძვლების უტყუარი საბუთი, ფაქტობრივი წყარო. ხელნაწერ მემკვიდრეობას განეკუთვნება: ხელნაწერი წიგნი, ისტორიული დოკუმენტები, საარქივო მასალები და მათთან ერთად მულაჟები, ფოტო-მიკროფირები და ციფრული ასლებიც. საარქივო ერთეულს თავისებური ბუნება აქვს. არტეფაქტად, კულტურულ მემკვიდრეობად მხოლოდ ის ერთეული იქცევა, რომელსაც პოტენციური წყაროს პერსპექტივა, საკვლევი ღირებულება აქვს. ისტორიულ წყაროდ კი ითვლება ყველაფერი: ხელნაწერი წიგნები, ეპიგრაფიკული ძეგლები, საეკლესიო ჩანაწერები, მარგინალიები, შემოსავალ-გასავლის დავთრები, ფოლკლორული

მასალა, ეთნოსურათები, ეპისტოლეები და ა.შ., რომლებიც მრავლად ინახება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ხელნაწერთა სიცოცხლის გახანგრძლივების აუცილებელი პირობაა ხელნაწერთა შენახვის სწორი მენეჯმენტისა და კონსერვაციის პირობების განსაზღვრა და შექმნა. ყველა საცავი თავისი მიმართულებისა და კოლექციების ნაირფეროვნებით უნიკალურია, ამიტომ კონსერვაციის სისტემების შექმნას და განხორციელებას ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება. რას გულისხმობს კონსერვაცია? - კონსერვაცია ძველის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების, მისი განადგურების ან შეუქცევადი ცვლილებებისაგან დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობაა. კონსერვაციის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელია პრევენციული კონსერვაცია. პრევენციული კონსერვირება გულისხმობს ფონდებისთვის შესაბამისი ოპტიმალური გარემოს შექმნას. ოპტიმალური გარემო გულისხმობს ყველა იმ სივრცის, ლოკაციის შესაბამის აღჭურვას, სადაც შესაძლებელია განთავსდეს ხელნაწერი მუდმივად ან დროებით, ესენია: საცავი, საექსპოზიციო სივრცე, დიგიტალიზაციისა და სამუშაო ოთახები.

პრევენციული კონსერვაციის ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საცავები. წყაროების დაცულობისთვის უმნიშვნელოვანესია ყველა ტექნიკური პარამეტრის - კლიმატკონტროლისა და ფონდების განლაგების ცოდნა: რა ფაქტურაზეა შესრულებული ხელნაწერი - პაპირუსზე, ეტრატზე, ქაღალდზე; რა ფორმისაა - აკინძულია თუ გრაგნილის სახით; არის ფოტო თუ მიკროფირი; რომელი საუკუნის ქაღალდია. ამ მახასიათებლების მიხედვით მათ მოეთხოვებათ განსხვავებული ტემპერატურა, განათება, განლაგება, თაროებისა და შესანახი კარადების მასალის შერჩევა, ხელნაწერებსა და თაროებს შორის, ასევე თაროებსა და იატაკს შორის საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული მანძილის დაცვა.

გამართული და სწორად ორგანიზებული საცავები კოლექციების უმთავრესი გარემოა. ფონდების დასაცავად აუცილებელია ფონდსაცავის სივრცეები კოლექციების კონკრეტული მახასიათებლებისა და რაოდენობების ადეკვატური იყოს. უპირველესად, დასაცავია საერთაშორისო სტანდარტით მიღებული ტემპე-

რატურული რეჟიმი და ტენიანობის პარამეტრები. საცავი უნდა იყოს განთავსებული მშრალ, უნოტიო არეალში, გამართულად მუშაობდეს სავენტილაციო სისტემა, აუცილებელია საცავს ჰქონდეს სარეზერვო სავენტილაციო სისტემა, იმ შემთხვევისთვის, თუ ძირითადი სისტემა დაზიანდება, აღდგენამდე შესაძლებელი უნდა იყოს საცავის ოპტიმალური რეჟიმის შენარჩუნება. საცავებში, სადაც ინახება ეტრატსა და ქალაღზე შესრულებული ხელნაწერები, ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს +17-20C, ხოლო ტენიანობა 45-55%. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საცავები, სადაც მრავლად ინახება XIX საუკუნის ქალაღზე შესრულებული ხელნაწერები, რადგან ისინი გამოირჩევიან სხვადასხვა ხარისხის ფაქტურით, ზოგიერთი შესრულებულია ე.წ. ღია ბარათებზეც კი. ზოგი მათგანი გამომშრალია და ადვილად ზიანდება, აღსანიშნავია ისიც, რომ ადრე ძირითადად გამოიყენებოდა უბრალო ფანქარი, რომელიც დროთა განმავლობაში ქრება და რთულდება ტექსტის წაკითხვა, ასევე რუსული მელანი, რომელიც ხასიათდებოდა მაღალი მჟავიანობით, რაც იწვევდა ქალაღის დაზიანებას და ტექსტის გაქრობას. ამ ტიპის ხელნაწერებზე, უპირველესად, საჭიროა მოხდეს ცარცის სუსპენზიით ფაქტურის განეიტრალება და შემდეგ კონსერვაცია. დღემდე არ არის შესწავლილი მელნის ზუსტი ქიმიური შემადგენლობა. ამ მიზნით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიამ დაიწყო კვლევა 2018 წელს XVII ს-ის მელნისგან დაზიანებულ ხელნაწერზე იმის გასარკვევად, რა ელემენტებისგან შედგებოდა შავი და წითელი ე.წ. სინგური მელნის ფხვნილი და რა იწვევს ქალაღის დაზიანებას, ამის გარკვევა საჭიროა კონსერვაციის სწორი მეთოდის შესამუშავებლად და დასაწერად, რათა თავიდან ავიცილოთ ტექსტის ქრობის პროცესი.

განსხვავებული მდგომარეობაა ფოტო-ფირების საცავში, ფოტოების სივრცეში ტემპერატურა უნდა იყოს 10-12 C°, ტენიანობა - 36-38%, ხოლო მიკროფირების საცავში - 7-8C, ხოლო ტენიანობა - 34-35%. არსებობს ცვლილების დასაშვები ნორმა, რაც არ უქმნის საფრთხეს ხელნაწერებს, ტემპერატურის შემთხვევაში +3C, ტენიანობის შემთხვევაში +10%, უფრო მაღალი მაჩვენებელი ქმნის ბიოდასწებოვნების საფრთხეს და დიდი ხნით მისმა გახანგრძლივებამ შესაძლოა გამოიწვიოს შეუქცევადი პროცესები.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელნაწერების შესანახად განკუთვნილი საქალაქების, კონვერტების, ყუთების, კონტეინერების თუ სხვადასხვა შესაფუთი მასალის ფაქტურას. ქალაქში შესრულებული ხელნაწერი, თუ ის არ არის აკინძული და ყდამი ჩასმული, უნდა ინახებოდეს მქავანეიტრალურ კონვერტსა და საქალაქში, რომელზეც მითითებული იქნება საინვენტარო ნომერი, დაცულობა ფონდის მიხედვით, მოკლე ანოტაცია, თარიღი და ფურცელთა რაოდენობა. პაპირუსის ფურცლები ინახება ორმაგ მინის ჩარჩოში, რაც ხელს უშლის მის გამოშრობასა და მსხვრევას.

სწორად უნდა იყოს შერჩეული ხელნაწერთა შესანახი თაროები. სასურველია, თარო იყოს ხის ან უჟანგავი მეტალისგან დამზადებული. მიკროფირები კი აუცილებლად უნდა ინახებოდეს უჟანგავი მეტალის კარადაში, უმჯობესია ალუმინის კარადებსა და ყუთებში, ხოლო სლაიდები, მინის ფირები და ფოტოფირები მქავანეიტრალურ ქაღალდის კონვერტებსა და საქალაქებში, რაც იცავს მათ ისეთი დამაზიანებლებისაგან, როგორცაა სოკო, ობი, ხის ჭიები, რადგან ფირების არასწორი კონსერვაცია იწვევს შეუქცევად პროცესს, ფირებზე ილუსტრაციის ქრობას, ასევე ის ნეგატიურად მოქმედებს მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობაზეც.

სწორად დასაგეგმია საცავის საერთო ფართის განსაზღვრა და აღჭურვილობის ოპტიმალურად განლაგება ისე, რომ ის პერსონალის დაუბრკოლებლად გადაადგილების საშუალებას იძლეოდეს. დაშორება თაროებს შორის 1-1,5 მ. უნდა იყოს. ფონდსაცავის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს კოლექციების სამომავლო მზარდობაც. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თაროებზე ხელნაწერების, პირადი საარქივო ფონდების, ისტორიული დოკუმენტებისა და გრაგნილზე შესრულებული ხელნაწერების განლაგებას.

ხელნაწერთა კონსერვაციისათვის ასევე აუცილებელია საექსპოზიციო სივრცის გამართული მუშაობა: ტემპერატურის, ტენიანობის, ხელნაწერების დახრის ტრაექტორიის, განათების საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული რეჟიმის გათვალისწინება. როცა ხელნაწერი საექსპოზიციო სივრცეში იფინება, ჩვეულებრივ იქმნება ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია მათთვის არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

გასათვალისწინებელია ისიც, როდესაც ხელნაწერი საცავიდან სხვა სივრცეში დროებით გადააქვთ, იქნება ეს საკვლევი ოთახები ან დიגיტალიზაციის განყოფილება, ზოგადად, ხელნაწერი კოლექციების უსაფრთხოების ხარისხი მცირდება. უსაფრთხოების პრობლემა იქმნება მაშინაც, როდესაც საცავში ხშირია ვიზიტი და სხვადასხვა სახის საქმიანობა. საცავში ადამიანების ხშირი ვიზიტი იწვევს ჰაერის ცვალებადობას, რაც, თავის მხრივ, ფარდობით ტემპერატურის ცვლილებას უწყობს ხელს. ადამიანის მოძრაობით ჰაერში იფანტება მტვერიც, რაც შემდგომ ექსპონატებზე ილექება.

როგორც ვხედავთ, კოლექციების დაცულობა, მათი სიცოცხლისუნარიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ცვალებადი გარემო პირობები არაერთი სახის დაზიანებას იწვევს. არასტაბილური ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა, შესაბამისი განათება, დაბინძურებული ჰაერი სხვადასხვა მასალაზე (ეტრატი, ქაღალდი, ფოტო და მიკრო ფირი) განსხვავებულად ზემოქმედებს. დაზიანება შეიძლება გამოიხატოს ქიმიურ-ფიზიკური და ბიოლოგიური სახით, რაც გულისხმობს ფურცლებისა და ფირების დეფორმაციას, ქაღალდის ფერის შეცვლას, ობისა და სოკოს წარმოქმნას.

აქედან გამომდინარე, კოლექციების მდგომარეობას განაპირობებს საცავებში უზრუნველყოფილი საჭირო კლიმატური პირობები, კოლექციების მასალებზე გათვლილი განათების სისტემა, მტვრისა და მავნე ზემოქმედებისაგან თავისუფალი გარემო, კოლექციებზე მორგებული უსაფრთხო შენახვის სისტემები, პარაზიტებისა და მავნებლებისაგან თავისუფალი გარემო, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური საფრთხეებისთვის საჭირო დაცვის საევაკუაციო გეგმა და ექსპონატებთან მუშაობის სწორად შერჩეული პრაქტიკა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სარესტავრაციო ლაბორატორიის მრავალწლიანმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა საარქივო ფონდებში დამკვიდრებულმა ტრადიციამ აჩვენა, რომ სასურველია, ცალ-ცალკე ბლოკში ინახებოდეს ქაღალდზე, ეტრატსა და პაპირუსზე შესრულებული ხელნაწერები, სხვადასხვა ბლოკში უნდა განთავსდეს ფოტო მასალა და მიკროფირები. თითოეულ საცავს უნდა ჰქონდეს ე.წ. ბუფერული ზონა და დაზიანებული ხელნაწერებისათვის სამუშაო

ოთახი. სასურველია, დაცული იყოს განლაგების თავისებურება საცავებსა და სამკითხველო დარბაზს შორის, რათა სხვაობამ საცავის, დერეფნისა და სამკითხველო დარბაზის ტენიანობასა და ტემპერატურას შორის არ გამოიწვიოს ხელნაწერთა სტრუქტურული ცვლილება.

ხელნაწერების კონსერვაციის პირობების შემუშავებისას აუცილებელია საცავების გეოგრაფიული მდებარეობის, გარემოს ლანდშაფტის ცოდნა. მაგალითად, საქართველოს პირობებში განსხვავებულია მთისა და ბარის, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ რეგიონის, დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ტემპერატურა და ტენიანობა, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მესტია და ახალციხე მთიან რეგიონს განეკუთვნება, განსხვავებულია იქ არსებული ტენიანობა და ტემპერატურა, ასევე ზღვისპირა ქალაქებში მდებარე საცავებში ტენიანობასთან ბრძოლა ყოველთვის მეტ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. არასასურველად მოქმედებს ხელნაწერებზე ტემპერატურის ხშირი და მკვეთრი ცვალებადობა, რაც სეზონური და დღე-ღამის ცვლითაა გამოწვეული. ეს პროცესი ერთგვარი სტრესია მათთვის.

კოლექციების დაცვისა და მოვლის პირობებში დიდ ზეგავლენას ახდენს თავად შენობაც, მისი კონსტრუქცია. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელნაწერი ინსტიტუტების შენობა ძველ შენობაშია განთავსებული და მას ძველის სტატუსი აქვს. ეს ფაქტი არსებულ მდგომარეობას ერთი-ორად ართულებს, ვინაიდან ასეთი შენობები სავსებით არ შეესაბამება იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც საცავების ტექნიკური გამართვისთვისაა საჭირო. ასეთ დროს ადმინისტრაცია ორ მნიშვნელოვან საკითხზეა პასუხისმგებელი: 1. უზრუნველყოს შენობის ისტორიული და არქიტექტურული იერსახის შენარჩუნება და 2. საცავებმა შეძლოს სრულფასოვანი ფუნქციონირება. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისტორიული ნაგებობები ჩვეულებრივ ხასიათდება კონკრეტული მიკროკლიმატით, მაღალი თერმული ინერციით, რომელიც მოითხოვს სპეციფიური კლიმატკონტროლის სისტემების გამოყენებას. ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი სტანდარტების გათვალისწინებასთან ერთად ფონდსაცავი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს, როგორცაა: ფონდების

ხელმისაწვდომობა, გამართული საძიებო სისტემა, ელექტრონული და ციფრული ბაზების არსებობა.

ამრიგად, სწორედ ორგანიზებული საცავები და პრევენციული კონსერვაციის ერთიანი სისტემის შექმნა უზრუნველყოფს როგორც კოლექციების სათანადო დაცვას, ისე მათ კვლევას. ყველა დასახელებული ღონისძიების უმთავრესი მიზანია ხელნაწერი კოლექციების საზოგადოებისთვის მიწოდება და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ინსტრუქცია, 2006: ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ, თბ. 2006;

სტოელი, 2007: ჰერბ სტოელი, რისკისთვის მზადყოფნა: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო, თბ. 2007;

ინანიშვილი, 2009: გ. ინანიშვილი, მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაცია, თბ. 2009;

მოკლე მიმოხილვა, 1987: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 25 წლის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, მრავალთავი, ტ. XIV, 1987, გვ. 6-7.

თავაძე და სხვები, 2018: შ. თავაძე, რ. კლდიაშვილი, ი. ჯიქიძე, მელნის მორფოლოგიური და ელემენტური ანალიზი - საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“, მოხსენებათა თეზისები, თბ. 2018 წ. გვ. 42.

*ია ლადუა*

*ფილოლოგიის დოქტორი, ლიტერატურის მუზეუმის უნიკალურ  
წიგნთა ფონდის კურატორი,  
საქართველო, თბილისი*

**ნათლისა და ჯვრის სიმბოლურ სახეთა ტრანსფორმაცია  
ფერისცვალებისა და ჯვართამაღლების დღესასწაულთა  
საგალობლების მიხედვით**

***მოკლე შინაარსი***

საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი საგალობლები ბიბლიურ მოტივებს ეყრდნობა, ძირითადად კი ძველი აღთქმის სიუჟეტები და პერსონაჟებია მისი სახისმეტყველების წყარო. მიუხედავად იმისა, რომ საგალობლებს ერთი საერთო წყარო აქვს და ხშირად ერთგვაროვანი ფრაზეოლოგიითაც ხასიათდებიან, მაინც გამოირჩევიან ინდივიდუალობით, საკუთარი ხელწერით და, რაც მთავარია, უმდიდრესი თეოლოგიური ინფორმაციით, რაც ავტორისაგან მოითხოვს როგორც საღვთისმეტყველო ცოდნას, ისე შემოქმედებითობასაც. ყოველი სახე ახალ აზრობრივ დატვირთვას იძენს და მსმენელსა თუ მკითხველს ახლებურად განაცდევინებს საღვთო მოვლენებს. შემთხვევით როდი მიიჩნევდნენ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებას წინასწარმეტყველთა საქმიანობის გაგრძელებად, რადგან ის თავისი სახისმეტყველებით მდიდარ ინფორმაციასაც შეიცავს და, იმავდროულად, საოცარი სისადავითა და მშვენიერებით გადმოსცემს ღვთის საიდუმლოს, გონებისათვის მიუწვდომელ ტრანსცენდენტურ სფეროს.

ნათელი არა მხოლოდ წამყვანი სახე-სიმბოლოა ქრისტიანულ აზროვნებაში, არამედ, ამავე დროს, ის წარმოადგენს სიმბოლოთა ჯაჭვს, ანუ, ხსნის სხვა სახე-სიმბოლოებსაც. დოგმატური ღვთისმეტყველებით, ჯვარი ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდეა ქრისტიანული სამყაროსათვის, ჯვრის წინასახე საკმაოდ მრავლადაა ძველ აღთქმაში, რაზეც წმიდა მამებიც მიუთითებენ და რასაც უხვად ვხვდებით საგალობლებშიც. ნათლისა და ჯვრის სიმბოლურ სახეთა ტრანსფორმაცია ყველაზე უხვად და ნათლად ფერისცვა-



ლებისა და ჯვართამაღლების დღესასწაულებისადმი მიძღვნილ საგალობლებში ჩანს.

**საკვანძო სიტყვები:** ნათლის ესთეტიკა, ჯვრის სიმბოლური სახე, ჰიმნოგრაფიული ტექსტები, საღვთისმეტყველო წყაროები.

*Ia Ghadua*

*Doctor of Philology,*

*Curator of the unique book fund of the Museum of Literature,*

*Tbilisi, Georgia*

## **FOR THE TRANSFORMATION OF SYMBOL OF THE CROSS AND THE LIGHT ACCORDING THE HYMNS OF TRANSFIGURATION AND ELEVATION OF THE CROSS**

### *Abstract*

All hymns dedicated to the Lord based on the Bible, especially on the Old Testament episodes and characters are the main resources of them. In spite the fact that those hymns have the same plot and the same base there are mostly very individual, they have individual form and the most important thing that they have the richest theological information which demands from the author knowledge based on the theological aspects and also creative nature. All symbols have meaningful explanation and help the reader to understand innovation feeling of theological events. The work of the authors of hymns considered as the continuing the work of prophet. The light is not the only leading symbol in theology but it is also collection of the symbols and gave us the key to understand other symbols according them. The cross is the most holy thing in Christianity and it has too many preforms in old testament. Holy fathers indicating on the special spiritual meaning of the cross. The most examples of transformation of the symbols of the cross and light we met in the hymns about these holy things.

**Key Words:** aesthetics of the light, the symbol of the cross, text from hymnography, theological resources.

**შესავალი:** „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ. ხოლო ქუეყანაჲ იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა

უფსკრულთა და სული ღმრთისად იქცეოდა ზედა წყალთა. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი“ (შესაქმე 1, 1-3). ნათელი არის პირველი, რასაც უფალი ქმნის ქვეყნიერების დაბადების პირველსავე დღეს და რაც, ფაქტობრივად, საფუძველია ხილული და უხილავი სამყაროსი. შესაბამისად, ნათელი წამყვანი სახე-სიმბოლოა ქრისტიანული მწერლობისათვის და განსაკუთრებით - ჰიმნოგრაფიისათვის.

**მსჯელობა:** ნათლის ესთეტიკის საფუძვლები შეიძლება დაიძებნოს როგორც ბიბლიაში, ისე ანტიკურ ლიტერატურასა და ქართულ მითოსში. რ. სირაძემ მზისა და ვაზის სიმბოლიკის წარმოჩენით აღნიშნა, რომ ქრისტიანობამ განსახოვნების ძველი ფორმები გამოიყენა, როგორც არქეტიპი და ახალ ესთეტიკას შეურწყა (სირაძე 1987: 15). მკვლევრის მოსაზრებით, ნათლის ესთეტიკა ქართული სახისმეტყველებისათვის ჯერ კიდევ წარმართული კულტურიდანაა დამახასიათებელი, შემდგომში კი მისი ამგვარი აღქმა ქრისტიანულ გაგებას შეერწყა: „წარმართულ წარმოდგენას – ყურძნის მარცვალში მზე იხედებაო – ცვლის ქრისტიანული სიმბოლიკა: „მე ვარ ვენახი და მამად ჩემი მოქმედ არს“ (სირაძე 1987: 15).

საინტერესოდ აქვს ახსნილი თ. ბიგანიშვილს ნათლის ტრანსფორმირება რამდენიმე ფორმაში: „ნათელი, როგორც პოეტური სახე, ტრანსფორმირებულია ვაზის, ღვინის, სისხლისა და პურის ფორმებში: ზეციდან გარდამოსული მანანა არის სიმბოლო ქრისტეს ხორცისა, რომლის ხილული სახეც ლიტურგიაზე არის პური. ქრისტეს სისხლი, რომელიც ღვინის სახითაა წარმოდგენილი, არის ნათელი, რომელიც მზის სახითაა ვაზში ჩაღვრილი და ქრისტე კი ვენახია, ხოლო მამა „მოქმედი არს“ (ბიგანიშვილი 2005: 35).

ნათელი არა მხოლოდ წამყვანი სახე-სიმბოლოა ქრისტიანულ აზროვნებაში, არამედ ის წარმოადგენს სიმბოლოთა ჯაჭვს, ანუ, ხსნის სხვა სახე-სიმბოლოებსაც. ძველ აღთქმაში, ბიბლიური კოსმოგონიის მიხედვით, ნათელი ხილული და უხილავი სამყაროს მატერიალურ საფუძველთანაა გაიგივებული, ახალ აღთქმაში კი – ღმერთთან, რაც იოანეს სახარებაშია განცხადებული: „მის თანა ცხორებად იყო და ცხორებად იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (ინ. 1, 4-5); „მე ვარ ნათელი სოფლისად, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისად“ (ინ. 8, 12);

„მცირედ ჟამ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსდა, რადთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ. ვიდრე ნათელი გაქუს, გრწმენინ ნათელი, რადთა ძე ნათლის იყვნეთ“ (ინ. 12, 35-36).

დოგმატურ ღვთისმეტყველებაშიც ღმერთი სახელდებულია, როგორც ნათელი, რასაც მრწამსის სიმბოლოს მეორე მუხლში ვხვდებით: „ნათელი ნათლისაგან და ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა“. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დოგმატური ღვთისმეტყველება წმიდა წერილს ეფუძნება, ისევე, როგორც ჰიმნოგრაფია. ამის ერთ-ერთი, განსაკუთრებულად მობხიბვლელი ნიმუში იოანე მინჩხთან შეგვიძლია დავიმოწმოთ: „ღმერთი ზევით ქუეყანად მოხუედ და კაცნი ზევად აღიყვანენ, ნათელი ხარ დაუღამებელი, თვთმნათობი ნათლისაგან მამისა გამოსრული, სულით წმიდითურთ თანა დიდებული, შეურევნელი და განუყოფელი, ღმერთი მხოლოდ, კეთილისმყოფელი შენთა დაბადებულთად, რომელნიცა გაკურთხევენ აწ და უკუნისამდე“ (მინჩხი 1987: 326). ბიბლიური სახისმეტყველებით ხომ ღმერთი არის მარადიული, უჟამო, დაუღამებელი, მიუაჩრდილებელი ნათელი, რომელმაც შექმნა ხილული ნათელი. ბიბლიის არქექტიპული მოცემულობა კი ჰიმნოგრაფიაში სხვადასხვა ფორმის პარადიგმულ მონაცემად ტრანსფორმირდება.

ნათლის სიმბოლიკის დომინანტურობა ჰიმნოგრაფიაშიც შეიმჩნევა, განსაკუთრებით კი მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილ საგალობლებში, რადგან თაბორის მთაზე ფერისცვალებისას იესო ქრისტე მოწაფეების წინაშე ნათლით შემოსილი წარსდგა: „და შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მთ. 17, 1-2).

ნ. სულავამ ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანის“ ანალიზისას (რომელსაც მეცნიერი ნათლის სიმბოლური წარმოსახვით გამორჩეულ თხზულებად მიიჩნევს) გამოკვეთა ნათლის სიმბოლიკის ზოგადი ასპექტები: „1. სამყაროს შექმნამდე არსებობდა დაუსაბამო, უსაწყისო, უჟამო, შეუქმნელი,

დაუბადებელი, უხილავი, მარადიული ნათელი, რაც „ნათელის“ სულიერ ასპექტს გულისხმობს. იგი ღმერთის სიმბოლური სახელია; 2. ბიბლიური კოსმოგონიის მიხედვით, ხილული ნათელი შეიქმნა კრეაციის მეოთხე დღეს, რომლის წყაროდ უყამო, დაუბადებელი ნათელია მიჩნეული. ესაა ფიზიკურად არსებული ნათელი, „ნათელის“ ფიზიკური ასპექტი; 3. ქრისტეს მოვლინება, ძე ღმერთოს განხორციელება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში „ნათელის“ „ნათლისაგან“ წარმოშობაა, რამაც „ნათელის“ ძე ღმერთის ჰიპოსტასურ სახელად მიჩნევის საფუძველი შექმნა; 4. თეოლოგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებში, პატრისტიკულ-ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ მწერლობაში ნათელმა სიმბოლურთან ერთად ალევორიული დატვირთვაც მიიღო და „ნათელი“ კეთილის საწყისად იქნა აღიარებული, ბნელი კი – ბოროტებისა; 5. გვიან შუასაუკუნეებში ნათელს დაეკისრა ესთეტიკური ფუნქციაც, რადგან იგი ადამიანის სილამაზისა და შინაგანი ბუნების გამოხატვის სიმბოლოდ დაისახა“ (სულავა 2003: 63-64).

თაბორის მთაზე მაცხოვრის ნათელს თვალთ უხილავსა და გონებით მიუწვდომელს უწოდებს იოანე მინჩხი ფერისცვალებისადმი მიძღვნილ კანონში: „თუაღლით უხილავი ნათელი და სასმენელთა უსმენელი, რომელი გონებასა კაცთასა არაჲ მოუჭდა ვითარმცა ვინ გამოთქუა ჭეშმარიტად? ესე ნათელი დღეს გამოეცხადა საყუარელთა მათ თვსთა მოწაფეთა“ (მინჩხი 1987: 324).

თეოლოგიური სწავლებით, ნათელი, რომლითაც იხილვებოდა განკაცებული მაცხოვარი მოციქულთა წინაშე, მას იმ დროს არ მიუღია, უფალმა თავისი ღვთაებრიობა გამოუცხადა მოწაფეებს: „ფერისცვალებისას მან გამოაცხადა არა სხვა რომელიმე ნათელი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც დაფარული ჰქონდა ხორციელ კრეტსაბმელს მიღმა. ეს ნათელი საღმრთო ბუნებისაა – ხელთუქმნელი, ღვთიური. მსგავსად ამისა, ღვთისმეტყველ მამათა სწავლებით, იესო ქრისტემ ფერი იცვალა მთაზე ისე, რომ არაფერი მიუღია და არაფერ ახალში, რაც მანამადე არ ჰქონია, არ გარდასახულა. თავის მოწაფეებს უჩვენა მხოლოდ ის, რაც უკვე გააჩნდა“ (პალამა 1990: 3); „თაბორის მთაზე მოწაფეების მიერ დანახული ნათელი... არ იყო ქმნილი მეტეოროლოგიური ფენომენი, თავისი ბუნებით ადამიანურ აზროვნებაზე დაბალი. ეს იყო ნათელი, თანაარსებული ღვთისა თავისი ბუნებით: მარადიული,

დაუსაბამო, უჟამო და უსივრცო, ქმნილი ყოფიერების მიღმა არსებული. ძველალთქმისეულ თეოფანიებში იგი ცხადდება როგორც დიდება ღვთისა, ქმნილთათვის საშინელი და დაუთმენელი... არავითარი ცვლილება არ მომხდარა ღმერთკაცში თაბორის მთაზე, მხოლოდ მოციქულთათვის ეს იყო დროისა და სივრცის საზღვრების იქით გასვლა, მარადიულ რეალობათა აღქმა“ (ლოსკი 1986: 35).

ამასვე ვხვდებით საგალობლებშიც: „ექუსისა დღისა შემდგომად აღიყვანნა მთასა ზედა მაღალსა პეტრს და იაკობ და იოვანე ქრისტემან, რადთა უჩუენოს მათ ბუნებითი იგი ნათელი და დიდებამ მიუწდომელი“ (მინჩხი 1987: 322); „ვინ არად შეძრწუნდეს გონებითა საშინელსა მას საკვრველსა სასწაულსა, რამეთუ ღმერთი ღმრთეებისა ბუნებითა, ნათლითა უსხეულოდთა ქუეყანასა გამოჩნდა და მოწყალებით არად შეწუნა დაბადებულნი“ (მინჩხი 1987: 323); „გამოჰბრწყინდი მთასა ზედა თაბორსა ნათელი ჭემმარტი საშინელებითა ღმრთეებისა შენისადათა შორის მოციქულთა“ (უძველესი... 1980: 261).

წმიდა მამათა სწავლებით, მაცხოვარმა თაბორის მთაზე ფერისცვალებისას მიღებული ნათლით ადამიანის განახლებული ბუნება მოასწავა, რასაც უძველეს იადგარში დაცული ფერისცვალების საგალობელშიც ვხვდებით: „დღეს იხარებენ ყოველნი კიდენი ქუეყანისანი და გალობენ ძენი კაცთანი, რამეთუ შემოქმედმან ყოველთამან ღმრთეებისა ხატი იცვალა და მოციქულთა უჩუენა ნათელი მერმისა ცხორებისადა“ (უძველესი... 1980: 261).

იოანე ბოლნელი ფერისცვალების ჰომილიაში ყურადღებას ამახვილებს ნათლის მზესთან შედარებაზე და ხსნის, რომ მზის ბრწყინვალეობაზე აღმატებული კაცთა გონებისათვის არ არსებობს და ამიტომ შეადარეს მახარებლებმა თაბორის ნათელი მზეს: „რადსათვს-მე, ანუ ვითარ-მე? (რამეთუ) გამობრწყინდა პირი მისი ვითარცა მზს, რამეთუ ღმრთეებად უბრწყინვალეს არს მზის-თუალისა და უმჭურვალეს აღსა მას ცეცხლისასა. არამედ ესოდენ შეუძლეს გამოთქუმად წმიდათა მოციქულთა და უწყებად ჩუენდა, რამეთუ ქუეყანასა ზედა არღარად ვიცით უბრწყინვალეს მზისა“ (იოანე ბოლნელი 1999: 248). იოანე მინჩხი სიმართლის მზეს უწოდებს თაბორის მთაზე ნათლით შემოსილ მაცხოვარს: „მთასა ზედა თაბორსა დღეს აღჯდა სიმართლისა მზს და ნათელი მზისა ამის

დამზადებული, ბუნებით ღმრთეებრ მნათობი, ანგელოსთაგან ხილვად შეუძლებელი მბრწყინვალეზად, ხატი და დიდებზად სამარადისოდ, ჩუენთვს მკსნელად განკაცებული“ (მინჩხი 1987: 324).

თაბორის ნათელი თოვლთანაცაა შედარებული: „და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოვლი“ (მრკ. 9, 3). თოვლის სისპეტაკესაც იმავე მიზეზით ხსნის იოანე ბოლნელი: „და სამოსელი მისი იქმნა, ვითარცა [თოვლი და ვითარცა] ნათელი. უბრწყინვალეს ნათლისა ელვისა და თოვლის უსპეტაკეს არაძვე ვიცით, არცა გვზახავს ქუეყანასა [ზედა], ამისთვს ესთენ გუაუწყეს წმიდათა მოციქულთა“ (იოანე ბოლნელი 1999: 248). თოვლისებრ სისპეტაკე, თეთრი – ესაა ზეციური ფერი, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ღვთიური სისპეტაკის მატერიალურად განჭვრეტა.

ცათა მოზამავს უწოდებს იოანე ოქროპირი თაბორის მთას: „დღეს თაბორი ცათა მოზამავ იქმნების, რამეთუ ჰხედავს დიდებასა შემოქმედისა თვისისასა, შეიმკვების ღრუბლითა ნათლისადათა და იხარებს ჳმითა მამისადათა“ (იოანე ოქროპირი 1959: 191), რასაც საგალობელშიც ვხვდებით: „პირველ ჯუარცმისა შენისა, უფალო, მთაჲ, ცათა მოზამავი, ღრუბლისა ტალავრითა სავსე იყო“ (უძველესი... 1980: 265).

ნათლის ღრუბლით შემკობა სახარებიდან მომდინარეა: „აჰა, ესერა ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა მათ“ (მთ. 17, 5), რომელიც შემდეგ სხვადასხვა მხატვრული სახეებით საგალობლებშიც გვხვდება: „ტალავარ ექმნა ღრუბელი ნათლითა შემოსილი სიცხესა მას მზისა ნათლისა ცხოველისასა, სანატრელთა მოციქულთა და აგრილობდა, ხოლო ზეცით ჳმაჲ საშინელი ესმა მათ: „ეგე არს ძე ჩემი თანასწორი და ჳამთა უწინარეს შობილი“ (მინჩხი 1987: 324); „რაჟამს ფერი იცვალჲ, ქრისტე, გამოჰბრწყინდი ნათლითა მით უსხეულოდათა, შეძრწუნდეს მოციქულნი ზარისა მისგან საშინელისა, რამეთუ შესწუვიდა მათ ცეცხლი იგი ღმრთეებისაჲ, ხოლო შენ ღრუბლითა მით ნათლისადათა დაიფარენ, სახიერ“ (მინჩხი 1987: 323); „ტალავარ გექმნა შენ, ქრისტე, ღრუბელი ნათლისაჲ, რაჟამს ჳმაჲ ისმა ზეცით მამისა მიერ და თქუა: ეგე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“ (უძველესი... 1980: 264).

სახარების თანახმად, თაბორის მთაზე მოწაფეებმა მაცხოვართან ერთად მოსე და ელია იხილეს: „და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე

და ელია მის თანა და თანა-ზრახვიდეს. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქ სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიასა“ (მთ. 17, 3-4). იოანე ოქროპირი ფერისცვალების საკითხავში პეტრე მოციქულის მიერ ნახსენებ სამ ტალავარსა და ნათლის ღრუბელს ქრისტეს ეკლესიის სიმბოლოდ წარმოაჩენს: „სამითა მით სახელითა საცნაურსა მას ტალავარსა აღაშწნებდა, რომელ არს სამოციქულოდ კათოლიკე ეკლესიად, რომელსა შინა სამებად იქადაგების. და ღაცათუ მან სამი თქუა, არამედ ღრუბელი იგი ერთობასვე აჩუენებს – ეკლესიასა ჭეშმარიტებისასა, რამეთუ არა უმეცარ იყო საიდუმლოდსა მის, ვითარცა იგი არა კაცობრივმან სიბრძნემან ასწავა მას თქუმად, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისად, არამედ მამამან ცათამან, ვითარცა თავადი უფალი ეწამების“ (იოანე ოქროპირი 1959: 195). სახარების მიხედვით ხომ კაცობრიობის მართალი ნაწილი ნათლის სიმბოლოს ქვეშ (რომელიც თავად უფალია) გაერთიანდება: „მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა“ (მთ. 13, 43).

მოსესა და ელიას სახეების წარმოსაჩენად სახეთა პარალელიზმს მიმართავენ ჰიმნოგრაფები, ესენია სინასა და თაბორის მთები; ცეცხლოვანი ეტლით ზეატაცებული და ფერისცვალებისას ნათლით მოსილი ელია: „შორის ერსა ისრაელთასა ადიდა ღმერთმან მონად თვისი მოსწ და უბრძანა მას საქმედ კიდობანი შჯულისად ძელთაგან ულპოლველთა, რომელსა შინა დაისხნეს ფიცარნი ღმრთივ დაწერილნი, ხოლო დღეს უბრძანა აღდგომად მკუდრეთით და კუალად მხილველ იყო განჭეშმარიტებულსა დიდებასა მას თვისსა“ (მინჩხი 1987: 325); „მაყულოვანსა მას ეჩუენა რად უფალი მოსეს შჯულისა მომცემელსა, და აქა მთასა ზედა თაბორსა ხატი უხილავი დიდებისა ღმრთეებისად უჩუენა მოციქულთა მბრწყინვალეებითა“ (თუენი: H-2337, 1178r); „რომელი უცხოთა ეტლითა ჰაერთა შინა აღტაცებული ქმნა საღმრთოთა ბრძანებითა – ელია თეზბიტელი, ესე აწ უხილავად წამისყოფითა ქრისტე საკვრველმოქმედებისადათა მეყსეულად ზეცით მოიწოდა დღეს და აღიარებდა ღმერთად განკაცებულად და მეუფედ საუკუნოდ“ (მინჩხი 1987: 325).

მოსესა და ელიას სახით ძველი და ახალი აღთქმის მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს იოანე ოქროპირი: „შ საკვრველი და მიუწდომელი ხილვად, რომელი იხილეს წინაწარმეტყუელთა ამათ და მოციქულთა მთასა თაბორსა უფროდს მთისა სინაისა! რამეთუ მუნ ალი იგი ცეცხლისად, ხოლო აქა ნათელი ღმრთეებისად; მუნ მაყუალი, ხოლო აქა ღრუბელი; მუნ მოსე შემინებული, ხოლო აქა თანამდგომარც და ზრახვის ზიარი; მუნ მონად დიდებული, ხოლო აქა უფალი დიდებისად; მუნ სახც, ხოლო აქა ჭემმარიტი; არღარა შჯული მოსწსგან, არამედ მადლი და ჭემმარიტებად იესუ ქრისტეს მიერ დაემტკიცების“ (იოანე ოქროპირი 1959: 194).

გრიგოლ პალამას სწავლებით, სწორედ ღვთიურმა ნათელმა შეაცნობინა მოციქულებს მოსე და ელია: „მოსე და ელია, განსაკუთრებით პირველი, რომელიც აშკარად სულითა და არა ხორციით იმყოფებოდა იქ, როგორი გრძნობადი სინათლის მეშვეობით შეიძლებოდა ყოფილიყვნენ განათლებულნი, ხილულნი და შეუცნობელნი?... მოციქულები ვერ შეძლებდნენ ღვთიური ნათლის იდუმალი ძალების გარეშე ეცნოთ ისინი, ვინც არასდროს ენახათ. ეს მან (ნათელმა) განახვან მათი გონების თვალნი“ (პალამა 1990: 3).

ჰიმნოგრაფები თაბორის ნათელს უწოდებენ მარადიულ, წარუვალ, შეუხებელ ნათელს, თავად ქრისტეს კი დაუღამებელ, თვთმნათობ ნათელს, სიმართლის მზეს, რაც საღმრთო სწავლებას ეფუძნება. იოანე დამასკელი ამგვარი სახისმეტყველებით ასახავს „სამპიროვან ღმრთაებას“: „ყოვლად სახიერი, სამგზის ნათელი, სამგზის მზიანი, სამგზის ბრწყინვალე. მამა – ნათელია, ძე – ნათელია, სულიწმიდა – ნათელია“ (დამასკელი 2000: 156).

როგორც ვხედავთ, ნათელი, როგორც პოეტური და ტროპული სახე, წამყვანია ქრისტიანულ მწერლობაში. ფერისცვალებისადმი მიძღვნილ საგალობლებში სახარებისული დეტალები თითქოს უფრო მკაფიოდაა შენარჩუნებული, რისი საფუძველი მათი ერთგვარი სახისმეტყველებითი გააზრებაა, რომელიც ნათლის ტროპიკაზეა აგებული.

სასულიერო მწერლობის კიდევ ერთი გამორჩეული სახესიმბოლოა ჯვარი – ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლო, ცხოველსმყოფელი ძელი, რომელზედაც მიმსჭვალული იყო მაცხოვარი (მთ. 27, 27-37; მარკ. 15, 21-26; ლკ. 23, 26-68; ინ. 19, 16-20). ქრისტეს ჯვარი მაცხოვრის გარდამოხსნის შემდეგ თითქ-



მის 300 წლის განმავლობაში დაფარული იყო მორწმუნეთათვის. 326 წელს, კონსტანტინე დიდის მეფობის დროს, ელენე დედოფალმა სასწაულებრივად იპოვა იგი გოლგოთაზე. ხალხი მიაწყდა უფლის ჯვარს სამთხვევად. იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიმ ჯვარი მაღლობზე აღმართა, რათა ყველას შეძლებოდა მისი ხილვა.

მაცხოვრის ჯვარი 614 წლამდე იყო იერუსალიმში. შემდეგ სპარსეთის მეფემ, ხოსრომ, დაიპყრო, გაძარცვა იერუსალიმი და აღდგომის ტაძრიდან ჯვარიც გაიტაცა. 628 წელს, როდესაც ჰერაკლე იმპერატორმა ზავი დადო სპარსეთის მეფესთან, ჯვარი იერუსალიმში დააბრუნეს. იმპერატორმა გაიხადა სამეფო შესამოსელი და უბრალო ტანსაცმლით, ფეხშიშველმა მიიტანა ჯვარი აღდგომის ტაძრამდე. ამ დღიდან 14 სექტემბერს (ძვ. სტ.) განწესდა მსოფლიო დღესასწაული ჯვრის ამალღებისა – ამალღებად პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისად.

ჯვრის სიმბოლო უმთავრესია ჯვართამაღლების საგალობლებში, ამიტომაც ყურადღება უნდა მიექცეს მის სახისმეტყველებით გააზრებას.

დოგმატური ღვთისმეტყველებით ჯვარი ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდეა ქრისტიანული სამყაროსათვის. იოანე დამასკელი „მართლმადიდებლობის ზედმიწევნით გადმოცემაში“ პირდაპირ მიუთითებს ამაზე: „ყველაზე უფრო საკვირველია მისი [ქრისტეს] პატიოსანი ჯვარი, რადგან სხვა არაფრის მიერ არ შემუსრვილა სიკვდილი, არ გაუქმებულა წინამამის შეცოდება, არ წარტყვენილა ჯოჯოხეთი, არ მონიჭებულა აღდგომა, არ მოგვეცემია ძალა იმისა, რომ უგულვებელყო... თვით სიკვდილიც“ (დამასკელი 2000: 430).

ჯვარი ქრისტიანობამდელ სამყაროში დასჯის იარაღი იყო, მასზე გაკვრა დასჯის ყველაზე სამარცხვინო ფორმად ითვლებოდა. მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ გახდა ჯვარი ესოდენ დიდი სიწმინდე, რადგან სიკვდილის დათრგუნვისა და სიცოცხლის აღორძინების სიმბოლო შეიქნა.

ჯვრის წინასახე საკმაოდ მრავლადაა ძველ აღთქმაში, რაზეც წმიდა მამეებიც მიუთითებენ და რასაც უხვად ვხვდებით საგალობლებშიც. „ხისა მიერ ადამ შეცთომილი განვარდა სამოთხით, ხისა მიერ ჯუარითა ავაზაკი შევიდა სამოთხედ“ (გიორგი მთაწმინდელის... 2007: 217); „ვლადადებთ შენდამი, ქრისტე, რომელმან

ძელისამიერი იგი დაცემად – მამისა ჩუენისა თანანადები იგი ცოდვად, პატიოსნითა ჯუართა შენითა განაქარვე და მორწმუნეთა მოანიჭე აღდგომად“ (უძველესი... 1980: 298). ჯვარს სოლომონ მეფეც მოიხსენებს: „კურთხეულია ძელი, რომლითაც სამართლიანობა მოხდა“ (სიბრძ. სოლ. 14, 7). იოანე დამასკელი ცხოვრების ხეს ჯვრის სიმბოლოდ მიიჩნევს: „პატიოსანი ჯვარი წინაგამოსახა ცხოვრების ხემ, ღვთის მიერ დანერგილმა სამოთხეში. ეს იმიტომ, რომ რადგან ხისგან იყო სიკვდილი, ხის მიერვე უნდა მონიჭებულიყო სიცოცხლე და აღდგომა“ (დამასკელი 2000: 432).

წმიდა თეოდორე სტუდიელი ჯვრის, ანუ სიცოცხლის ხის, წინასახედ მიიჩნევს ნოეს კიდობანს (რომელიც ხისგან იყო დამზადებული და რომლის მეშვეობითაც კაცობრიობა გადარჩა); აარონის კვერთხის აყვავებას.

წმიდა მამათა სწავლებით, ჯვრის წინასახეა, ასევე, მოსეს მიერ ხელების გაწვდენა, როდესაც დადგა მზე და რის შედეგადაც ებრაელებმა შეძლეს ამაღლეების დამარცხება, რაც საგალობლებშიც აქცენტირებულია: „მოსე გამოგსახა შენ, კელნი რად ზეცად განიჰყრნა და დასცა ამაღეკი, პატიოსანო ჯუარო“ (გიორგი მთაწმიდელის...2007: 218); „აღიმალნა ოდესმე კელნი თვთ მან თავადმანცა მოსე სახედ ჯუარცუმულისა ქრისტესსა და გამომსახველად ამაღლებულისა ამის ჯუარისა. „დადეგინ მზე გაბაონსო და მთოვარე მთხრებლებსა მისსა“, – ამას ილოცავს ისო მომწყუედელი ამაღეკისად, არა ხოლო დღისა მის ჯუარცუმისა წინამომასწავებელად, რომელსა შინა ბნელ იქმნა ქუეყანად მიფარვითა მნათობთათა, არცა რადთ მის ოდენ დღისა სასწაულითა სარწმუნო-ყოს მკლავი ღმრთისად აღმალეებული მტერთა ზედა, არამედ რადთა ჯუარისა ამაღლებადცა წინა-მოსაწავოს და მას ზედა აღსლვად მზისა სიმართლისად წინა-გამოსახოს“ (ანდრეა კრეტელი 1986: 319).

ჯვარს გულისხმობდა დავით წინასწარმეტყველი ფსალმუნის შემდეგ მუხლში: „აღამალებდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა და თაყუანის-ეცით კუარცხლბეკსა მისთასა, რამეთუ წმიდა არს“ (ფს. 98, 5) // „დღეს კმად დიდებულისა ღმრთისმეტყუელისა დავით მგალობელისად სრულ-ჰყავ, მაცხოვარ, რამეთუ ფერჯთა შენთა კუარცხლბეკსა ფერჯთასა შიშით თაყუანის-ვსცემთ“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 221).

ჯვრის წინასახეა, ასევე, იაკობის მიერ იოსების შვილების კურთხევა, როდესაც უმრწემეს დაასხა ხელი (შესაქმე 48, 14-15). „წინადაწარ გამოსახა მამამთავარმან, დიდებულმან იაკობ სახე ჯუარისა შენისაჲ, ქრისტე ღმერთო, რაჟამს მისწულთა თჳსთა აკურთხევდა და თავსა ზედა მათსა შეცვალებით დაასხნა მან ჳელნი“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 222); // „ამის ჯუარისა მოსწავებად მამამთავარმან იაკობ შეცვალებით ოდესმე დაასხნა ჳელნი მისწულთა იგავის წინა გამოსახვითა“ (ანდრეა კრეტელი 1986: 314).

გიორგი მთაწმინდელისეულ პარაკლიტონში, მეორე ხმის აღდგომის დასდებლებში, ჯვრის წინასახედაა წარმოჩენილი როგორც იაკობი, ასევე მოსე და დავით: „წინასწარმეტყუელთა იგავით წინადაწარვე გამოსახეს ჯუარი, იაკობ, მოსე და დავით, რომლითა ქრისტემან ჯოჯოხეთი წარმოტყუნა“ (Ath-45: 43v).

ჯვრის სიმბოლოდ მიიჩნევენ წმიდა მამები მოსეს მიერ რკინის გველის ამაღლებას, მის კვერთხს, რომლითაც მეწამული ზღვა და კლდე განაპო; ელიას მიერ ხალენით იორდანის გაპობას; ცეცხლისა და ღრუბლის სვეტები, რომლებიც დღისით და ღამით უძლოდა ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელთა ერს, ისააკს, რომელიც შესაწირად გამზადებული შეშაზე ჯვრის სახედ დააწვინა აბრაამმა. ამ სწავლებას უხვად ვხვდებით როგორც საგალობლებში, ისე ჰომილიებში: „სახედ პატოისნისა ჯუარისა შენისა, ქრისტე, აქუნდა კუერთხი იგი მოსედსი ეგუიპტეს, რომლითა იქსნა ისრაელი მონებისაგან მტერისა. ხოლო აქა ქრისტემან, ღმერთმან ჩუენმან, ჯუართა შემუსრა სიმტკიცეჲ სიკუდილისაჲ“ (უძველესი... 1980: 307); „ჯუარი ქადაგა მოსე კუერთხისა ცემითა, რაჟამს განაპო მეწამული განსავალად ისრაელთა, ხოლო შერწყმასა მისსა ფარაოჲს ეტლთა ზედა გამოსახვოდა ძლიერი საჭურველი“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 232). „საჭურველი უძლეველი“ ჯვრის ეპითეტია, რომელიც თითქმის ყველაზე მეტი სიხშირით გვხვდება ჯვართამაღლების საგალობლებში. „საკურნებელად მოსე განწირულთა მათთჳს აღამაღლა ძელსა ზედა სასოებაჲ კბენილთაჲ მათ, რაჟამს სახე ჯუარისაჲ მოსპოლვით გუელსა მას მომსრველსა უწყალოდ გუელი იგი რვალისაჲ ჯუარცუმით ძელსა ზედა“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 233); „რვალისა იგი გუელი აღამაღლა, არა რაჲთა ადიდოს, არამედ

რადთა განაქიქოს და გესლი სპილენძისად გესლსა სიბოროტისასა წინა-განაწყოს, ვითარცა თანა შეტყუებით საჩუენებელად ბოროტთა ურთიერთას მოზავებისა. ამადღა უკუე გუელი იგი რვალისად, არა ვითარცა გამომსახველი ანუ ვითარცა სახე ჯუარისად, არამედ ვითარცა წინააღმდეგომი სახისად ანუ სახისმეტყუელებით მოპოვნებული სახის-მეტყუელისად“ (ანდრეა კრეტელი 1986: 319); „ღმერთმან თქუა: წყეულ იყავნ გუელი ყოველთა შორის მკეცთა და ქუეწარ-მავალთა! ეგრეთვე წყევად შერაცხილ იყო ჯუარიცა, რომელმან ყოველნი წყევანი უჩინო-ყვნა, ხოლო თვთ არა დაადგრა წყევად, არამედ ვითარ-იგი პირველ გუელ ქმნილი კუერთხი კუალად კუერთხ იქმნა, ეგრეთვე ჯუარი წყევისაგან კუერთხ იქმნა მისაყრდნობელად და განსამტკიცებლად ერისა ღმრთისა მის ზედა ტვრთვითა სიბრძნისა და ძალისა ღმრთისადათა“ (დამასკელი 1986: 202).

„საწამებელად ჯუარისა ოდესმე კუერთხი გამოჩნდა, რაჟამს ნაყოფმან მისმან აღაყუავილნა პატივი მღდელისა და ეკლესიისად და ბერწყოვილმან გამოიღო სიმტკიცე და სიქადული“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 233); „სიმტკიცე კლდისად კუერთხისა მის შეხებითა განიღო და აღმოუცენა წყალი ერსა ურჩსა და მოასწავა სახე ეკლესიისად, ძელისა მიერ განახლდების და მტკიცედ განძლიერდების“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 233); „წყარონი იგი მწარენი უდაბნოს მოსე მოაქცინა ძელითა და მით მოასწავა წარმართთა ჯუართა მოქცევად სარწმუნოებად“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 234); „ჯუარის სახედცა აღავსებდა ისააკვა შემასა მსხუერპლისასა ამღებელი და მამისა დაკლვად მისსა მიმავალისა უშიშად შედგომილი... ჯუარისა სახე აქუნდა ამასვე მოსეს კუერთხსა, რაჟამს მეწამულისა უფსკრულთა წყალნი შეყივნებით მიმოგანყვნა იმიერ და ამიერ თვსსა და ერისა. ჯუარის სახე აქუნდა სუეტსა ცეცხლისა და ღრუბლისა, რომლითა უძლოდა ღმერთი უდაბნოსა ზედა შეცთომილსა ისრაელსა ლტოლვილსა... ჯუარის სახესა აღავსებდა კუერთხი ეგე უდაბნოს კლდის მცემელი და მდინარისა მიდგომით მშობელ მქმნელი“ (ანდრეა კრეტელი 1986: 314).

ჰომნოგრაფები ჯვარს მრავალი ეპითეტით ამკობენ: ქრისტანეთა შესავედრებელი, შემწე და სიმტკიცე; ნიჭთა მომატყუებელი; სამოთხის კარი; ეკლესიის ზღუდე; საჭურველი ყოვლად

ძლიერი; ეშმაკთა წარმდევნელი; კუერთხი სიმტკიცისაჲ; მოწამეთა გვირგვინი; საღმრთო კიბე, რომლითაც ადამიანი ამალდა ზეცად; ფარი საღმრთოჲ...

გრიგოლ ნოსელის სწავლებით, ქრისტეს ჯვარცმით სიმბოლურად გამოიხატა მისი მაცხოვარების უნივერსალიზმი: ყველა ქმნილება ზეცაში, ქვეყანასა და ქვესკნელში (რასაც გამოხატავს ჯვრის ოთხი კიდე) ქრისტეს მაცხოვარებით გაერთიანდა (ნოსელი 2008: 11) // „მე, სასწაული საკვრველთაჲ, რამეთუ ცათა სწორავს სივრცე და სიგრძე ჯუარისაჲ, რომელი ღმრთისა მადლითა განსწმენდს ყოველთა“ (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 220).

ჯვართამაღლების საგალობლებში უხვად გვხვდება ნათლის ტროპული სახეები, რომელიც ძირითადად მიემართება ქრისტესა და ჯვარს: „ნათლისა გამოჩინებასა წესნი უხესთაჲს განკრთომით ქებასა შესწირვენ“... „ნათელი მოივლინე, ქრისტე, სოფლად“... „რომელმან გამოაბრწყინე ნათელი და განანათლე ცისკარი და გამოაბრწყინე დღე“... „ღმრთივ-შუენიერი, უფროს მზისთუალისა ნათელი, ცხოველსმყოფელი პატიოსანი ჯუარი აღმოგუიციანდა ქუეყანით მორწმუნეთა საძლეველად მტერისათუის“... „ჯუარმან შენმან, ქრისტე, განანათლნა შენნი ეკლესიანი, რომელი გამოაბრწყინე ქუეყანასა ზედა ნათლითა ზეცისაჲთა, უბრწყინვალედს მზისთუალისა, რამეთუ დღეს აღემართა ძელი ჯუარისაჲ, დაეცა მტერი“ (უმველესი... 1980: 299, 304, 308, 311); „დღეს გამოგვბრწყინდა ჩუენ ელვარე უფროს მზისთუალისა ჯუარი შენი, ქრისტე ღმერთო“... „დღეს მოგუესწავა ნათლითა შემოსილი ჯუარი, ქუეყანად ამალღებული“... „განბრწყინდა ჯუარი შენი, მაცხოვარ, ცათა შინა და ამხილა მტერთა ურწმუნოებაჲ იგი მათი“... „ნათელსა მას შინა საღმრთოსა მყოფ ხარ, პატიოსანო ჯუარო ქრისტესო, განანათლენ, წმიდა-ყვენ რომელნი ამალღებასა შენსა შიშით თაყუანის-სცემენ“... (გიორგი მთაწმიდელის... 2007: 216, 220, 221, 229). ჯვრის მეოხებით დაიძლია სიკვდილი და ადამიანი დაბრუნდა პირვანდელ წიაღში, საღმრთო ნათელში. ამიტომაც არის ჯვართამაღლების საგალობლები ნათლის ტროპიკის ასე უხვად შემცველი.

წმ. იოანე ოქროპირი სახეთა პარალელიზმით აკავშირებს მოვლენებს ჯვარცმამდე და ჯვარცმის შემდეგ: „რად იყო პირველ ჯუარისა, ანუ შემდგომად ჯუარისა... პირველ ჯუარისა ეშმაკი

თაყუნის-იციმებოდა, ხოლო აწ ჯუარისა ქადაგებითა ეშმაკი დაითრგუნვის და ყოველნი ძალნი მისნი ივლტიან... არღა იქადაგებოდა ჯუარი და სიკუდილისა მიერ შეპყრობილ ვიყვენით. ხოლო აწ ჯუარისა ქადაგებითა სიკუდილსა ვითარცა არაარსა შეურაცხ-ვჰყოფთ და საუკუნოდასა ცხორებისა სურვიელ ვართ. არღა იყო ქადაგებად ჯუარისად და უცხო ვიყვენით სამოთხისაგან, ხოლო აწ ჯუარი რად გამოჩნდა, მყის სამოთხისა ღირს-ყო ავაზაკი“ (იოანე ოქროპირი 1996: 323).

ჯვრის მეოხებით ამაღლდა ადამიანი უფლამდე, განელო სასუფევლის დახშული კარი. ამიტომაც არის ჯვარი ნათელთან ერთად წამყვანი სახე-სიმბოლო სასულიერო მწერლობაში.

### **დამოწმებული ლიტერატურა:**

ანდრია კრეტელი 1986: ანდრია კრეტელი, ძველი მეტაფრასული კრებული, სექტემბრის საკითხავი. გამომცემლობა: მეცნიერება, 1986.

ბიგანიშვილი 2005: ბიგანიშვილი თ. სიმბოლურ-სახისმეტყველებითი ტრადიცია ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმამდე და საღმრთო წერილიდან ჰიმნოგრაფიამდე ნათლის სიმბოლიკის მიხედვით, კრ. ლიტერატურული ძიებანი, XXVI, 2005.

გიორგი მთაწმიდელის... 2007: გიორგი მთაწმინდელის თუენი (სექტემბერი). გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ. გამომცემლობა: ნათლისმცემელი, 2007.

დამასკელი 1986: ძველი მეტაფრასული კრებული, სექტემბრის საკითხავები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გოგუაძემ. გამომცემლობა: მეცნიერება, 1986.

დამასკელი 2000: მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა; ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ. 2000.

იოანე ბოლნელი 1999: იოანე ბოლნელი, ათონის მრავალთავი, 1999.

იოანე ოქროპირი 1959: წმიდა იოანე ოქროპირი. სინური მრავალთავი 864 წლისა, გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1959.

იოანე ოქროპირი 1996: თარგმანებად მათეს სახარებისა, I-II-III, თბ., 1996.

ლოსკი 1986: ლოსკი ვლ. პალამისტური სინთეზი. ჟ. საღვთისმეტყველო კრებული №2, თბილისი, 1986.

მინჩხი 1987: იოანე მინჩხის პოეზია, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევები დაურთო ლ. ხაჩიძემ, გამომცემლობა: მეცნიერება 1987.

სირაძე 1987: სირაძე რ. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ. 1987.

სულავა 2003: სულავა ნ. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.

პალამა 1990: გრიგოლ პალამა, სიტყვა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ პალამასი მოციქულთა მიერ თაბორზე ხილული ნათლის თვისებისათვის, ჟურნ. ჯვარი ვაზისა, 1990, №2.

უძველესი... 1980: უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაურთეს ელენე მეტრეველმა, ცაცა ჭანკიევმა და ლილი ხევსურიანმა. გამომცემლობა: მეცნიერება, 1980.

**გამოყენებული ხელნაწერები:**

Ath-45 – გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი და შედგენილი პარაკლიტონი, XI ს. ავტოგრაფული ნუსხა.

H-2337 – თუენი, 1049 წ.

*ირინა ჯიშკარიანი*

*ფილოლოგიის დოქტორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

*მარიანა ბალასანიანი*

*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

### **ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტების თარგმნის თავისებურებები**

#### *მოკლე შინაარსი*

სტატია ეძღვნება ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების თარგმნის აქტუალურ საკითხებს. ნაშრომში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ამ სპეციფიკური ტექსტების კომპეტენტურ თარგმანს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც ხელს უწყობს ტექსტის სამიზნე ენაზე თარგმნის სიზუსტეს. ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების სწორად და სრულყოფილად თარგმნისთვის აუცილებელია ორიგინალის ტექსტის, ისევე როგორც მნიშვნელობის ზუსტი გადმოცემა.

**საკვანძო სიტყვები:** ოფიციალურ-საქმიანი სტილი, ტერმინები, კლიშირებული ფრაზები, შაბლონები, თარგმნის სირთულეები, ხელშეკრულება, საქმიანი წერილი.



*Irina Jishkariani*

*Doctor of Philology, Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltzikhe, Georgia*

*Mariana Balasanyan*

*Doctor of Philology, Associate Professor,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltzikhe, Georgia*

## **PECULIARITIES OF TRANSLATING OF TEXTS OF THE OFFICIAL BUSINESS STYLE**

### *Abstract*

The article is dedicated to current issues of translation of official-business texts. The paper sets out the basic requirements that must be met by competent translation of these specific texts, which contributes to the accuracy of the translation of the text into the target language. For the correct and complete translation of official-business texts, it is necessary to convey the original text as well as the meaning accurately.

**Key Words:** official business style, terms, clichéd phrases, templates, translation difficulties, contract, business letter.

**მიზანი.** სტატიის მიზანია ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების თარგმნის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების, ძირითადი მოთხოვნების გაშუქება, რომლებიც ამ სპეციფიკური ტექსტების კომპეტენტურ თარგმანს უნდა აკმაყოფილებდეს. სტატიაში განხილულია თარგმნის თეორიის აქტუალური საკითხები, აგრეთვე ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების თარგმნის კონკრეტული მეთოდოლოგიური ხერხები. მოცემულია შემოკლებების და აბრევიატურათა თარგმნის მაგალითები, რომლებიც ხშირად შეინიშნება ოფიციალურ-საქმიან ტექსტებში. სტატიის მიზანია აგრეთვე ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სტრუქტურული, კომუნიკაციური და სტილის-ტური მახასიათებლების შესწავლა, რომლებიც განსაზღვრავს მისი თარგმნის მოთხოვნებს და გავლენას მოახდენს თარგმანის სტრატეგიების არჩევაზე; ამ ტექსტების თარგმნის რამდენიმე მეთოდის ილუსტრაცია, რაც

უზრუნველყოფს მათ კომუნიკაციურად ტოლფასიან გადაცემას მიმღებ ენაზე.

**შესავალი.** გლობალიზაციის ეპოქაში ვითარდება და ფართოვდება საქმიანი კონტაქტები და კომუნიკაციები, ამიტომ ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების თარგმნის პრობლემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს უპირატესობა ინგლისურ ენას ენიჭება, ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმნა. თანამედროვე პირობები უფრო მკაცრ მოთხოვნებს აყენებს ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების თარგმნასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციისა და ტექსტების უფრო გამართული და ადეკვატური თარგმნის აუცილებლობას.

„ოფიციალურ-საქმიანი სტილი ენობრივი საშუალებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა ფუნქციაა ოფიციალურ-საქმიანი ურთიერთობების სფეროს მომსახურება, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფო ორგანოებს, ორგანიზაციებსა და მათ ქვედანაყოფებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირთა შორის მათი საწარმოო, ეკონომიკური, სამეურნეო, დიპლომატიური და იურიდიული საქმიანობის პროცესში“ (ლ. გრაუდინა, გვ. 216). ოფიციალურ-საქმიან სტილს აქვს კომუნიკაციის კონკრეტული მიზანი - ბიზნეს პარტნიორებს შორის ურთიერთგაგების მიღწევა, რაც საბოლოოდ შეთანხმებას იწვევს.

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების შინაარსი, მისი უზარმაზარი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გამორიცხავს ყოველგვარ ბუნდოვანებას, რაიმე შეუსაბამობას. ის უნდა გამოირჩეოდეს მეტ-ნაკლებად შეზღუდული თემატიკით.

მკვლევართა უმეტესობის აზრით, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების სტილის ძირითადი ნიშნებია:

**ოფიციალურობა.** ოფიციალურობა ხაზგასმით აღნიშნავს კომუნიკანტებს შორის ურთიერთობების საქმიან საფუძველს. მას ახასიათებს გადმოცემის სიმკაცრე, როგორც წესი, სიტყვები გამოიყენება მათი პირდაპირი მნიშვნელობით. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო

თავისებურებაა უკვე არსებული კლიშეების და მყარი გამო-  
ნათქვამების ხმარება.

*სიზუსტე.* ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში დაუშვებ-  
ლია სტილისტური ხერხები, რომელიც დაფუძნებულია სიტყვე-  
ბის მრავალფეროვნებაზე, რადგან მათ შეუძლიათ გამოიწვიონ  
ტექსტის შინაარსის ორგვარად გაგება.

*სიმოკლე.* სიმოკლე ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების  
მთავარი მახასიათებელია. ეს გამოწვეულია ინფორმაციის სწრაფი  
აღქმის აუცილებლობით. საქმიან წერილში მნიშვნელოვანია დად-  
გინდეს ბალანსი ინფორმაციის მოკლე გადმოცემასა და მისი  
სრულყოფილად წარმოდგენას შორის. გადმოცემის სიმოკლეს განა-  
პირობებს დიდი რაოდენობით აბრევიატურების და სხვადასხვა  
სახის შემოკლებების გამოყენება, განსაკუთრებით რუსულ ენაში.

*სტერეოტიპულობა.* შაბლონები და სტანდარტები ოფიცია-  
ლური დოკუმენტების სტილისთვის დამახასიათებელია, რადგან  
მათი თემატური წრე მკაცრად არის განსაზღვრული, მისი  
გამოყენების არე შედარებით მცირე და ერთტიპობრივია. შაბ-  
ლონური ფრაზები აუცილებელია დოკუმენტის გასაფორმებლად,  
მისი კომპოზიციის შესაქმნელად. თითოეულ ოფიციალურ  
დოკუმენტს აქვს თავისი კომპოზიციური სტრუქტურა, იქნება ეს  
მემორანდუმები, კონტრაქტები, საქმიანი წერილები და ა.შ. -  
ყველა ამ შემთხვევაში ტექსტის კომპოზიციას აქვს აზრობრივი  
დატვირთვა, რომელიც შეესაბამება ტექსტის უშუალო შინაარსს.

*ლოგიკურობა.* ლოგიკურობა ნიშნავს შინაარსის გამლილი  
ფორმით, ინფორმაციის სუბიექტური მიწოდების არარსებობას,  
ინფორმაციის მაქსიმალური სიზუსტით და ლაკონიურად წარ-  
მოდგენას, ტექსტის კომპოზიციურ ნაწილებად (აზნაცები, პა-  
რაგრაფები) ლოგიკურ დაყოფას.

*მსჯელობა.* ოფიციალურ-საქმიან სტილში შესრულებული  
თითოეული დოკუმენტის მიზანია გარკვეული შეთანხმების  
მიღწევა სხვადასხვა საკითხებში და ა.შ. ნებისმიერი დოკუმენტი  
საკითხის არსს მკაფიოდ უნდა წარმოადგენდეს და გამოხატავდეს  
იმ ძირითად პირობებს, რომელთა შესრულების ვალდებულებასაც  
იღებს ორივე მონაწილე მხარე, რაც ასევე უნდა აისახოს ამ  
ტექსტის თარგმანში. ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებს, ამ კონ-  
კრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულებებს, საკუთარი სპეცი-

ფიკური ფორმა აქვთ და შეიძლება შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

- статья, пункт, подпункт (მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი);
- предмета договора, контракта, соглашения (ხელშეკრულების, კონტრაქტის, შეთანხმების საგანი);
- условия поставки (მიწოდების პირობები),
- цена и общая стоимость (ფასი და საერთო ღირებულება),
- условия платежа (გადახდის პირობები),
- права и обязанности сторон (მხარეთა უფლებები და მოვალეობები),
- ответственность сторон (მხარეთა პასუხისმგებლობა),
- форс-мажорные обстоятельства (ფორს-მაჟორული გარემოებები), ანუ (непредвиденные обстоятельства: стихийные бедствия, военные боевые действия, действия, не зависящие ни от одной стороны - გაუთვალისწინებელი გარემოებები: სტიქიური უბედურებები, სამხედრო საომარი მოქმედებები, მოქმედებები, რომლებიც არც ერთ მხარეზე არ არის დამოკიდებული),
- реквизиты и подписи сторон (მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რუსულიდან ქართული თარგმანი მთლიანად ექვივალენტურია, ანუ თარგმნილი ტექსტი შეესაბამება ორიგინალ ტექსტს.

ხელშეკრულების თარგმანი იწყება დოკუმენტაციის ტიპის განსაზღვრით. არსებობს სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები: მომსახურების, სამუშაოების გაწევის ხელშეკრულება; შრომითი ხელშეკრულება, საცხოვრებელი ფართის იჯარის ხელშეკრულება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, საქონლის, პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება; ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება; დამფუძნებელი ხელშეკრულებები; მიწის იჯარით აღების ხელშეკრულება და ა.შ. ხელშეკრულების თითოეულ ტიპს აქვს საკუთარი სპეციფიკური ფორმა, მაგრამ მათ აქვთ ზოგადი სტანდარტული, ტიპიური ფორმა, რომელიც იწყება კონკრეტული ფრაზებით და, შესაბამისად, თარგმნას სხვა ენაზე, ჩვენს შემთხვევაში, რუსულიდან ქართულად და პირიქით ასევე აქვს შესაბამისი ფორმა. მაგალითად:

## Договор

### купли-продажи

г. [место заключения договора] [число, месяц, год]

[Организационно-правовая форма, полное наименование организации], в лице [должность, Ф. И. О.], действующего на основании [Устава, положения, доверенности], именуемое в дальнейшем "Продавец", с одной стороны, и

[организационно-правовая форма, полное наименование организации], в лице [должность, Ф. И. О.], действующего на основании [Устава, положения, доверенности], именуемое в дальнейшем "Покупатель", с другой стороны, а вместе именуемые "Стороны", заключили настоящий договор о нижеследующем:

#### 1. Предмет договора

1.1. Продавец обязуется передать в собственность Покупателю оборудование, а Покупатель обязуется принять и оплатить это оборудование в порядке и на условиях, предусмотренных настоящим договором.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

წელი[ხელშეკრულების დადების ადგილი] [თარიღი, თვე, წელი]

[ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ორგანიზაციის სრული სახელი], წარმოდგენილია [თანამდებობა, სრული სახელი] სახით, რომელიც მოქმედებს [წესდების, დებულების, მინდობილობის] საფუძველზე, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „გამყიდველი“, ერთის მხრივ, და

[ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სრული სახელი], წარმოდგენილია [თანამდებობა, სრული სახელი] სახით, რომელიც მოქმედებს [წესდების, დებულების, მინდობილობის] საფუძველზე, შემდგომში მოხსენიებული როგორც „მყიდველი“, და ერთად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“, გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი იღებს ვალდებულებას, გადასცეს მყიდველს საკუთრებაში აღჭურვილობა, ხოლო მყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს და აანაზღაუროს ამ მოწყობილობის ხელ-

შეკრულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით.

ხშირად გამოყენებული ფრაზა «именуемый в дальнейшем» გამოიყენება როგორც კლიშე და წარმოადგენს ოფიციალურ-საქმიანი სტილის განუყოფელ ნაწილს ქართულ ეკვივალენტთან ერთად – „შემდგომში მოხსენიებული, როგორც“. როგორც მოცემული მაგალითები მიგვანიშნებენ, ამ ტიპის საქმიანი დოკუმენტების თარგმნისას შენარჩუნებულია შტამპებისა და კლიშეების გამოყენების პრინციპი. დასკვნითი ეტაპია ტექსტის რედაქტირება და გამოყენებული ტერმინოლოგიის შეფასება. განსაკუთრებით აღსანიშნავია არაექვივალენტური ლექსიკა, რომელსაც არ აქვს სათანადო შესაბამისობა სხვა ენებში: ფირმის სახელი, მისამართი, ხელმძღვანელის გვარი და ა.შ. თარჯიმანმა უნდა შეძლოს და მიაღწიოს თარგმანის პრაქტიკულ ინფორმაციულ შესაბამისობას ორიგინალ ტექსტთან.

საქმიანი წერილი არის გრამატიკულად და სემანტიკურად გაფორმებული ტექსტი, რომელსაც სპეციფიკური კომუნიკაციური სტრუქტურა და დოკუმენტის ძალა აქვს. კომუნიკაციური ამოცანები, რომელთა მოგვარება ხერხდება საქმიანი წერილის საშუალებით, ითვალისწინებს: პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, პარტნიორებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას რთული პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც წარმოიშვება საქმიანი ურთიერთობის პროცესში და სხვ. ასეთი გზავნილების წყალობით მათ ეძლევათ საქმიანი საკითხების მოგვარების შესაძლებლობა ხელმისაწვდომი, სწრაფი და ოპტიმალური გზით.

საქმიან წერილებს მკაცრად რეგლამენტირებული ფორმა აქვთ. საქმიანი წერილის სტრუქტურა შემდეგია: სათაური, თარიღი, მისამართი, მისალმება და მიმართვის თავაზიანი ფორმა, წერილის ძირითადი ნაწილი და ხელმოწერა. საქმიანი კორესპონდენციის ადეკვატური თარგმანის განსახორციელებლად სასურველია შემდეგი ლექსიკური მახასიათებლების გათვალისწინება:

1. კომუნიკაციის თავაზიანი ფორმა, მაგალითად: Просим явиться к 9<sup>00</sup> в здание главного офиса на собеседование – გთხოვთ, გამოცხადდეთ 9 საათზე სათაო ოფისის შენობაში გასაუბრებაზე.-

Мы получили ваше письмо от 28 мая– ჩვენ მივიღეთ 28 მაისით დათარიღებული თქვენი წერილი

2. ფრაზეოლოგიზმების ან კლიშეებისა და შტამპების გამოყენება, მაგალითად:

Спасибо за Ваш быстрый ответ. გმადლობთ სწრაფი პასუხისთვის

Приносим извинения за задержку. ბოდიშს გიხდით დაგვიანებისთვის

Благодарим Вас за Ваше письмо. გმადლობთ წერილისთვის

В ответ на Ваше письмо. თქვენი წერილის პასუხად

საქმიან წერილებში შეიძლება შეინიშნებოდეს ემოციურად შეფერილი სიტყვები, ეს სიტყვები, როგორც წესი, გამოიხატება წერილის მიმღების მიმართ. ასეთ წერილებს მიეკუთვნება მადლობის წერილი, მისალოცი წერილი, საჩივრის წერილი.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ისეთი მახასიათებელი, როგორცაა სიზუსტე, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება სპეციალურ, პროფესიულ ტერმინოლოგიაში, აგრეთვე მრავალრიცხოვან აბრევიატურებსა და შემოკლებებში: *счёт-фактура - ანგარიშ-ფაქტურა ან ინვლისურიდან ნასესხები ინვოიცე, дата поставки - მიწოდების თარიღი, рекомендательное письмо - სარეკომენდაციო წერილი, поистечении срока - ვადის გასვლის შემდეგ, срокдействия - მოქმედების ვადა, условия платежа - გადახდის პირობები, иные/прочие условия - სხვა პირობები, юридическое лицо - იურიდიული პირი, физическое лицо - ფიზიკური პირი, вышеупомянутый - ზემოხსენებული, персонал - პერსონალი, сообщаю Вам - გაცნობებთ, от лица - სახელით, предмет переговоров - მოლაპარაკებების საგანი, прекращать - შეწყვეტა, приостанавливать - შეჩერება და ა.შ. ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის საქმიან დოკუმენტებში გამოიყენება შემდეგი ტერმინები: *дополнительный доход*; *налоговоспособность*; *обязанность платить налог на прибыль*; *иურიდიულ დოკუმენტებში - გადაწყვეტი ხმა (решающий голос); სასამართლო ორგანო (судебный орган); პროცესის, საქმის წარმართვა (вести процесс, дело); საქმის გადაცემა სასამართლოში (передача дела в суд); საქმის მოსმენა**

(слушать дело); სასამართლოს წარდგინება (по представлению суда) და სხვ.

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის კიდეც ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია აბრევიატურები და შემოკლებები. რუსულ ენაში ხშირად გამოიყენება აბრევიატურები, მაგალითად: **УФМС** (Управление Федеральной Миграционной Службы - მიგრაციის ფედერალური სამსახურის სამმართველო), **НАО** (некоммерческое акционерное общество – არაკომერციული სააქციო საზოგადოება), **МКК** (международная коммерческая компания - საერთაშორისო კომერციული კომპანია), **РПН(Н)ЮЛ** (реестр предпринимателей и непредпринимательских (некоммерческих) юридических лиц - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი), **НДФЛ** (налог на доходы физических лиц - ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი), **АСУ** (автоматическая система управления -ავტომატური მართვის სისტემა), **АИС** (автоматическая информационная система -ავტომატური ინფორმაციული სისტემა), რომლებსაც ქართულ ენაზე შესატყვისი აბრევიატურა არ აქვს. რუსულთან შესატყვისი აბრევიატურა მხოლოდ რამდენიმეა: **ООО** (Общество с ограниченной ответственностью - შპს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), **АО** (акционерное общество - სს სააქციო საზოგადოება), **ТОО** (товарищество с ограниченной ответственностью შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა - შპა), **КПД** (коэффициент полезного действия - მარგი ქმედების კოეფიციენტი. მქკ), (სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **ЮЛГП** юридическое лицо государственного права),

ქართულ ენაზე რუსულიდან თარგმნისას ტექსტში აბრევიატურათა უმეტესობის გაშიფრვა და სრულად თარგმნა ხდება. თუ აბრევიატურა ვერ გაიშიფრა, ის რჩება ორიგინალის ენაზე.

ამრიგად, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაცია თარგმნის დროს მოითხოვს დიდ ყურადღებას, სხვადასხვა მთარგმნელობითი „ინსტრუმენტების“ გამოყენების ცოდნას და უნარს. ოფიციალურ-საქმიან სტილში დაწერილ ტექსტებში დაცული უნდა იყოს კონკრეტული ტიპის დოკუმენტის წერის გარკვეული ფორმები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოფიციალური



სტილი ყველაზე კონსერვატიული სტილია ნებისმიერ ენაზე, შესაბამისად, დოკუმენტების დაწერის ან შესრულების ნორმებისგან გადახრა, ისევე როგორც მათი თარგმნის დროს, აღიქმება როგორც არაკეთილსინდისიერი და შეურაცხმყოფელიც კი. შესაბამისად, ამ ტიპის ტექსტებს მთარგმნელი განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოეკიდოს და არ დაარღვიოს ოფიციალურ-საქმიანი ეტიკეტი.

**დასკვნა.** ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის თარგმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მის ისეთ სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა ტერმინები, სტანდარტული ენობრივი და კლიშირებული კონსტრუქციები და შაბლონები, ასევე აუცილებელია ფორმისა და შინაარსის შენარჩუნება და სხვ. მთარგმნელი უნდა იცნობდეს საქმიანი დოკუმენტის თავისებურებებს და ფლობდეს საქმიანი საბუთების შედგენის უნარ-ჩვევებს, თავისუფლად ფლობდეს უცხო ენას, გააჩნდეს საქმიანი ეტიკეტის უნარ-ჩვევები.

საქმიანი დოკუმენტების პროფესიული თარგმანი უნდა იყოს ექვივალენტური და ადეკვატური, ხოლო ნათარგმნი ტექსტი ზუსტი, ლაკონიური, მკაფიო და უნდა აკმაყოფილებდეს ლინგვისტიკის ზოგადად მიღებულ ნორმებს.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი გამოიყენება თითქმის მხოლოდ წერილობით; დამახასიათებელია სიტყვის წერითი და მონოლოგური ფორმა (რა თქმა უნდა, შესაძლებელია კომუნიკაციის ზეპირი ფორმები, მაგალითად, საქმიანი მოლაპარაკებები).

### **ლიტერატურა:**

ალექსეევა, 2002: Алексеева И. С. Введение в переводовведение. Учеб. пособие для студ. филол. и лингв. фак. высш. учеб. заведений. — СПб.: Филологический факультет СПбГУ; М.: Издательский центр «Академия», 2004. - 352 с. <https://studfile.net/preview/1197096/>

ახმანოვა, 2012. Ахманова О. С. Словарь лингвистических терминов. Москва, 2012. <https://classes.ru/grammar/174.Akhmanova/>

ბარხუდაროვი, 1975. Бархударов Л. С. Язык и перевод. Москва, 1975. [http://samlib.ru/w/wagapow\\_a\\_s/barhud-trdoc.shtml](http://samlib.ru/w/wagapow_a_s/barhud-trdoc.shtml)

ვინოგრადოვი, 2001. Виноградов В. С. Введение в переводоведение. Москва, 2001.

<http://www.helpforlinguist.narod.ru/VinogradovVS/VinogradovVS.pdf>

გრაუდინა, 1999: Граудина Л. К., Ширяев Е. Н. Культура русской речи. Учебник для вузов. 1999, М.

[https://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Linguist/Gray/index.php](https://www.gumer.info/bibliotek_Buks/Linguist/Gray/index.php)).

გარბოვსკი, 2007: Н. К. Гарбовский. Теория перевода. Изд. Московского университета, 2007

<http://rkiff.philol.msu.ru/wp-content/uploads/2020/05/Гарбовский.pdf>

*მედეა ბურდული*

*ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

**სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების დინამიკა ქართულ  
სოფელში**

(სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

***მოკლე შინაარსი***

ნაშრომი ეხება მე-20 საუკუნეში მესხეთის სოფლებში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს და იმ პრობლემებს, რომლებიც საკუთრების ფორმის ცვლილებებს მოჰყვა. საქართველოში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლის - საკუთრების ფორმის ფუნდამენტურმა ცვლილებებმა (XX საუკუნეში ორჯერ შეიცვალა საკუთრების ფორმა: 20-იან წლებში კერძო საკუთრება და საბაზრო ურთიერთობები შეცვალა სახელმწიფო საკუთრებამ და გეგმიურმა ეკონომიკამ, საუკუნის მიწურულს კი პირუკუ პროცესები განვითარდა) თავისებური დადი დაასვა ადამიანების შრომით, საზოგადოებრივ, კულტურულ, ეკონომიკურ, ფსიქო-სოციალურ ურთიერთობებს.

სტატიაში ნაჩვენებია, როგორი დამანგრეველი შედეგები მოიტანა გასული საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულმა კოლექტივიზაციის პროცესმა და სოფლის მოსახლეობაზე განხორციელებულმა ძალადობრივმა მეთოდებმა. ასევე საუკუნის დასასრულს ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ, რომელიც, მისგან გამოწვეული მიზეზების ანალიზისას ჩანს, რომ საკმაოდ მოუზადებლად და მთელი რიგი ფაქტორების გაუთვალისწინებლად განხორციელდა.

საქართველოსთვის, როგორც აგრარული ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანია განვითარებული სოფლის მეურნეობა. განვითარებადი ქვეყნის სტატუსმა და იაფმა იმპორტირებულმა სოფლის

მეურნეობის პროდუქტმა კი მნიშვნელოვნად დააზარალა ქართული სოფელი.

ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში გამოვყავით ის ძირითადი მიზეზები, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა განვითარებული სოფლის მეურნეობა მესხეთში და ამ ფონზე გვეჩვენებინა ხალხის დამოკიდებულება სოციალური პროექტების მიმართ, სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები და სხვ.

საკითხის შესახებ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა აჩვენებს, რომ საქართველოში 90-იან წლებში ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ და მართვის სტილის შეცვლამ პროგრესის ნაცვლად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, სოფლად მაცხოვრებელთა ეკონომიკური დონე გაუარესდა და სოფლის ინფრასტრუქტურა მოიშალა, გაიზარდა უმუშევრობა, წარმოიშვა სოციალური და დემოგრაფიული პრობლემები.

საყურადღებოა სოფლის მცხოვრებთა შეხედულებები ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ: მათ მიაჩნიათ, რომ სოფლად სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დანიშვნის წესი აუცილებლად შესაცვლელია, რადგან გარკვეულწილად სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა; აუცილებელია სოფლის მცხოვრებთათვის ალტერნატიული დასაქმების გზების გამონახვა და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის სოფლების ნაწილი მაღალმთიან ზონაშია მოქცეული, ამიტომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, სტატიაში ნაჩვენებია „მთის კანონის“ მიხედვით ამოქმედებული სოციალური შეღავათების მნიშვნელობა სოფლად დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესების საქმეში.

**საკვანძო სიტყვები:** სოფელი, კოლექტივიზაცია, რეფორმა, დემოგრაფია, სოციალური დახმარება, მესაქონლეობა, მევენახეობა, „მთის კანონი“.

***Medea Burduli***

*Doctor of History, Associate Professor,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltsikhe, Georgia*

## **DYNAMIC OF THE SOCIO – ECONOMICAL CHANGES IN GEORGIAN VILLAGE**

(According the Ethnographical Materials from Samtskhe-Javakheti)

### ***Abstract***

The article is dedicated to the changes and problems raise in XX centuries villages in Samtskhe Javakheti. In Georgia the fundamental changes of forms of property as a base of socio-economical development – had great impact on human labor, social, cultural, economic, psycho –social communication (in XX century form of the property has been changed twice: in 20th private property and labor market communication has been changed by the state property and planned economy and at the end of the century the processes were changed vice versa). In the article there is given the results we faced at 30th years of the previous century when the collective form of agriculture and violence against population damage the processes. At the end of the century agrarian reforms, the results given in the analyses, which was done without any preparation. For Georgia, as it is the agrarian country, it is important how much developed agrarian country we would have. Georgian villages were highly damaged with cheap import products from villages and developed country status. On the base of ethnographical materials, we try to identify the Amin reasons why the developed countries agriculture was damaged in Meskheta and on the based of this research we pay attention how the social projects support population and their attitude the projects, we tried to study migration processes from the villages. Collected ethnographical materials gave the information and the fact that the reform and management style instead of benefit destroyed the policy of development. The economical level of the people in village getting low and lowest and infrastructure was destroying. Raise unemployment and demography was the main problem. We have to pay attention to the opinion of the population from these villages and the opinion they share with us how to solve the problem: they think that the rule of social packages already settled I the villages must be change

immediately because it is the one reason of destroying agriculture. They think to find alternative ways of agriculture development in the villages. The main part of the village in Samtskhe-Javakheti are upper part ones and in spite of the fact, in the article we discuss the traditional “mountain legislation” rule for development of demographical problems and social packages are more effective.

**Key Words:** village, collective, reform, demography, social packages, cattle, vinery, “mountain legislation”.

**მიზანი:** ნაშრომის მიზანია მესხეთის თანამედროვე სოფლის ეთნოგრაფიული ყოფისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლა მე-20 საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე. აღნიშნულ საკითხზე არსებული ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას გვაძლევს ზემოაღნიშნული პრობლემები დინამიკაში განვიხილოთ, რადგან მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართველი ეთნოგრაფების მიერ სისტემატურად ეწყობოდა ეთნოგრაფიული ექსპედიციები თუ ინდივიდუალური მივლინებები, რის საფუძველზეც დაიწერა სამეცნიერო ნაშრომები რეგიონის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ, და ბოლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსებიდან დღემდე (30 წელი) ისტორიის ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა ეთნოგრაფიის სპეცურსი და 2007 წლიდან კი ეთნოლოგიის დამატებითი პროგრამა, რომელიც სტუდენტთა ეთნოგრაფიულ პრაქტიკასაც გულისხმობდა. სტუდენტების ეთნოგრაფიული პრაქტიკის საფუძველზე შეიკრიბა საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალა მესხეთის სოფლის თანამედროვე ეთნოგრაფიული ყოფის თაობაზე, გამოიკვეთა ის სიძნელეები, რაც სოფლის მცხოვრებთა წინაშე დგას. ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე, სოფლად მომხდარი სასიკეთო თუ საზიანო ცვლილებები.

**მეთოდები:** ეთნოგრაფიული კვლევა განვახორციელეთ საველე ეთნოგრაფიულ მასალაზე, საარქივო და სპეციალური ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით.

საველე ეთნოგრაფიული მასალა მოძიებულია უშუალო დაკვირვებისა და ინტერვიუების მეთოდის საშუალებით. ჩა-

ღრმავებული ინტერვიუს და პირისპირი გამოკითხვისათვის შეიქმნა სპეციალური კითხვარი.

ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა გაანალიზებულია ეთნოლოგიურ მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდებით (შედარებით-ისტორიული; ტიპოლოგიური, სტრუქტურულ-ფუნქციური და სხვ.).

**შესავალი.** სტატია ეხება მესხეთის სოფელში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურული განვითარების თანამედროვე პრობლემებს. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს, ხოლო მათი 60-70% სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, რაც საქართველოსნაირი მცირემიწიანი ქვეყნისათვის დიდი პრობლემაა და გამოსავლის პოვნა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

სტატიაში აღწერილია სოფლად არსებული პრობლემების მიმართ, ერთი მხრივ, მოსახლეობის დამოკიდებულება, მეორე მხრივ, სამთავრობო დონეზე დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს და მათ ეფექტიანობას სამცხე-ჯავახეთის სოფლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განვიხილავთ. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის მიერ ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად გამოცხადებულია სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარება, შემუშავებულია სოფლის დახმარების სხვადასხვა პროგრამა, რომელმაც სოფლად კონკურენტული გარემო უნდა შექმნას, ხელი შეუწყოს პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას და სხვ. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ მთხრობელთა გადმოცემით, სოციალური პროგრამების განხორციელებისას სოფლებში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ხარვეზებს.

**მსჯელობა:** საქართველოში, როგორც მიწათმოქმედების უძველეს ქვეყანაში, სოფლის ეკონომიკური სიძლიერე ყოველთვის იყო ქვეყნის წინსვლის გარანტი. ჩვენმა წინაპრებმა ზედმიწევნით კარგად გამოიყენეს ქვეყნის მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები სხვადასხვა სამეურნეო დარგის განვითარებისათვის. საქართველოში სოფელს ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. „სოფელი ისტორიული კატეგორიაა. მისი აღმოცენება დამყარებულია ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველ-

ზე. საქართველოში... შემთხვევით არც ერთი სოფელი არ გაჩენილა. უზანდობა კი გააზრებულად წარმოიშობოდა და მის ირგვლივ მდებარე ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ათვისებას უზრუნველყოფდა“ (სონდულაშვილი, 1995: 7).

მ. ქანთარას დაკვირვებით: „დასახლების თანამედროვე ერთეული - სოფელი მტკიცედ ჩამოყალიბებული სოციალური ორგანიზმია თავისი მეურნეობით, რთული ინფრასტრუქტურით, წეს-ჩვეულებათა კომპლექსით. ყოველივე ეს ერთობლიობაში გააზრებული ქართველი კაცის ყოფიერებას, ეთნოფსიქოლოგიურ განწყობას განსაზღვრავს. თავის მხრივ, მომხდარი ნებისმიერი ცვლილება ზემოქმედებას ახდენს და აისახება ქვეყნის საერთო ცხოვრებაში“ (ქანთარია, 2001: 109).

ქართულ სოფელს და სოფლის მეურნეობას მე-20 საუკუნეში განვითარებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა დიდი დადი დაასვა. ჯერ 30-იან წლებში განხორციელებულმა კოლექტივიზაციამ, ხოლო საუკუნის დასასრულს ჩატარებულმა მიწის რეფორმამ სოფელი ძლიერ დააზარალა. საგულისხმო ფაქტია, რომ სულ ახლო წარსულში ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სოფლის მეურნეობა არ ითვლებოდა პრიორიტეტულ დარგად. განვითარებადი ქვეყნის სტატუსმა სხვა ქვეყნებში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ბაზრად გვაქცია, შედეგად კი დაქცეული სოფლის მეურნეობა მივიღეთ მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით.

დამანგრეველი იყო ქართული სოფლისთვის მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მიმდინარე კოლექტივიზაციის პროცესიც. ცნობილია, რომ სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებებით ხალხს (გადასახადების გაზრდა, სარწყავი წყლის ჩაკეტვა, სათიბ-სადოვრების შემცირება და სხვ.) აწევრიანებდნენ კოლექტივში. ასე მაგ.: „ხიზაბავრის კოლმეურნეობა 1929 წელს შეიქმნა, მაგრამ იგი, 1935 წელს ისევ სუსტი იყო, ხალხი არ შედიოდა იქ, რადგან ინდივიდუალური მეურნეობა უფრო მომგებიანი იყო“ (ქუქჩიშვილი, 1997: 34). აღსანიშნავია, რომ „...“ნეპის“ პოლიტიკის წყალობით საქართველოს სოფელში სოციალურ-ეკონომიკურმა დიფერენციაციამ საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ხასიათი შეიძინა: ღარიბი, საშუალო და მდიდარი გლეხოზა („კულაკები“) ქმნიდა



საქართველოს საბჭოთა სოფლის იერსახეს მე-20 ს-ის 20-იანი წლების შუახანებში“ (დაუშვილი, 2020: 356).

საქართველოში 1929 წლიდან იწყება ფორსირებული საკოლმეურნეო მოძრაობა, თვით კომუნისტური პარტიის წევრი გლეხებიც კი ეწინააღმდეგებოდნენ კოლექტიური მეურნეობების შექმნას, კოლმეურნეობის „დამფუძნებელი კრებები“ საკმაოდ მღელვარედ ტარდებოდა და დამსწრე საზოგადოების მკვეთრ უარყოფით რეაქციას იწვევდა (დაუშვილი, 2020: 236-242). ისტორიული დოკუმენტები ადასტურებენ, რომ „ძალიან ჭირდა საბჭოთა საქართველოს სოფელში კერძომესაკუთრული ინსტიტუტების დაძლევა და კოლექტივისტური სულისკვეთების დამკვიდრება“ (დაუშვილი, 2020: 262).

ძალადობრივი ღონისძიებების შედეგად „1938 წლისათვის მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე გაერთიანებული ჩანს კოლმეურნეობებში, ნაწილი კი ჩაბმულია ქალაქის წარმოებებში“ (მაკალათია, 1938: 69).

მაგრამ დღეს სოფლად შექმნილი მძიმე სოციალური ფონის გამო მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით ხანდაზმულები, რომ იტყვიან „მისტირიან კოლმეურნეობას“. რამ გამოიწვია კოლმეურნეობებისადმი დამოკიდებულების ასეთი ცვლილება საქართველოს სოფლებში? თანამედროვე ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ სოფლის ცხოვრებაში მე-20 ს-ის 80-იანი წლები საუკეთესო პერიოდი იყო, გაუმჯობესდა მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოფლის ინფრასტრუქტურა, თითქმის ყველამ აიშენა სოფელში ახალი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამასთანავე, საბჭოთა სისტემის კრაზის შემდეგ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საქართველოში მთლიანად მოისპო, მათ შორის ბევრი ეკონომიკურად მომგებიანი დიდი ტრადიციების მქონე შრომითი ორგანიზაცია იყო. 90-იანი წლებიდან კი იწყება ცხოვრების დონის გაუარესება; პარადოქსულია, მაგრამ აღნიშნულ წლებში ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ, რომელიც ნაჩქარევად და მოუმზადებლად წარიმართა, სოფელს სიკეთე ვერ მოუტანა; განსაკუთრებული უკმაყოფილება მოსახლეობაში რეფორმის შედეგად მიღებული მიწის სიმცირემ გამოიწვია, რადგან, როგორც გადმოგვცემენ, იგი ბევრად ჩამოუვარდებოდა „კოლექტივში შეტანილი მიწის“ ფართობს. მართალია, მიწა,

სოფლის მეურნეობის საფუძველი, კვლავ კერძო საკუთრება გახდა და გლეხებს გადაეცათ მუდმივ მფლობელობაში, სოფლად დაბრუნდა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, მაგრამ მან ახალ ვითარებაში ალღო ვერ აუღო აგრარულ ურთიერთობებს და სახელმწიფოს მხრიდან პასიურობის გამო ვარდნა განიცადა სოფლის მეურნეობის ყველა ტრადიციულმა დარგმა. სოფელში მოიშალა ინფრასტრუქტურა, რეფორმის შედეგად მიღებული მიწის ზომის სიმცირის გამო (0,75-1,25 ჰა-მდე) მან ოჯახის ღირსეული ცხოვრებისათვის სამყოფი შემოსავალი ვერ მოიტანა, მოიშალა ირიგაციული სისტემა, დატაცებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც ძირითადად საზღვარგარეთ გაიყიდა, გაძნელდა და გაძვირდა მიწის დამუშავება და სხვ. (დაუშვილი, 2018: 282-283). ამიტომ მიწის რეფორმის შემდეგ სოფლად მტკივნეული პროცესები განვითარდა: ნაწილმა გაყიდა მიწა, გაიზარდა უმუშევრობა და მიგრაცია სოფლიდან. და თუ მე-20 ს-ის 80-იანი წლებისათვის საქართველოს სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობები გაიზარდა და, ამასთანავე, თითქმის გათანაბრდა, 90-იანი წლებიდან, როგორც „ნეპის“ პერიოდში, კვლავ გაიზარდა სოფლის მოსახლეობაში ქონებრივი დიფერენციაცია.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებამ, განსაკუთრებით კი საკუთრების ფორმის ცვლილებამ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოფლის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაზე. ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ აღნიშნული მოვლენების მიმართ ხალხის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ზოგიერთი სოფლის, მაგ. ხიზაბავრა, მოსახლეობის სურვილია აღდგეს ის ინფრასტრუქტურა, რაც „კომუნისტების დროს იყო“, მაგ., სოფლის კლუბი. ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

სამცხე-ჯავახეთის სამეურნეო ყოფა და კულტურა საქართველოში გავრცელებული სამიწათმოქმედო კულტურის ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო ყოველთვის. მესხეთში მეურნეობის ძირითადი დარგები მე-20 საუკუნისათვის იყო მემინდვრობა და მესაქონლეობა, რომლის განვითარებისათვის ხელსაყ-

რელი პირობებია, თუმცა ისტორიულად ცნობილია, რომ ტერასები ძირითადად ვენახისა და ხეხილის ბაღის გასაშენებლად ეწყობოდა, განსაკუთრებით ბევრი ტერასა ჰქონდათ ხიზაბავრასა და საროში. ეთნოლოგ ზ. ქუქჩიშვილის ცნობით, „უწყლობით განადგურებულია ხიზაბავრის ტერასებზე შემორჩენილი ვენახები, ხეხილი კი მეორე მსოფლიო ომის დროს გაიჩეხა და საერთოდ გავერანდა ხიზაბავრის ტერასები“ (ქუქჩიშვილი, 1997: 34-35).

მემინდვრეობა სამცხის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგი იყო. აქ მიწათმოქმედება ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან და ლანდშაფტთან იყო შეხამებული, ის ბარის ხასიათსაც ატარებდა (ახალციხის ქვაბული), მთისასაც და ნახევრადმთისასაც (სამცხის მთათა მთისწინეთის და მთიანეთი). ასევე, ისტორიულად ერთ-ერთი დაწინაურებული დარგი ყოფილა მევენახეობაც.

მე-20 ს-ის 30-40-იან წლებში მესხეთის სამეურნეო ყოფის შესახებ ეთნოგრაფი ს. მაკალათია წერდა: „მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა უმთავრესად მისდევს მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. მაგრამ ბუნებრივი პირობების გამო ჯავახეთში უფრო მემინდვრეობას ეწევიან, მესხეთში კი მებაღეობა-მეხოსტნეობას. ჯავახეთის გაშლილ და თვალუწვდენელ მინდვრებზე პურის კარგი და დიდი მოსავალი იცის. აქაური მიწა შავი და ნოყიერია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ურწყავია და განოყიერებას მოკლებული, მაინც ყოველწლიურად უხვ მოსავალს იძლევა და ჯავახეთი ჩვენში სამართლიანად ითვლება „პურის ბედელად“ (მაკალათია, 1938: 70). აგრეთვე, „ძველად მტკვრის ხეობაში, ხერთვისის ზემო არტაანამდე ვენახებიც ყოფილა. ვაზი მესხეთში დღესაც ხარობს. აქაური ვაზის ჯიშებია: ბუდეშური, ცხენის ძუძუ, ხარისთვალა, თითა და სხვა“ (მაკალათია, 1938: 74). მისივე გადმოცემით, ვენახები საბოლოოდ განადგურებულა მენშევიკების დროს თურქების შემოსევისას და ახლა ისევ დაუწყიათ ვენახების გაშენება (მაკალათია, 1938: 74).

ივ. ჯავახიშვილის შრომების მიხედვითაც, მესხეთში ძველად მევენახეობა ყველგან იყო, სადაც ბუნების პირობები ამ დარგის არსებობას შესაძლებელს ხდიდა (ჯავახიშვილი, 1986: 441).

ქართული მევენახეობის მკვლევრის, ეთნოლოგ ლ. ფრუიძის აზრით კი: „მესხები ერთ-ერთი პირველი ქართული ეთნიკური

ერთეულია, რომლებიც ლურსმულ დამწერლობით ძეგლებში, ძვ.წ. XII საუკუნიდან მევენახეებად და მეღვინეებად მოიხსენიებიან“ (ფრუიძე, 2014: 52).

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს სამცხეში დაიწყო ისტორიული სამეურნეო დარგის, მევენახეობის აღდგენა-განვითარებისათვის ზრუნვა, აღდგენილია ხიზაბავრის ტერასების დიდი ნაწილი და პირველი რთველიც ჩატარდა. დღეისათვის მესხი მევენახეების მიერ მოძიებულია 8 თეთრი და 11 წითელყურძნიანი ვაზის ადგილობრივი ჯიშები (გიქოშვილი, 2015: 61-70).

მევენახეობის მსგავსად, მემინდვრეობას არ განუცდია ასეთი რევრესი, მაგრამ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან შემცირდა მარცვლეული კულტურების მოყვანაც. ასე მაგ: ჭობარეთში ძველად თურმე „სოფლის სახნავ-სათეს მინდორზე იმდენი რაოდენობის მარცვლეული მოჰყავდათ, რომ თვითონაც გვყოფნიდა და სხვა სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ ჩვენთან პურეულის საყიდლად“ (ჯვარიძე, 1990: 64). დღეს კი თითქმის ყველა მაღაზიაში ყიდულობს პურის ფქვილს. ასეთივე მდგომარეობაა სამცხის სხვა სოფლებშიც.

მესაქონლეობა მესხეთში ერთ-ერთი წამყვანი სამეურნეო დარგია და მისი განვითარების შესაბამისი ბუნებრივი პირობებიც არსებობს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საქონლის მოვლის პირობები და მიღებული პროდუქციის ხარისხი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ასე მაგ: სოფ. ზველში მცხოვრები ერთ-ერთი ფერმერის გადმოცემით, „მესაქონლეობის განვითარების დიდი პოტენციალი სოფელს არა აქვს, უფრო სწორად გლეხს//ფერმერს არა აქვს შესაძლებლობა თავისი საქონლის სადგომი მოაწყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ამიტომ ვერ იცავენ შესაბამის ჰიგიენურ პირობებს, რაც პროდუქციის ხარისხზე აისახება“. როგორც გადმოგვცა, მას ჰქონდა მცდელობა სოფელში წარმოებული რძე ჩაეხარებინა „სანტესთვის“, მაგრამ მათი „შემოწმების კრიტერიუმი ძალიან მაღალია და ვერ დავაკმაყოფილებთ, ამისათვის ჯერ მზად არ ვართ“-ო. აქვე აღვნიშნავთ, რომ სოფელ რუსთავში (ასპინძის მუნიციპალიტეტი) სავსე ეთნოგრაფიული პრაქტიკის დროს დავათვალიერეთ კოოპერატივის წევრების კუთვნილი, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოწყობილი ცხოველთა სადგომები, რომლებიც სოფლის დახმარების ერთ-

ერთი პროგრამით იქნა აგებული, მაგრამ ასე მოწყობილი გლეხის ოჯახის კუთვნილი ფერმები ჯერ ძალიან ცოტაა; ამასთან, პროგრამის დამთავრების შემდეგ ფინანსურად რამდენად შეძლებენ მათ გაძლოლას, ესეც ინდივიდუალურია.

ზოგიერთი სოფლის (ორგორა, საყუდაბელი) მცხოვრებლები ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ. ასპინძის რაიონს ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები აქვს. საქონელი ზაფხულში მიჰყავთ ნიალის ველზე, ზოგს, ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს, ზამთარშიც არ ჩამოჰყავს, რადგან „იქ იაფი ჯდება საქონლის შენახვა, აქ რომ სამი-ოთხი მანქანა თივა მინდა, იქ ერთიც საკმარისია“. სოფელს არ აწუხებს სამოვრებისა და სათიბების სიმცირე. იმედის მომცემია, რომ ფერმერებს დასაქმებული ჰყავთ თანასოფლელები, ზოგიერთი ფერმერი უკვე იმდენად არის მოძლიერებული, რომ 8-10 კაცი სჭირდება დამხმარედ.

საინტერესო და დამაფიქრებელია ეთნოგრაფიული მასალა სოფლის მცხოვრებთათვის სოციალური დახმარების დანიშვნის წესსა და, საზოგადოდ, პროექტის მიზანშეწონილობის შესახებ. მთხრობელები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში რაიონებში მუშაობდა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებები, სადაც სოფლის სამუშაოებიდან გამოთავისუფლებული მათი ოჯახის ერთი წევრი მაინც მუშაობდა და ფულადი შემოსავალიც ჰქონდათ, საწარმოების დახურვამ კი მათი ოჯახები მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის მონაცემებითა და ეთნოგრაფიული მასალით დასაქმების თვალსაზრისით ქართულ სოფელს მე-20 ს-ის 80-იან წლებში საუკეთესო პირობები ჰქონია, კერძოდ 1986 წლის მონაცემებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 26,4% იყო დასაქმებული სოფლის მეურნეობაში (ჯიბუტი, 2014: 83), დანარჩენი მოსახლეობა კი რაიონებისა და ქალაქების წარმოება-დაწესებულებებში იყო დასაქმებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური დახმარების საჭიროებასა და დანიშვნის წესთან დაკავშირებითაც მოსახლეობას ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, საუბრობენ უსამართლობაზე. იგი ხშირად ხდება მეზობლებს შორის დაპირისპირების მიზეზიც: „ბევრი უკადრებელ საქციელს კადრუ-

ლობს, რომ დახმარება დაენიშნოს...“, სოციალური დახმარების მიღებით დაინტერესებული პირი თავის ქონებას, მაგ; მანქანას სხვა პიროვნებაზე აფორმებს და სხვ. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში პრობლემა უფრო ღრმაა და ე.წ. “სოციალურ სოლიდარობასთან“ არაფერი აქვს საერთო, უფრო კი ეროვნული ღირებულებებისა და საუკეთესო ტრადიციების გადაგვარების ნიშანია. ზემოაღნიშნული მასალა გვიჩვენებს, რომ სოფლად სოციალურ შეჭირვებასთან ერთად მძიმე ფსიქოლოგიური ფონიცაა. მართლა გაჭირვებული ადამიანის მაგივრად სოციალური დახმარების აღება, პირიდან ლუკმის გამოცლა ქართული სოფლის ტრადიციულ ღირებულებებთან სრული ანტიპოდი. ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სოფელი მუდამ ზრუნავდა გაჭირვებულ მეზობელზე, ქვრივ-ობოლზე, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ მოდგამი (ხვნასთან დაკავშირებით შექმნილი შრომის ორგანიზაცია) პირველად ასეთი გაჭირვებული ოჯახის ნაკვეთს მოხნავდა და დაეხმარებოდა მოსავლის აღებაშიც (ჩიტაია, 2001: 123).

მთხრობელთა გადმოცემით, მაქსიმალურად მკაცრად უნდა განისაზღვროს სოციალური დახმარების მიმღებთა კატეგორია, რადგან „ეს წყალში გადაყრილი ფულია“, - გვეუბნებიან მთხრობელები, - რომელიც სოფლის განვითარებას ვერ შეუწყობს ხელს, პირიქით, ხელისშემშლელადაც კი გამოდის, რადგან ფერმერი სოფელში მუშახელს ვერ შოულობს: „უშრომლად აღებული ფული ურჩევნიათ“, „აზარმაცებს ადამიანს“, „უუნაროს და სხვის ხელში შემყურეს ხდის“, „სოციალურ დახმარებას იღებს სოფელში ის, ვისაც საქონელი არ ჰყავს, ხოლო თუ ძროხა გაიჩინა, დახმარებას უხსნიან“ და ა.შ.

„იმის შიშით, რომ ძროხის ყოლაზე სოციალური დახმარება მომეხსნებაო, ხალხი გაზარმაცდა და ურჩევნიათ ხელფასით აიღონ არაფერში ის სოციალური დახმარება და რძე მეზობლისგან იყიდოს, ვიდრე ძროხა ჰყავდეს და იმას მიხედოს“ (ბურდული, 2019: სოფ. ზველის სავლე მასალა). ზემოაღნიშნული ფაქტი სოფლის მეურნეობის განვითარებას ნამდვილად არ შეუწყობს ხელს.

სოფელში შექმნილი სოციალ-ეკონომიკური პრობლემებიდან თავის დაღწევას ბევრი მის მიტოვებაში ხედავს. 2019 წლის სტუდენტთა სავლე-ეთნოგრაფიული პრაქტიკა ძირითადად იმ სოფლებში დავეგმე, სადაც წინა წლებში, კერძოდ 2014 და 2015

წლებში ვიყავით. შემოკლებული დროის გამო სულ ექვს სოფელში მოვახერხეთ მუშაობა: ზარზმა, ხიზაბავრა, სარო, ზველი, მირაშხანი და ხოსპიო. ჩამოთვლილი სოფლებიდან მთის სტატუსი (2019 წლის მონაცემებით) არა აქვს მირაშხანს და ზარზმას.

მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა (4-5 წელი), საყურადღებოა სოფლად მოსახლეობის კიდევ უფრო შემცირება. ერთ-ერთი ძირითადი და პირველი კითხვა, რასაც ჩვენს რესპოდენტებს ვუსვამდით, იყო სკოლაში შემსვლელ პირველკლასელთა რაოდენობა, რაც ზოგიერთ სოფელში კატასტროფულად მცირეა, ასე მაგ.: სოფელ ხიზაბავრაში წელს საშუალო სკოლა დაამთავრა 12 მოსწავლემ, ხოლო პირველკლასელთა რაოდენობაა 7 (მასწავლებელთა ინფორმაციით); სოფელ ზველში პირველ კლასში შედის 3 ბავშვი, მომავალ წელს კი მხოლოდ ერთია სასკოლო ასაკის და ა.შ. ზოგიერთ სოფელში მაგ.: ორგორაში სკოლა არ არის და ბავშვები მეზობელი სოფლის სკოლაში დადიან ყოველგვარ ამინდში. „გასულ წელს (2013 მ. ბ.) 25 ბავშვი იყო, წელს შვიდია, მომავალ წელს კი პირველკლასელი აღარავინ იქნებაო“, - გადმოგვცემენ მთხრობელები. ბავშვებიანი ახალგაზრდა მშობლები ტოვებენ სოფელს, - „აბა რა ვქნათ ბავშვს უსწავლელს ხომ არ დავტოვებთო?“ აღნიშნული მონაცემები სოფლის „დაბერების“ უტყუარი მოწმეა. დაბერებიდან სიკვდილამდე კი არც ისე ბევრი დროა.

ზემოაღნიშნულის ფონზე საინტერესოდ ჩანს სოფელ ზარზმაში დაფიქსირებული მასალა (**რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს მიღებული მთის კანონის ნაკლოვანებებზე მიუთითებს**), კერძოდ, მთხრობელთა გადმოცემით, მათ იმიტომ არ მიანიჭეს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი, რომ სოფელში მრავლადაა მრავალშვილიანი ოჯახები და სკოლა მოსწავლეების სიმცირეს არ უჩივის. უნდა აღინიშნოს, რომ ზარზმა ზღვის დონიდან მეზობელ სოფლებზე მაღლა მდებარეობს, რომლებსაც მაღალმთიანობის სტატუსი აქვთ მინიჭებული, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

უფრო ნათელი რომ გახდეს, რაზე ვსაუბრობთ, „მთის კანონს“ ცოტა ვრცლად შევხები: ცნობილია, რომ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური და ეკონომიკური

მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შეღავათები განისაზღვრა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 16 ივლისს მიიღო. იმავე წელს შეიქმნა მთის განვითარების ეროვნული საბჭო და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი. კანონი ამოქმედდა 2016 წლიდან. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის მიერ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული ჰქონდა უკვე 1678 სოფელს, დაბასა და ქალაქს. 2019 წლისათვის - 1731, საქართველოს 3700 დასახლებიდან დაახლოებით ნახევარს, - თუმცა, ეს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9%-ია.

კანონით მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის დაწესებულია როგორც სოციალური, ისე საგადასახადო შეღავათები, რომლის მიზანიცაა მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, მოსახლეობის მთიდან მიგრაციის შეჩერება და, პირიქით, ხალხის დაბრუნება რეგიონებში; ასევე ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მრეწველობის განვითარება და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა და ა.შ.

ზემოთ კანონმდებლობის ხარვეზი ვახსენეთ; როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, სოფელ ზარზმისათვის მაღალმთიანი სოფლის სტატუსის არმინიჭება, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, გამოწვეულია სწორედ იმით, რომ „სოფელში ბევრი ბავშვია“. პარადოქსული ვითარებაა! რა გამოდის? თუ მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი, კანონის მიხედვით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა, მაშინ მაღალმთიან სოფელში ბავშვების სიმრავლე, პირიქით, სტატუსის მინიჭების მოტივი უნდა გახდეს, რომ სოფელი არ დაიცალოს. ვფიქრობთ, ეს საკითხი მეტ დაფიქრებას და სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს.

„ბევრი ბავშვი რომ მყავს, უფრო ბევრი საზრუნავი არ მაქვს? უფრო მეტი ფული არ მჭირდება მათი ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად?“ კითხულობენ სოფლის მცხოვრებნი და ეძებენ მიზეზს, რატომ გამოარჩიეს მათი სოფელი, „ალბათ კუთხურობის გამო, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს“. ცნობილია, რომ ზარზმამში ძირითადად მაღალმთიანი აჭარიდან არიან



გადმოსახლებულები. ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემა მისაჩუმა-  
თებელი არ არის, რადგან ერთ-ერთი მიზეზი სამცხე-ჯავახეთი-  
დან აჭარლების უკუმიგრაციისა ეს სამწუხარო ფაქტიც შეიძლება  
იყოს. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მთიან  
აჭარაში ყველა სოფელს, მიუხედავად ზღვის დონიდან მათი მდე-  
ბარეობისა, მინიჭებული აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

მიუხედავად ზემოაღნიშნული „გაუგებრობისა“, სამცხე-ჯავა-  
ხეთში მთიანი სოფლის სტატუსი საკმაოდ ბევრ სოფელს აქვს მინი-  
ჭებული, ვფიქრობთ, გარკვეულწილად მან დადებითი შედეგი უნდა  
მოიტანოს ზემოაღნიშნული პრობლემების გამოსწორების საქმეში.

შედეგები და დასკვნები: როგორც ზემოთ მოტანილი მასა-  
ლიდან ჩანს, გასული საუკუნის აგრარული რეფორმის შემდეგ  
სოფლის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდა,  
მოხდა კი პირიქით, რაღაც ასპექტში ერთმანეთს დაემსგავსა მე-20  
ს-ის 30-იანი და 90-იანი წლები: სოფლის მაცხოვრებელთა ქონებ-  
რივი დიფერენციაცია მოხდა; დაუსაქმებლობამ და უპერსპექ-  
ტივობამ სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაციის დონე უკიდუ-  
რესად გაზარდა; მოსახლეობის გაღარიბებული ნაწილი სოცია-  
ლური დახმარების იმედადაა დარჩენილი; სოციალური დახმა-  
რების დანიშვნა მეზობლების ურთიერთდაპირისპირების მიზეზი  
ხდება და, გარკვეულწილად, სოფლის მეურნეობის განვითარების  
შემაფერხებლადაც გვევლინება.

ვფიქრობთ, კარგი იქნება სოფლის მოსახლეობის აზრის  
გათვალისწინება სხვადასხვა საკითხის გადაჭრისას; ასე მაგ.;  
მოსახლეობა მოითხოვს სოციალური პროგრამის დანიშვნის წესის  
გადახედვას და გარკვეული ცვლილებების შეტანას, რათა ის  
სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებლად არ იქცეს.  
სოფლის საჭიროებების გადაწყვეტისას მეტი უფლება უნდა  
ჰქონდეს მუნიციპალიტეტის/სოფლის თვითმმართველობებს.

ეთნოგრაფიული მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ სოფლის  
მოსახლეობის გაღარიბების და, აქედან გამომდინარე, სოციალური  
შემწეობის დანიშვნის საჭიროება დაკავშირებულია გასული  
საუკუნის 90-იან და 2000-იან წლებში რაიონების (დღევანდელი  
მუნიციპალიტეტების) ფარგლებში არსებული წარმოება-დაწესე-  
ბების განადგურება/დახურვასთან, სადაც სოფლად მცხოვრები  
ოჯახის წევრები მუშაობდნენ და დამატებითი ფულადი შემო-

სავალი ჰქონდათ. კარგი იქნება ადგილობრივ საჭიროებებთან მორგებული და უახლესი წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე რეგიონული მასშტაბის საწარმოების ამუშავება, რაც დასაქმების და მიგრაციის პრობლემებს ნაწილობრივ მაინც გადაჭრიდა.

ვფიქრობთ, საჭიროა „მთის კანონის“ კიდევ უფრო მეტად დახვეწა და მორგება ადგილობრივ საჭიროებებთან. გასათვალისწინებელია, რომ სტატუსის მინიჭების დროს, თუ სოფლის მდებარეობა ყველა სხვა პარამეტრს აკმაყოფილებს და რეალურად გვინდა მთიანი რეგიონების მძიმე დემოგრაფიული ფონის გამოსწორება, „ბავშვების სიმრავლე“ დამატებითი მოტივიც კი უნდა იყოს. სოფლის მიტოვება ადვილია, მისი ხელახლა დასახლებაა ძნელი.

სტატიაში მოტანილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი და დასკვნები შეიძლება გამოვიყენოთ თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა აქტუალური პრობლემების გადაჭრისას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ბურდული, 2014; 2015; 2018; 2019 წლების სამცხე-ჯავახეთის სავლე ეთნოგრაფიული მასალის დღიურები (ინახება ავტორთან).

გიქოშვილი, 2015: გიქოშვილი რ., მესხური ვაზი და ღვინო, თბ., 2015.

დაუშვილი, 2020: დაუშვილი ა., კოლმეურნეობა საქართველოში, წიგნი I, თბ., 2020;

დაუშვილი, 2018: ბურდული მ., დაუშვილი ა., ჯალაბაძე მ., მღებრიშვილი ლ., ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 2018.

მაკალათია, 1938: მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომი, თბ., 1938;

სონლულაშვილი, 1995: სონლულაშვილი ა., სოფელი დილომი, საუკუნეთა კვლდაკვალ, თბ., 1959.

ფრუიძე, 2014: ფრუიძე ლ., საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია, წიგნი პირველი, შესავალი - ძველი სამყარო, თბ., 2014.

ქანთარია, 2001: ქანთარია მ., ქართული სოფლის ყოფითი რეალობა, ისტორიის ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 2001.

ქუქჩიშვილი, 1997: ქუქჩიშვილი ზ., სოფელი ხიზაბავრა, თბ., 1997.

ჩიტაია, 1997: ჩიტაია გ., ეთნოგრაფიული მასალები ტერასული მიწათმოქმედებისათვის ჯავახეთში, „შრომები“ ტ. I. თბ., 1997.

ჯვარიძე, 1990: ჯვარიძე გ., მემინდვრეობა ჭობარეთში, კრებ. ძველი და ახალი ჭობარეთი, რედაქტორი გ. ჯალაბაძე, თბ., 1990.

ჯიბუტი, 2014: ჯიბუტი ა., საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები, თბ., 2014.

*თინა იველაშვილი*  
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*  
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*  
*საქართველო, ახალციხე*

## **მესხური საოჯახო ნივთი ფეშხუმი**

### *მოკლე შინაარსი*

ქართული პურობისათვის განკუთვნილი იყო საგანგებო მრგვალი ფორმის სატრაპეზო მაგიდები სათანადო აღჭურვილობებით, რომელთა სახელწოდებებიც წერილობით წყაროებში ნაირგვარი ტერმინოლოგიითა ცნობილი (ფეშხუმი, ტაბლა, ტრაპეზი, ტაბაკი, ლანკანი, ხონჩა, სუფრა და ა. შ.). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში (შავშეთი, სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ტაო, კლარჯეთი) საუზმის, სადილისა თუ ვახშამის სუფრა ფეხდაბალ ტაბლაზე იშლებოდა, რომელსაც მოსახლეობა დღემდე ფეშხუმის სახელით მოიხსენიებს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ საეკლესიო ინვენტარებში იმავე სახელწოდებით მოიხსენიებენ ძვირფასი ლითონის სადგარიან პატარა ლანგარს, რომელზედაც ლიტურგიის დროს სეფისკვერებს კვეთენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი მნათობთა თაყვანისცემის სიმბოლურ გააზრებას უკავშირდება. ფეშხუმის მრგვალი ფორმა შეიძლება პურობის ხასიათით იყოს შეპირობებული, რომლის უშუალო დანიშნულებაა თანამესუფრეთა შორის ისეთი ლოკალური წრე შეიქმნას, რომელიც მათ ერთმანეთთან დაახლოებს.

**საკვანძო სიტყვები:** პურობა, ფეშხუმი, ტაბლა, ცარგვალი, სიმბოლო.

*Tina Ivelashvili*

*Doctor of History, Professor, Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltzikhe, Georgia*

## MESKHETIAN HOUSEHELD ITEM PESHKHUMI

### *Abstract*

In most region of Georgia (Samtskhe-Javakheti, Tao-Klarjeti, Shavsheti, Kola-Artaani, Adjara) the family breakfast, lunch and supper were served in ordinary round table, which is called now days like Peshkhumi. It was made by one wooden peace, rarely it was made from one board which had two cross formed legs with 30 cm high. The name Peshkhumi is used in the Christian churches valuable metal round dish having ritual meaning. In Georgian “Peshkhumi \_ low round plate used during servicing together with cruet. On the Peshkhumi the sacrifice holy bread is situated. Peshkhumi symbolize the place where saint Maria invited the Christ after giving him a birth and also symbolize the cemetery of the Christ”. According scientific view, round ritual plate called Peshkhumi connected to the astral being worship (The Sun and The Moon) period. As we think the round form of the sacral plate is connected to the character of the having bread together, it was symbolizing the local circle between parties which means the close relation and equality. It is still un known how the origin is the Peshkumi comes, from household item or vice versa.

**Key Words:** the Peshkumi, round table, breakfast, lunch.

**მსჯელობა.** საქართველოში სხვადასხვა მოყვანილობის ტრადიციული სუფრების ნაირგვარობა დასტურდება. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე სამცხე-ჯავახეთში ძირითად საცხოვრებელ კომპლექსს მიწურბანიანი ოდა და დარბაზი წარმოადგენდა. საძინებელი ტახტი ე.წ. საქვე ძირითადად ხის სქელი (დაახლოებით 5-8 სანტიმეტრის) გრძელი ფიცრებისაგან ძირითადად ოდაში იყო მოწყობილი. საქვე ბუხრის მარცხენა და მარჯვენა მხარეს კედლების გასწვრივ სიგრძივ იყო გამართული შემოსასვლელამდე. მასზე სადამოთი დასაძინებლად ერთდროულად ორი-სამი ხელი ლოგინი იშლებოდა (გააჩნდა ოჯახის წევრთა რაოდენობას). დღისით საქვე სკამის მაგივრობას

ეწეოდა. საუზმის, სადილისა თუ ვახშმის სუფრა მასზე დადგმულ ფეშხუმზე იშლებოდა, ირგვლივ შემოუსხდებოდნენ. მის გარშემო ერთდროულად შვიდი-რვა ადამიანი ჯდებოდა. მოკლედ, ფეშხუმი დღევანდელი მაგიდის ყველა ფუნქციას ასრულებდა.



### ფეშხუმი

რაც შეეხება დღევანდელ მაგიდასა და სკამებს, ეს საოჯახო ინვენტარი 60-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს, როდესაც თანამედროვე საცხოვრებელი ბინების მშენებლობა მასიურად დაიწყო (მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ოჯახში იშვიათად, მაგრამ დროდადრო კვლავ იყენებენ ფეშხუმს, მაგრამ არა როგორც სასადილო მაგიდას).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში (შავშეთი, სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ტაო, კლარჯეთი) საუზმის, სადილისა თუ ვახშმის სუფრა ამ ფეხდაბალ ტაბლაზე იშლებოდა, რომელსაც მოსახლეობა დღემდე ფეშხუმის სახელით მოიხსენიებს. თ. სახოკია მთიან აჭარაზე საუბრისას აღნიშნავს: „აქვეა დარჩენილი ძველი, საღმრთო სიტყვა, რომელიც საქართველოში სხვაგან არ იხმარება, ანდა ჩვენ მაინც არ გაგვიგონია. ეს გახლავთ საეკლესიო ნივთის ფეშხუმის სახელით გაკეთებული ხის ჭურჭელი, რომელიც სუფრის ალაგას იხმარება და სახელიც ფეშხუმი ჰქვია - მრგვალია, როგორც ფეშხუმი და იმასავით მრგვალი ფეხი აქვს შუაზე, დიამეტრი ზოგს ორიდან სამ მეტრამდე აქვს“ (სახოკია, 1985: 150)“. ფეშხუმის სწორედ ეს სახეობაა შემონახული ტაოში. ტაბლის ამ

ერთ კონკრეტულ ნაირსახეობას, რომელსაც ჯვრის ფორმის სადგამი ამკობს, მოსახლეობა დღესაც ფეშხუმს უწოდებს.

ქართული ენის განმარტებითი სიტყვარებიდან მხოლოდ ჯავახურ ლექსიკონებში გვხვდება ეს სიტყვა განმარტებული როგორც საოჯახო სამხარეულოს შემადგენელი ნივთი. „ფეშხუნი (//ფეშხუმი, ფეშხუნი//ფეხშუმი), დაბალფეხიანი მაგიდა, მრგვალი ფორმის, მეტწილად“ (ბერიძე, 1981: 129).

„ფეშხუმი, ფეშხუნი, ფეხშუნი, ფეხშუმი დაბალი მრგვალი მაგიდა. ფეხებად (სადგამად) ჯვარედინად დაკრული ფიცრები აქვს, ტახტზე იდგმება და გარს შემომსხდარნი მასზე პურობენ“ (ზედგინიძე, 2014: 229). ასეთი ტიპის მრგვალი მაგიდა საქართველოში ყველგან იყო გავრცელებული. მთხრობელთა მითითებით „მას ძირითადად ფიცრებისაგან კრავდნენ, ზოგი კარგი ხელოსანი ერთი მთლიანი ხისგანაც გამოთლიდა, თუ საჭირო მასალა ექნებოდა.“

ივ. ჯავახიშვილის ცნობით, „ქართული პურობისათვის განკუთვნილი იყო საგანგებო სატრაპეზო მაგიდეები სათანადო აღჭურვილობებით, რომელთა სახელწოდებებიც წერილობით წყაროებში ნაირგვარი ტერმინოლოგიური ერთეულითაა ცნობილი: ფეშხუმი, ტაბლა, ტრაპეზი, ტაბაკი, ლანკანი, ხონჩა, სუფრა და ა.შ. საინტერესოა ის, რომ ამ ნაირგვარი სატრაპეზო მაგიდების რიცხვში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დაბალ სამფეხა, ძირითადად, წრიული ფორმის მაგიდეებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი მნათობთა თაყვანისცემის სიმბოლურ გააზრებას უკავშირდება. ფეშხუმის მრგვალი ფორმა შეიძლება პურობის ხასიათით იყოს შეპირობებული, რომლის უშუალო დანიშნულებაც თანამოსუფრეთა შორის ისეთი ლოკალური წრე შეიქმნეს, რომელიც მათ ერთმანეთთან დაახლოებს. ხალხური შეხედულებით, სივრცით განზომილებაში ეს წრე არ უნდა დაირღვეს“ (ჯავახიშვილი, 1982: 31-34).

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში ფეშხუმისაგან განსხვავებით ცოტა სხვაგვარი დატვირთვა გააჩნდა ტაბაკს. ქართულ სიტყვარებში ტაბაკი განმარტებულია როგორც „ხის მრგვალი (წრიული) ფორმის“ სუფრა.

ფეშხუმის სახელწოდებით მართლმადიდებლურ ეკლესიებში ერთ-ერთი აუცილებელი საეკლესიო ძვირფასი ლითონისაგან (ოქრო ან ვერცხლი) დამზადებული მრგვალი დაბალ ფეხიანი თეფში იყო და დღესაც არის, რომელზედაც გარკვეული რიტუალი ტარდება. იგი სხვადასხვა საეკლესიო სიტყვარებში შემდეგნაირადაა განმარტებული: „**ფეშხუმი** – დაბალფეხიანი თეფში, რომელიც იხმარება ღვთისმსახურების დროს ბარძიმთან ერთად. ფეშხუმზე აწყობენ ტარიგს – ნაკვეთ სეფისკვერს. ფეშხუმი სიმბოლურად აღნიშნავს ბაგას, სადაც ღვთისმშობელმა მაცხოვარი მიაწვინა შობის შემდეგ და მაცხოვრის საფლავს. აღნიშნული სარიტუალო ჭურჭელი ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში საკმაოდ ადრეული ხანიდან (დაახლოებით მეექვსე საუკუნიდან მაინც) ჩნდება. ამას გვაფიქრებინებს არსებული წერილობითი წყაროები.



### საეკლესიო ოქროს ფეშხუმი

ასე მაგალითად: როდესაც „ფარსმან მეფემ ღირს მამას ჰკითხა, თუ რა სჭირდებოდა უდის აბანოსთვის, წმიდა შიომ უპასუხა: „უფალო მეფე! გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღვთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს, ჰყავ“. მეფემ უდაბნოში ეკლესიის ასაშენებლად დიდძალი საფასე, ოთხი დაბა, ბარძიმ-ფეშხუმი, ოქროს ჯვარი და მშვენივრად შემკობილი მეფე ვახტანგ გორგასლისეული სახარება შესწირა.

**ზოსიმე კუმურდოელის** წარწერა ტაძრის სამხრეთ ფასადზე: „სახელითა ღმრთისაჲთა მე, ზოსიმე კუმურდოელმან შევმოსე საკურთხეველი, ბარძიმ-ფეშხუმი, ჯუარი და შევამკე



ხატი ღმრთაებისად ჳელითა დავითისაჲთა. დაუდევ სალოცველად ბვზობისა კირიელისონითა; დეკანოზი შეუსუენებდეს წმიდასა სამებობისა შესუენებითა. კრულია ამით ხატითა, ვინ შეუცვალოს“ (ქსე, ტ. 6, 1983: 71).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა, კანონი 6: **სამღვდელო ჳურჳლის და ღმრთისადმი შეწირულ სიწმინდეთა შესახებ, როგორცაა ბარძიმ-ფეშუმე, სამწერობელი, ყოველივე ეკლესიისთვის შეწირული და ერთხელ ღმრთისათვის მიცემული ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, მინა, სტავრა, სირმით ნაქსოვი, სპილენძი, რკინა, ხე, თიხა, ქვა, - ვადგენთ წმინდა კანონთა მიხედვით, რომ არავის მიეცეს მათი ხმარების უფლება, ტყვეთა გამოსახსნელადაც კი, გინდ უქმად და უხმარად ეწყოს და ფებით სათელად ეყაროს ეკლესიის საგანძურში. ხოლო თუ ვინმე გაბედავს მათ ხმარებას ეკლესიის გარეთ, გარდა იმ საჭიროებისა, რისთვისაც ეს ნივთები დაწესებულია და რა სახითაც ეკლესიის სამსახურებლად ან საკურთხევლისთვის შექმნილია, მას მოელოდეს ამქვეყნად ბაბილონელთა მეფის ბალტაზარისა და ანანიას და საფირას სასჯელი, ხოლო იმ ქვეყნად საუკუნო ცეცხლი, გამზადებული ეშმაკებისა და მათი ანგელოზებისთვის“ [დიდი სჯულის კანონი, 1975: 443].**

**შემოქმედის მონასტერი** ერთ-ერთი უძლიდრესი იყო, სადაც დავანებული იყო უნიკალური ხატები და უძვირფასესი საეკლესიო ნივთები. „ვახტანგ გურიელის მეუღლემ თამარ ათაბაგმა ეკლესიას შესწირა **ღვთისმშობლის ხატი**. ვახტანგი და მისი მეუღლე იხსენიებიან ზარზმის ტაძრის წარწერაში (1572 წ.). ასევე საინტერესოა ვერცხლის ხატი, რომლის მინაწერში მოხსენიებულნი არიან **მამია II გურიელი** და მისი მეუღლე თინათინი, ასევე ოქრომჭედელი ივანე წიქარიძე. წარწერა 1601 წლისაა. ასევე მონასტერში შენახული იყო სოფელ გოგიეთიდან გადმოსვენებული წმინდა დემეტრეს მოოქროვილი ვერცხლის ხატი, წმინდა გიორგის ხატი ამაღლებიდან, წმინდა გიორგის ოქროს ხატი. საეკლესიო ინვენტარიდან აღსანიშნავია ნიკოლოზ შემოქმედელის განახლებული ოქროს ბარძიმი 46 ძვირფასი ქვით, **ოქროს ფეშუმე**, ოქროს მასიური დაფარნა. ეკლესიაში ინახებოდა ღვთისმშობლის ხატის მოოქროვილი კუბო, რომელიც ვინმე გიორგი კავკასიძეს მოუქმედინებია.

XVI-XVII საუკუნეში შემოქმედში თავი მოიყარა მესხეთის ზარზმის უძვირფასესმა ნივთებმა. მათ შორის იყო ქართულ ხატებს შორის უძველესი, 886 წლით დათარიღებული **ფერისცვალების ხატი**. ზარზმიდან გადმოსვენებული მეორე ხატი იყო ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ხატი – XI საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის შედეგია; ასევე 1008 წლის ვერცხლის ფირფიტა, თამარ ხურციძის შეწირული ღვთისმშობლის ოქროს ხატი 87 ძვირფასი თვლით, გაბრიელ ხურციძის შეწირული ვერცხლის ჯვარი, მაცხოვრის ფერისცვალების ოქროს ხატი, ვერცხლის ბარძიმი **ორი ფეშხუმით**. სამცხე-საათაბაგოს სხვა ეკლესიებიდან შემოქმედში გადმოუსვენებიათ მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი, ღვთისმშობლის ოქროს ხატი 32 ძვირფასი თვლით, მღვდელმთავრის კვერთხი 117 ძვირფასი ქვით, ღვთისმშობლის მოოქროვილი ვერცხლის ხატი, რომელიც ქაიხოსრო გურიელს 700 მარჩილად შეუძენია და სამცხიდან გურიაში გადაუსვენებია (თაყაიშვილი, 1907: 37-41).

მკვლევართა გარკვეული ნაწილის შენიშვნით, წარმართული სარწმუნოების სიმბოლოები სიცოცხლის ხე და ჯვარი, ქრისტიანულ სარწმუნოებას თავისი მოძღვრების გადმოსაცემად წარმართული რელიგიიდან უსესხია, რის შედეგადაც ხე და ჯვარი, ფეშხუმი მოგვევლინნენ ადრექრისტიანულ სიმბოლოებად.

საერთოდ, „საქართველოში სხვადასხვა მოყვანილობის ტრადიციული სუფრების არსებობა დასტურდება. ტაბლა-ტაბაკის სახელით დამკვიდრებული მრგვალი სუფრა ავეჯის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთიანეთში ტაბლა მიცვალებულის „სულის მოსახსიენებელის“ საკურთხსაც ეწოდება. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ტაბლა ძველი რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე შექმნილი გარკვეული მოყვანილობის (უმეტესად მრგვალი) დგამი იყო, რომელზეც მიცვალებულის „სულის მოსაგებებელ“ სანოვაგეს - „საკურთხ ტაბლას“ ალაგებდნენ. საკურთხისა და ამავე სახელით ტაბლის მოხსენიებას გარკვეული აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა. შესაძლებელია ტაბლების მრგვალი მოყვანილობა ციურ მნათობთა შესახებ არსებულ რელიგიურ წარმოდგენებთან იყოს დაკავშირებული, ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს,

რომ ტაბლათა ფორმა - სიმრგვალე უმველესი რწმენა-წარმოდ-გენებიდან იღებს სათავეს და, რომ სუფრად ხმარებული ტაბლის ფორმაც ასტრალურ მსოფლმხედველობასთან უნდა იყოს დაკავშირებული (ქართველები, 2018: 338).



### ტაბლა

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ტაბლა არის „ფიცრის სუფრა ფეხადი“ (ს.-ს. ორბელიანი, 1948: 132) „სინის მსგავსი ხის ჭურჭელი სანოვავის დასაწყობად. ახალი წლის წინა საღამოს ტაბლას გავაწყობდით. ახალი წელი რომ გათენდებოდა, ოჯახის მეკვლე სანოვავით გაწყობილი ტაბლით ხელში გავიდოდა გარეთ. სახლს შემოუვლიდა და მერე ერდოდან ბედის ქადას ჩამოაგდებდა სახლში. მექორწილეები რომ შემოვიდოდა სოფელში, მოკეთე ვინც იყო, თავის კარზე ტაბლას გადააგებებდა“ (ზედგინიძე, 2014: 261-262). ტაბლა ოჯახის ახალგაზრდა ქალს ეჭირა ხელში, რომელზედაც ხილი, ტკბილეული და სასმელი იყო. მექორწილეები შეჩერდებოდნენ, ქორწილის მამა მასპინძლის მიერ მიწოდებულ სასმისს, სავსე ჭიქას აიღებდა, ოჯახს დალოცავდა, სასმელს დალევდა, ტაბლიდან აღებულ ლუკმას დააყოლებდა და მექორწილეები გზას გააგრძელებდნენ. მოგვიანებით ჭურჭელი და რიტუალიც იგივე დარჩა, მხოლოდ ტერმინი ტაბლა სუფრამ ჩაანაცვლა.

რაც შეეხება ტაბაკს, გ. ბერიძის მითითებით, „ტაბაკი (არაბ.) მთლიანი ხისგან ჩარხით ან ხელით გამოთლილი მრგვალი და ბრტყელი ჭურჭელი სინის მსგავსი. პურსა და საჭმელს აწყობენ, მისართმევი ჭურჭელია.“ ამ დანიშნულებით

ტაბაკი უკვე მეთორმეტე საუკუნიდან იხსენიება. „ვეფხისტყაოსანში“ არაერთგან არის ნახსენები: „კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი, მძლედ საჭერავი ხელისა. ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა. იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა მსხვილითა“ (რუსთაველი, 1986: 261-262). ხოლო „ტაბლა საწესო სუფრა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად. სუფრას გააწყობდნენ, ზედ დაალაგებდნენ პურებსა და ნაზუქებს, სხვადასხვა ხილეულს, საჭმელს, ტანისამოსს და სხვა. მღვდელი აკურთხებდა“ (ბერიძე, 1981: 121).

როგორც ვხედავთ, დანიშნულების მიხედვით აქ მოტანილ სახელწოდებებს (ფეშხუმი, ტაბლა, ტაბაკი) შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ფეშხუმს ტერმინი მაგიდა-სუფრა ჩაენაცვლა, ხოლო ტაბლა-ტაბაკი ტერმინოლოგიურად და დანიშნულებითაც დღემდე უცვლელადაა შემონახული.

**დასკვნა.** წრიული ფორმის საოჯახო და სარიტუალო ჭურჭელი ფეშხუმის სახელწოდებით, საერთოდ, მნათობთა (მზის და მთვარის) თაყვანისცემის საკრალურ წარმოდგენებს უკავშირდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საოჯახო სატრაპეზო და სარიტუალო ფეშხუმის წრიული ფორმა, უპირველეს ყოვლისა, თვით ტრაპეზის ხასიათით უნდა იყოს განპირობებული. კერძოდ, თანამესუფრეთა შორის ისეთი ლოკალური წრის შექმნა, რომელიც სივრცით განზომილებაში მათ ერთმანეთთან დაახლოებას და თანასწორობას განაპირობებდა.

ფეშხუმ მაგიდების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ისინი წრიული ფორმისანი არიან, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მნათობთა (მზის და მთვარის) თაყვანისცემის საკრალურ წარმოდგენებს უკავშირდება (ბარდაველიძე, 1953: 9). „მაგიდების წრიული ფორმა უპირველეს ყოვლისა თვით ტრაპეზის ხასიათით უნდა იყოს განპირობებული. მისი უშუალო პრაქტიკული დანიშნულებაა შეიქმნას თანამესუფრეთა შორის ისეთი ლოკალური წრე, რომელიც მათ ერთმანეთთან დაახლოებს და რომელიც, ხალხური რწმენა-წარმოდგენების თანახმად სივრცით განზომილებაში არ უნდა დაირღვეს“ (გოცირიძე, 2007: 281).

ჯერჯერობით ვერ ხერხდება დადგენა იმისა, ღვთისმსახურებაში ფემხუმის სახელწოდებით ფეხდაბალი ტაბლა საყოფაცხოვრებო რიტუალიდან გადავიდა საღვთისმსახურო რიტუალში თუ, პირიქით, ღვთისმსახურებიდან საოჯახო ტრადიციებში. თუ ვაღიარებთ იმ ფაქტს, რომ ქრისტიანობამდე საოჯახო ტრაპეზი და მისი ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი ფემხუმის სახელწოდებით, თავისი წრიული ფორმით მნათობთა (მზის და მთვარის) თაყვანისცემის საკრალურ წარმოდგენებს უკავშირდება, ადვილი შესაძლებელია ეს სატრაპეზო ჭურჭელი თავისი სახელწოდებით ქრისტიანობაში ქართველი ხალხის საოჯახო ყოფიდან იყოს შესული. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ წარმართული რელიგიის ქრისტიანულ სააზროვნო სისტემაში კონსტრუირება, ძირითადად, განპირობებულია მდიდარი და მრავალმხრივ განვითარებული ქართული წარმართული კულტურით, რომლის ტრადიციებსაც დაეშენა ქრისტიანობა. როგორც ჩანს, ქრისტიანობამ წარმართული რელიგიიდან ისესხა მისთვის საჭირო, მნიშვნელოვანი მოტივები, რომლებიც ქრისტიანულად გადაიაზრა და საჭირო ინტერპრეტაცია მისცა. ისტორიაში ამგვარი ქმედების არაერთი ფაქტი არსებობს.

### **ლიტერატურა:**

აბულაძე, 1973: ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ბერიძე, 1981: გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.

გოცირიძე, 2007: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულ-ტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007.

დიდი სჯულის კანონი, 1975: დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975.

ზედგინიძე, 2014: გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბ., 2014.

თაყაიშვილი, 1907: ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, ტფილისი, 1907.

შოთა რუსთაველი, 1985: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1985.

სახოკია, 1950: თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950.  
სულხან-საბა ორბელიანი, 1966: სულხან-საბა ორბელიანი,  
ლექსიკონი ქართული თბ., 1966.  
ქართველები, 2018: ქართველები, თბ., 2018.  
ქსე, 1983: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ.,  
1983.  
ქსე, 1986: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ.,  
1986.  
ქსე, 1983: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ.,  
1983.  
ჯავახიშვილი, 1979: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 1,  
თბ., 1979.

**ფოტოების წყარო:**

<http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/tsaukithkheth-patarebs/6141-es-unda-vicodeth.html>

<https://wordwall.net/resource/32666298/match-each-word-to-the-picture>

*მარეხ ნათენაძე*

*პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

*თეიმურაზ გვარამაძე*

*სოფლის მეურნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო, ახალციხე*

**სასკოლო განათლებაში მიმდინარე ზოგიერთი  
ცვლილების შესახებ**

*მოკლე შინაარსი*

ჯერ კიდევ მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ეტაპზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფართოდ გავრცელდა პროექტებით სწავლება, რამაც შესამჩნევად გაზარდა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა; ხელი შეუწყო მათში მაღალი სააზროვნო უნარების (ანალიზი, შეფასება, სინთეზი) განვითარებას და ოცდამეერთე საუკუნის ადამიანისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორცაა: 1) სწავლისა და გამომგონებლობის, 2) საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური და 3) სასიცოცხლო და კარიერული უნარები.

ამავე პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის სკოლებთან თანა-მშრომლობის დროს, ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სკოლების მოსწავლეები სათანადოდ არ ფლობდნენ ინფორმაციას რეგიონის საკითხებზე, მაგალითად, საბაზო საფეხურის მოსწავლეები არ ფლობდნენ საკითხს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შესახებ მაშინ, როდესაც, იმ ხანად, მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით, დაცული ტერიტორიების საკითხი ისწავლებოდა მეექვსე კლასის ბუნებისმეტყველების საგანში. ამდენად, გადავწყვიტეთ მეექვსე კლასის მოსწავლეებთან სასწავლო პროექტის განხორციელება ბუნებისმეტყველების საგანში

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების თემაზე, კონკრეტულად, ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებების საკითხებზე.

პროექტის განხორციელება განაპირობა ასევე მოსწავლეთა სურვილმა - უკეთესად შეესწავლათ სამცხე-ჯავახეთის მხარეში დაცული ტერიტორიები. გავითვალისწინეთ ასევე ის გარემოება, რომ საკითხი ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შესახებ სახელმძღვანელოებში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი და განხილული.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სასწავლო პროექტი დაუკავშირდა რეალურ ცხოვრებას. შეფასების ეტაპზე, პროექტი დადებითად შეფასდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიერ და მათი მხრიდან გამოითქვა სურვილი მომავალშიც ამ სახის აქტივობების განხორციელების თაობაზე.

მომდევნო, 2018-2019 სასწავლო წელს, როდესაც უკვე სკოლის დაწყებით საფეხურზე ამოქმედდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024), გადავწყვიტეთ დაცული ტერიტორიების საკითხებზე სასწავლო აქტივობების განხორციელება კვლავ მეექვსეკლასელებთან; სასწავლო აქტივობები შევარჩიეთ ბუნებისმეტყველების წლიური პროგრამის მიხედვით. პროგრამის შინაარსისა და სარეკომენდაციო აქტივობების გათვალისწინებით განვსაზღვრეთ მიმართულებები და მისაღწევი შედეგები. მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილ კომპლექსურ დავალებს; დაწერეს ესეები, მოამზადეს პროექტი, შეეცადნენ სავლეთი სახელის სამუშაოს ანგარიშის მომზადებას და სხვ.

შემაჯამებელ შეხვედრაზე მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლეთა მშობლებმა გააანალიზეს შესრულებული სამუშაოები და გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასეს. მშობლებმა მოიწონეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებისადმი შემოქმედებითი მიდგომა ყველა მოსწავლეს აძლევს სამუშაოს შესრულების საშუალებას.

შეჯამების ეტაპზე ასევე აღინიშნა, რომ გასულ სასწავლო წლებთან შედარებით, პროექტებით სწავლების პროცესში, თუ პროექტებზე მუშაობა იწყებოდა თეორიული ნაწილის შესწავლის



შემდეგ, სასკოლო განათლებაში მიმდინარე ცვლილებების ეტაპზე, ამ შემთხვევაში, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად კომპლექსური დავალებების შესრულებისას სწავლების დასაწყისშივე იწყება მუშაობა, მაგალითად, პროექტის შესრულება და მოსწავლეები სასწავლო ერთეულის თემატიკას კონკრეტულ პროექტთან სწავლის პროცესშივე აკავშირებენ.

ამ სახით მუშაობა მოსწავლეებს სწავლისადმი პოზიტიურად განაწყობს, ზრდის საკითხით მათ დაინტერესებას და ამზადებს ცხოვრებისთვის. გარდა ამისა, მოსწავლეთა მშობლებმა სასწავლო პროცესში სწორად გააცნობიერეს საკუთარი როლი და ამ პროცესში აქტიურად ჩართვის სურვილი გამოთქვეს.

**საკვანძო სიტყვები:** სასწავლო პროექტი, ჯავახეთის და-ცული ტერიტორიები, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, კომპლექსური დავალება.

***Marekh Natenadze***

*Doctor of Pedagogy, Associate Professor,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltikhe, Georgia*

***Teimuraz Gvaramadze***

*Doctor of Agriculture, Associate Professor,  
Samtskhe-Javakheti State University,  
Akhaltikhe, Georgia*

## **SOME OF THE CURRENT CHANGES IN THE SCHOOL EDUCATION**

### ***Abstract***

Still in the process the implementation the second generation of the national curriculum, project-based learning is widespread in secondary schools, which significantly increased the involvement of students in the learning process, contributed to the development of their high thinking skills (analysis, evaluation, synthesis) and the development of the twenty-first century skills such as: 1) Learning and invention, 2) Information, media and technology and 3) Life and career skills. At the same time, in

cooperation with Samtskhe-Javakheti schools, it turned out to us that students of the mentioned schools, did not have proper information on regional issues, for example, students basic level of schools did not properly master the issue of Javakheti Protected Areas, at that time, according to the second generation of the national curriculum, the issue of protected areas was taught in a sixth grade science subject. We decided to implement educational project with the students of sixth grade at the subject science on the topic: Javakheti Protected Areas, specifically, at the issues of conservation measures for the flora and fauna of Javakheti. The implementation of the project was also driven by the desire of students to study better protected areas in the Samtskhe-Javakheti region; We also took into account the fact that theme about Javakheti Protected Areas in textbooks was not fully presented and discussed. Importantly, the educational project was related to the real life. At the stage evaluation, the project was positively assessed by teachers, students and their parents and they expressed a desire to hold similar events in the future. Next, in the 2018-2019 academic year, when the third generation of the national curriculum (2018-2024) was launched at the primary school level, we decided to carry out study activities on protected area issues again with sixth graders. Learning activities were selected according to the annual program of the nature study. Considering the content of the program and the recommended activities defined directions and achievable results. The students happily completed the complex assignments developed in accordance with the third generation of the national curriculum. They wrote essays, compiled projects, attempted to plan outschool activities. At the summary meeting students, teachers and parents of students analyzed completed work and assessed it positively. The parents liked the process of working on the complex assignments and they noted that a creative approach to a complex assignment allows all students to do work. At the summarizing stage it was also mentioned that previous academic years, in the process of the educational projects began after learning the theoretical part, at the stage of the current changes at the school education, in this case, according to the third generation of . the national curriculum when performing the complex assignments of the work begins at the beginning of the learning, for example, the execution of a project and the students associate the topic of the unit with a specific project in the learning process. Such work motivates students to learn, increases their interest in the subject and prepares them for life. In addition, the parents of the students

realized their role in the educational process and expressed a desire to actively participate in this process. Key Words: An educational project, Javakheti Protected Areas, third generation of the national curriculum, the complex assignments.

**შესავალი.** ჯერ კიდევ მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ეტაპზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფართოდ გავრცელდა პროექტებით სწავლება, რამაც შესამჩნევად გაზარდა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა; ხელი შეუწყო მათში მაღალი სააზროვნო უნარების (ანალიზი, შეფასება, სინთეზი) განვითარებას და ოცდამეერთე საუკუნის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორცაა: 1) სწავლისა და გამომგონებლობის, 2) საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური და 3) სასიცოცხლო და კარიერული უნარები.

ამავე პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის სკოლებთან თანამშრომლობის დროს, ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სკოლების მოსწავლეები სათანადოდ არ ფლობდნენ ინფორმაციას რეგიონის საკითხებზე, მაგალითად, საბაზო საფეხურის მოსწავლეები არ ფლობდნენ საკითხს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შესახებ მაშინ, როდესაც, იმ ხანად, მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით, დაცული ტერიტორიების საკითხი ისწავლებოდა მეექვსე კლასის ბუნებისმეტყველების საგანში. ამდენად, გადაწყვიტეთ მეექვსე კლასის მოსწავლეებთან სასწავლო პროექტის განხორციელება.

პროექტის ბუნებისმეტყველების საგანში ჯავახეთის დაცული ტერიტორიების თემაზე, კონკრეტულად, ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებების საკითხებზე. პროექტის განხორციელება განაპირობა ასევე მოსწავლეთა სურვილმა - უკეთესად შეესწავლათ სამცხე-ჯავახეთის მხარეში დაცული ტერიტორიები. გავითვალისწინეთ ასევე ის გარემოება, რომ საკითხი ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შესახებ სახელმძღვანელოებში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი და განხილული.

მოსწავლეებთან ერთად დაიგეგმა სასწავლო პროექტი, შესაბამისად, განისაზღვრა პროექტის შინაარსი, საფუძვლები (საგნობრივი სტანდარტები იმ პერიოდში მოქმედი მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პროექტის სასწავლო მიზ-

ნები/სწავლის შედეგები, მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვები), პროექტის მსვლელობის ეტაპები და მის შესაბამისად, შეფასების მეთოდები და სტრატეგიები.

**პროექტის შინაარსი.** ჯავახეთი განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობებით გამოირჩევა, განსაკუთრებით, ნიადაგის მხრივ, სადაც გვხვდება შავმიწაყომრალი ნიადაგები, რომელიც იშვიათია მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული გარემოება დიდ გავლენას ახდენს ჯავახეთის ბიომრავალფეროვნებაზე, თუმცა თანამედროვე ეტაპზე შექმნილი გარემოს დაცვის პრობლემები (თუნდაც შემცირებული მცენარეთა საფარი, ხრიოკადექცული ტერიტორიები და სხვ.) მოითხოვს საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მათთან განხორციელებული სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, გაიაზრეს ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებები, დაამზადეს საინფორმაციო ბუკლეტები, მოაწიეს სამუშაო შეხვედრები ფერმერებთან, მიაწოდეს ინფორმაცია მემცენარეობაში ნიადაგის ანალიზის საფუძველზე კულტურების მიხედვით მინერალური სასუქების სწორი დოზირებისა და ნიადაგში მისი სწორად შეტანის შესახებ, გაავრცელეს საინფორმაციო ბუკლეტები, დააკვირდნენ ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე და გამოუყენებელ ფართობებზე (ასევე სახნავ-სათეს ფართობებზე და საძოვრებზე) მცენარეთა საფარს და მრავალწლიანი ბალახების სიხშირეს, აღრიცხეს და შეადარეს მონაცემები, იმსჯელეს, თუ როგორ შეიძლება გამოუყენებელ ფართობებზე ფლორისა და ფაუნის მომრავლება.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებთან ერთად ჩამოვყალიბეთ მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვები:

- როგორ იცვლება სამყარო?
- როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან ბიოლოგიური მრავალფეროვნების ტიპები?
- არის თუ არა ბიომრავალფეროვნების კლება პრობლემა?
- რა უარყოფით შედეგებს იწვევს ბუნებაში ადამიანის უხეში ჩარევა?
- რა იწვევს ფლორისა და ფაუნის შემცირებას?
- როგორ ხდება მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის აღდგენა და დაცვა?

- რა იწვევს სასმელი წყლების შემცირებას?
- რა იწვევს მაღალმთიან ზონებში მეწყერების წარმოქმნას? განვსაზღვრეთ პროექტის მსვლელობის ეტაპები.

გავააქტიურეთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა. დავადგინეთ, მოსწავლეთა ცოდნის დონე დაცული ტერიტორიების შესახებ, კერძოდ: მოსწავლეებმა იციან მათი შექმნის აუცილებელი/განმაპირობებელი ფაქტორები, შეუძლიათ დაცული ობიექტების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის გამოყენება.

განვსაზღვრეთ სასწავლო პროცედურები, შეფასების მეთოდები და სტრატეგიები.

## 1. მეთოდი

ჩვენ მიერ საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები:

- შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურის, მათ შორის, ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების გაცნობა-ანალიზი;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვება, სწავლასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის შესწავლა დაანალიზი;
- ჩატარდა ლოკალური ხასიათის ემპირიული კვლევა.

2017-2018 სასწავლო წელს, იმხანად მოქმედი მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (**ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016**), განხორციელდა სასწავლო პროექტი ჯავახეთის დაცული ტერიტორიების თემაზე ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებების საკითხებზე.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტი დაუკავშირდა რეალურ ცხოვრებას. პროექტის დასრულების შემდეგ, შეფასების ეტაპზე, პროექტი დადებითად შეფასდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიერ და მათი მხრიდან გამოითქვა სურვილი მომავალშიც ამ სახის აქტივობების განხორციელების თაობაზე.

მომდევნო, 2018-2019 სასწავლო წელს, როდესაც სკოლის დაწყებით საფეხურზე ამოქმედდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024) (**ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024**), გადავწყვიტეთ დაცული ტერიტორიების საკითხებზე სასწავლო აქტივობების განხორციელება კვლავ მეექვსეკლასელებ-

თან; სასწავლო აქტივობები შევარჩიეთ ბუნებისმეტყველების წლიური პროგრამის მიხედვით. პროგრამის შინაარსისა და სარეკომენდაციო აქტივობების გათვალისწინებით განვსაზღვრეთ მიმართულებები და მისაღწევი შედეგები. მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ კომპლექსურ დავალებებს – დაწერეს ესე, მოამზადეს პროექტი, შეეცადნენ სავლე-გასვლითი სამუშაოს ანგარიშის მომზადებას.

პროექტული სწავლების ფარგლებში (2017-2018 სასწავლო წელს) პროექტის თემის შერჩევის ეტაპზე, მოსწავლეთა პროვოცირების მიზნით, მოსწავლეებს ვუჩვენეთ ინტერნეტ-რესურსი - ვიდეოფილმები/ვიდეორგოლები: „ჯავახეთი“ (<http://www.myvideo.ge/v/1152868>) და „სამცხე-ჯავახეთი“ (<http://www.myvideo.ge/v/560980>), ყურადღება გავამახვილეთ ჯავახეთის რელიეფზე, კლიმატზე და მცენარეულ საფარზე; შემდეგ ვაჩვენეთ ვიდეორგოლი „ჯავახეთის დაცული ტერიტორიები“ (<https://www.youtube.com/watch?v=35v9AGuFHJc>); გავაგრძელეთ საუბარი ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის მდგომარეობის შესახებ, რამაც მოსწავლეებში გამოიწვია ინტერესი აღნიშნული საკითხის მიმართ.

მუშაობის პროცესში მოსწავლეების მიერ მომზადდა საინფორმაციო ბროშურები და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, განხილული იქნა დროის მენეჯმენტი, ყურადღება გამახვილდა საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებზე.

პროექტის დასაწყისში მოსწავლეებმა გაიაზრეს, თუ რა იცოდნენ მათ საკითხის შესახებ და რისი შესწავლა უნდოდათ მომავალში. შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენდა კვლევის ეტაპების ჯგუფურად განხილვა და ამ მიმართულებით საკვანძო კითხვების ჩამოყალიბება; სწორედ, პროექტის განმავლობაში, მოსწავლეებს საკვანძო კითხვებზე მოუწიათ პასუხის გაცემა.

შემთხვევითი განაწილების პრინციპით - „გაითვალეთ 1-დან 4-მდე“ კლასი დაიყო მცირე ჯგუფებად; შეიქმნა ოთხი ექვსკაციანი ჯგუფი - შერეული გუნდები განსხვავებული აკადემიური და სოციალური შესაძლებლობების, სქესის, ტექნოლოგიური კომპეტენციის მქონე მოსწავლეებისაგან. თითოეულ ჯგუფში შესაძლებელი იყო წყვილებსა და ტრიადებში მუშაობა; ასევე თითო-

ეულ ჯგუფში არჩეულ იქნა ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ჯგუფის მუშაობაზე.

მუშაობა წარიმართა საკვანძო კითხვების მიხედვით.

- პროექტის ზოგადი კითხვა: როგორ იცვლება სამყარო?

გონებრივი იერიშის გზით მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობით შეძლებისდაგვარად წამოიჭრა ბევრი იდეა. მასწავლებელმა მოისმინა ჯგუფების პასუხები.

შემდეგ დასვა პროექტის თემატური შეკითხვები:

- როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან ბიოლოგიური მრავალფეროვნების ტიპები?

- არის თუ არა ბიომრავალფეროვნების კლება პრობლემა?

თითოეულმა ჯგუფმა მოიპოვა ინფორმაცია ბექდურ და ინტერნეტწყაროებში. ჯგუფების შიგნით მუშაობა გაგრძელდა წყვილებში - ერთმანეთთან გაიცვალა აზრები. შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, მსჯელობა დაეკავშირებინათ მუშაობის დასაწყისში ვიდეორგოლების საშუალებით ნანახ მასალასთან.

პროექტის მსვლელობის მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრები, მოეწყო ჯგუფური მსჯელობა. მოსწავლეებმა გაიაზრეს გარემოს დაცვის პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომის საჭიროება, იმსჯელეს საკითხებზე ინოვაციური ტექნოლოგიების ფართო გამოყენების მიმართულებით. ჯგუფებმა აზრები ერთმანეთთან შეაჯერეს და ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებების საკითხებზე ფერმერებისთვის და ასევე საკითხით დაინტერესებული პირებისთვის დაამზადეს და გაავრცელეს საინფორმაციო ბუკლეტები.

მომდევნო ეტაპზე მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები ფერმერებთან - მოსწავლეთა ოთხივე ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები ფერმერთა ჯგუფებთან; მოსწავლეთა ორი ჯგუფი შეხვდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ფერმერთა ორ ჯგუფს და ორი ჯგუფი - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ორ ჯგუფს (ჯგუფებში მოსწავლეთა მუშაობა განხორციელდა მოსწავლეთა მშობლების მხარდაჭერით). მოსწავლეებმა ფერმერებს მიაწოდეს ინფორმაცია მემცენარეობაში ნიადაგის ანალიზის საფუძველზე კულტურების მიხედვით მინერალური სასუქების სწორი დოზირების შესახებ (აზდოლ, <http://www.lma.gov.ge/Ge/RegionalLaboratories>;

<https://sla.gov.ge/Ge/RegionalLaboratories>).

მომდევნო ეტაპზე, კვლავ მშობლების მხარდაჭერით, მოსწავლეებმა იმუშავეს მცირე ჯგუფებში. შეიქმნა ოთხი ჯგუფი: ორმა ჯგუფმა ახალქალაქის, ორმა – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში იმუშავა; თითოეულ მუნიციპალიტეტში ერთმა ჯგუფმა იმუშავა რელიეფურად დახრილ ფართობზე და მეორემ - ჰორიზონტალურ სწორ ფართობზე. მოსწავლეებმა მცირე ჯგუფებში შეისწავლეს და შეადარეს მცენარეთა საფარი და მათი მოვლა-მოყვანის საკითხები, დააკვირდნენ მცენარეთა საფარს დაცულ ტერიტორიებზე, გამოუყენებელ ფართობებზე, სახნავ-სათეს ფართობებზე და სამოვრებზე.

მოსწავლეები დაცულ ტერიტორიებზე და გამოუყენებელ ფართობებზე დააკვირდნენ მცენარეთა საფარს და მრავალწლიანი ბალახების სიხშირეს, აღრიცხეს და შეადარეს მონაცემები. გააანალიზეს, რომ გამოუყენებელი ფართობებისაგან განსხვავებით, დაცულ ტერიტორიებზე იკრძალება ნადირობა, პირუტყვის შეყვანა.

მოსწავლეებმა დაცულ ტერიტორიებზე და სახნავ-სათეს ფართობებზე დაკვირვების შედეგად გააანალიზეს, რომ დაცული ტერიტორიებისაგან განსხვავებით სახნავ-სათეს ფართობებზე ძირითადად უვლიდნენ და მოჰყავდათ მემცენარეობის პროდუქტების და მეცხოველეობისათვის საკვები კულტურები; დაცულ ტერიტორიებზე და სამოვრებზე დაკვირვების შედეგად გააანალიზეს, რომ სამოვრებზე იზრდება შხამიანი ბალახები (ლენცოფა, აბუდარაკი და სხვ.) და ამიტომ საჭიროა სამოვრების გამოთავისუფლება ამ სახის (შხამიანი) ბალახებისაგან; დაადგინეს, რომ ორსამ წელიწადში ერთხელ მოსახლეობამ უნდა იზრუნოს სამოვრების გასუფთავებაზე.

მოსწავლეებმა მცირე ჯგუფებში მოპოვებული ინფორმაცია დაახარისხეს და მოახდინეს მისი კლასიფიკაცია. ააგეს ცნების რუკა და ვენის დიაგრამები, რაც მათ დაეხმარა ინფორმაციის გაანალიზებასა და მონაცემების დახარისხებაში, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენასა და თვალსაჩინოდ გამოსახვაში.

მოსწავლეებმა ჯგუფებში იმსჯელეს თავიანთი მოპოვებული ინფორმაციის შესახებ. შეადარეს ფართობის თანაბარ მონაკვეთზე დაცულ ტერიტორიებსა და გამოუყენებელ ფართობებს შორის ფლორისა და ფაუნის რაოდენობრიობის შესახებ. იმსჯელეს, თუ როგორ შეიძლება გამოუყენებელ ფართობებზე ფლორისა და



ფაუნის მომრავლება. მათი მსჯელობიდან გაირკვა, რომ გამოუყენებელ ფართობებზე ფლორისა და ფაუნის მომრავლება შესაძლებელი იქნება ხე-მცენარეების დარგვა-გაშენებით და მრავალწლიანი ბალახების თესვით. წინმსწრები განვითარების მქონე მოსწავლეებმა დაადგინეს, რომ ჰორიზონტალურ სწორ ფართობებზე რელიეფურად დახრილი ფართობებისაგან განსხვავებით, არ შეიმჩნევა მეწყერული წარმონაქმნები.

პროექტის მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებმა შეძლეს ეპასუხათ მიმართულების მიმცემ საკვანძო კითხვებზე.

მოსწავლეებმა მცირე ჯგუფებში მოამზადეს პრეზენტაციები, შეაფასეს ჯგუფების ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროექტის განმავლობაში შეფასების რუბრიკებისა და სხვა ფორმების შექმნაში მოსწავლეები თავად მონაწილეობდნენ.

ჩვენი მხრიდან დროულად ტარდებოდა უკუკავშირი და მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებს მყისიერად გაეცემოდა პასუხი. მოსწავლეები აწარმოებდნენ თვითშეფასებას და მონაწილეობდნენ თანატოლთა შეფასებაში.

გარდა იმისა, რომ პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეებმა შეიძინეს ცოდნა და გამოუმუშავდათ უნარები, ჩამოუყალიბდათ ასევე დამოკიდებულებები, რაც დისკუსიის პროცესში გამოხატეს კიდევ. დისკუსიაში ყველა მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული.

პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეებს გაენაწილებინათ:

- როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან ბიოლოგიური მრავალფეროვნების ტიპები?
- როგორ იცვლება ჯავახეთის ფლორა და ფაუნა?
- რატომ არის საჭირო ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებების გატარება?
- როგორ შეიძლება დავიცვათ ჯავახეთის ფლორა და ფაუნა? რა დაცვითი ღონისძიებები ტარდება ან შეიძლება გატარდეს და სხვ.

მოსწავლეებმა ისაუბრეს პროექტის ფარგლებში მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ. მათ ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებების საკითხებთან დაკავშირებით დაადგინეს:

- მორწყვითი სამუშაოების შეუსრულებლობა იწვევს მასიურ ხმობას როგორც ხელოვნურ ტყეებში, ასევე ბუნებრივად გამრავლებულ ხე-მცენარეებში;

- მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგოდ წამლობითი ღონისძიებების ჩატარებლობა იწვევს როგორც მცენარეული საფარის, ასევე კულტურული მცენარეების განადგურებას;

- აკრძალულ პერიოდში ჯერ კიდევ ნადირობენ ფრინველებზე და სხვადასხვა სახის გარეულ ცხოველებზე. აკრძალულ პერიოდს მიეკუთვნება ფრინველებში კვერცხისდების პერიოდში ნადირობა, გადამფრენ ფრინველებზე გვიანი შემოდგომით და გაზაფხულზე ნადირობა; ცხოველებში – შეწყვილებისა და გამრავლების პერიოდში ნადირობა, თევზისჭერა ქვირითობის პერიოდში;

- მინერალური სასუქების შეტანა უნდა მოხდეს ნიადაგის სიღრმეში ჩაკეთებით, რათა აღნიშნული მინერალური სასუქები ზედაპირზე არ მოხვდეს და ფრინველებმა და ცხოველებმა არ გამოიყენონ საკვებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც შინაური, ასევე გარეული ფრინველებისა და ცხოველების მოწამვლა გარდაუვალია;

- როდესაც კარტოფილისა და სხვა კულტურების შხამქიმიკატებით შეწამვლა მიმდინარეობს, მნიშვნელოვანია დაცული იყოს წამლობითი ღონისძიებების პერიოდი და დრო, კერძოდ: ნათესი ფართობები უნდა შეიწამლოს დილით ადრე ან გვიან საღამოს, როდესაც ფუტკრები იმყოფებიან სკებში. ამ გზით წამლობითი ღონისძიებების დროს ფუტკარი შხამქიმიკატებისაგან დაცულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღის განმავლობაში, კერძოდ, შუადღით შეწამულმა ფართობებმა აღნიშნულ საჰაერო სივრცეში შეიძლება გამოიწვიოს ფუტკრისა და ფრინველების მასიური განადგურება. გამონაკლისის სახით - საჭიროების შემთხვევაში, დღის განმავლობაში დასაშვებია წამლობითი ღონისძიების გატარება იმ პირობით, თუ ფერმერი, ვალდებულების ფარგლებში, მეფუტკრეს აცნობებს ჩაკეტოს სკების საფრენები, რადგან წამლობითი ღონისძიების დროს მაღალ ტემპერატურაზე საჰაერო სივრცეში აღნიშნულ ტერიტორიაზე მომწამლავი ნივთიერებები მასიურად იფანტება.

შემაჯამებელ შეხვედრაზე ჯავახეთის ფლორისა და ფაუნის დაცვითი ღონისძიებების საკითხებთან დაკავშირებით, საგნობ-

რივი სტანდარტის შესაბამისად, კერძოდ: მოსწავლეს შეუძლია გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, მოსწავლეებმა ასევე მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე:

- შეიძლება თუ არა ცეცხლის დანთება მწყემსებისთვის დაცულ ტერიტორიებზე იქ, სადაც ძოვება დაშვებულია?

- შესაძლებელია თუ არა დაცული ტერიტორიების ტყეებში შინაური პირუტყვის ძოვება?

- შესაძლებელია თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის პირადი სარგებლობისათვის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მერქნიანი სახეობის მცენარეების ნაყოფების შეგროვება?

- შესაძლებელია თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოყვანის მიზნით დაცულ ტერიტორიებზე ხვნა-თესვა? და სხვ.

დისკუსიის დასრულების შემდეგ შედეგები შეჯამდა. მოსწავლეთა ჯგუფებმა შეავსეს სოკრატული დისკუსიის გვერდი და სადისკუსიო დაფის რუბრიკა.

შემდეგ მოსწავლეები დაუბრუნდნენ ცხრილს „ვიცი – მინდა ვიცოდე – ვისწავლე“, შეავსეს ცხრილის დარჩენილი ნაწილი (რა ისწავლეს).

მოსწავლეებმა შეაჯამეს პროექტის მიმდინარეობის პროცესში შესრულებული აქტივობები, შეაფასეს მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვების მიხედვით რამდენად სწორად გამოიყენეს შინაარსობრივი შეკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია, რამდენად დეტალურად უპასუხეს თემატურ შეკითხვებს, შემოქმედებითად და კრიტიკულად იფიქრეს პროექტის მთავარ შეკითხვაზე.

ჯგუფებში ჩატარდა თანამშრომლობის თვითშეფასება. პროექტის დასრულების შემდეგ განხორციელდა პროექტის შეფასება და გაიმართა მასწავლებლის კონფერენცია (პროექტის გეგმა განთავსებულია მისამართზე:

<https://drive.google.com/drive/folders/1Nwy8pMVfawNzuH2SsBvobO1smqOg47xj>).

მომდევნო სასწავლო წელს იმავე საკითხზე აქტივობები მეექვსეკლასელებთან ჩატარდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) ფარგლებში. მოსწავლეებმა იმუშავეს კომპლექსურ დავალებებზე.

**შედეგები და მსჯელობა.** მუშაობის შედეგად გამოიკვეთა განსხვავება, კერძოდ: მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის

განხორციელების ეტაპზე პროექტული სწავლების დროს, პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა სასწავლო თემის (სასწავლო ერთეულის) დასრულების შემდეგ – მას შემდეგ, რაც დასრულდა მათ მიერ ფაქტობრივი ცოდნის შესწავლა და შესრულდა შემაჯამებელი პროექტი; ხოლო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით საკითხის სწავლების პროცესში, მოსწავლეებმა იმუშავეს კომპლექსური დავალებების ფარგლებში პირობის შესაბამისად, კერძოდ:

### **დავალება 1.**

შექმენით ნარატივი, თუ რამ განაპირობა ჯავახეთის დაცული ტერიტორიის შექმნა.

ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- ჯავახეთის დაცული ტერიტორიის შექმნის მიზეზები და შედეგები;
- თქვენი ვარაუდი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ჯავახეთის დაცული ტერიტორია მომავალში;
- ცხოვრების პოზიცია – მოგწონთ თუ არა ჯავახეთში ცხოვრება და რატომ.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

კვლევის თითოეულ ეტაპზე (საკითხის დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა.შ.) რა აქტივობები განახორციელეთ.

### **დავალება 2.**

იმოგზაურე დროში ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე და შეარჩიე შენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ადგილი, უამბე მის შესახებ შენს მეგობრებს, გაუზიარე შთაბეჭდილებები; დაასათაურე ამბავი, წარმოადგინე გრაფიკულად, გააფორმე ილუსტრაციებით.

### **დავალება 3.**

გაითამაშეთ როლური თამაში ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შესახებ და თქვენი პასუხი წარმოადგინეთ კომიქსების სახით.

კომიქსში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

ჯავახეთის ზეგანზე ადამიანის საქმიანობის გავლენა.

მოსწავლეებმა შეძლეს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება (ბუნ.VI.1.). შედეგების ამსახველი ილუსტრაციების მიხედვით მოსწავლეებმა იმსჯელეს რელიეფის შესახებ, განასხვავეს ბუნებრივი მოვლენებით და ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ცვლილებები, იმსჯელეს ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობის შესახებ.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა ასევე იმსჯელეს ბუნებრივი ფაქტორებითა და ადამიანის მოქმედებით გამოწვეულ პროცესებზე. საკითხთან დაკავშირებით გამოთქვეს ვარაუდი ჯავახეთის დაცულ ტერიტორიაზე სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის - მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, გვალვა, ვულკანი, ხანძარი - ახლო და შორეული შედეგების შესახებ („ბუნ.VI.8. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმელეთის რელიეფის ცვლილებაში ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის როლზე მსჯელობა“) (2, თავი XXIV. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - წლიური პროგრამები კლასების მიხედვით, მუხლი 88).

**დასკვნები:** ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, პროექტებით სწავლების პროცესში, მოსწავლეებს განუვითარდათ საგნობრივი კომპეტენცია, მაღალი სააზროვნო უნარები და ოცდამეერთე საუკუნის ადამიანისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მაგრამ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კომპლექსურ დავალებებზე მუშაობამ მოსწავლეებს შესაძლებლობა მისცა ერთი თემის ირგვლივ კომპლექსურად შეესრულებინათ რამდენიმე სახის დავალება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ორივე სასწავლო წელს ჩვენმა მუშაობამ აჩვენა მეექვსეკლასელ მოსწავლეთა მიერ საკითხის - ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შესწავლა და მეტიც, მათი სამცხე-ჯავახეთის რეგიონით დაინტერესება. მოსწავლეებმა შემდგომ პერიოდში რეგიონის მრავალმხრივ შესწავლის სურვილი გამოთქვეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა მშობლებმა სასწავლო პროცესში ჩართულობის სურვილი გამოთქვეს და მეტად დაინახეს მათი როლი ამ პროცესში.

ჩვენ მიერ განხილული სასკოლო განათლებაში მიმდინარე ზოგიერთი ცვლილება პოზიტიურად განაწყობს მოსწავლეებს

სწავლისადმი, ზრდის მათ დაინტერესებას საკითხით და ამზადებს ცხოვრებისთვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

აზდლ – ახალციხის ზონალურ დიაგნოსტიკური ლაბორატორია, <http://www.lma.gov.ge/Ge/RegionalLaboratories>;

<https://sla.gov.ge/Ge/RegionalLaboratories>

ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016; 2018-

2024<http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016>;

<http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damkitsda-2016-tsels>

დაცული ტერიტორიების სააგენტო - ჯავახეთის დაცული ტერიტორიები <https://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/djavaxetis-daculi-teritoriebis-administracia>

პროექტებით სწავლება, <http://tpdc.ge/essentials/>

სამცხე-ჯავახეთი (ვიდეორგოლი)

<http://www.myvideo.ge/v/560980>

ჯავახეთი (ვიდეორგოლი) <http://www.myvideo.ge/v/1152868>

ჯავახეთის დაცული ტერიტორიები (ვიდეორგოლი),

<https://www.youtube.com/watch?v=35v9AGuFHJc>

<https://drive.google.com/drive/folders/1Nwy8pMVFawNzuH2SsBvobO1smqOg47xj> (პტოექტის გეგმა)

## შინაარსი

### ენათმეცნიერება, ონომასტიკა

#### *იგორ კეკელია*

ტოპონიმი ჯგერელია//ჯგირელია და ქრისტიანული  
ღვთისმსახურების ენა ადრეული შუა საუკუნეების  
დასავლეთ საქართველოში ..... 5

#### *ჟანა ხაჩატურიანი*

ბრუნება სომხურში და მისი სამეცნიერო შეფასება ..... 25

#### *ჟანა ხაჩატურიანი*

ბრუნვის ფორმათა შესაბამისობის პრობლემა ქართულსა  
და სომხურ ენებში ..... 46

### ლიტერატურათმცოდნეობა

#### *მაყვალა დავითაძე*

შამილის სახე აკაკი გაწერელის პროზაში ..... 57

#### *ეკა დულაშვილი*

ეფთვიმე მთაწმინდელის ხსენება ბერძნულ  
ეორტოლოგიონში ..... 66

#### *ნინო მეგენიშვილი, შორენა თავაძე*

ხელნაწერთა საცავების სტრუქტურულ-თემატური  
სხვადასხვაობა და ფონდების დაცვის თავისებურება ..... 85

#### *ია ლაღუა*

ნათლისა და ჯვრის სიმბოლურ სახეთა ტრანსფორმაცია  
ფერისცვალებისა და ჯვართამაღლების დღესასწაულთა  
საგალობლების მიხედვით ..... 96

### თარგმანმცოდნეობა

#### *ორინა ჯიშკარიანი, მარიანა ბალასანიანი*

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტების თარგმნის  
თავისებურებები ..... 112

ისტორიოგრაფია, ეთნოლოგია

*მედია ბურდული*

სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების დინამიკა  
ქართულ სოფელში..... 123

*თინა იველაშვილი*

მესხური საოჯახო ნივთი ფემზუმი ..... 140

განათლება

*მარეხ ნათენაძე, თეიმურაზ გვარამაძე*

სასკოლო განათლებაში მიმდინარე ზოგიერთი  
ცვლილების შესახებ ..... 151

Content

Linguistics, Onomastics

*Igor Kekelia*

TOPONYM *JGERILIA* // *JGIRELIA* AND THE LANGUAGE OF  
CHRISTIAN SERVICES AND EARLY MIDDLE CENTURIES IN THE  
WEST GEORGIA ..... 6

*Zhana Khachaturyan*

NOUN INFLECTION IN ARMENIAN LANGUAGE AND ITS  
SCIENTIFIC ASSESSMENT ..... 26

*Zhana Khachaturyan*

THE ISSUES OF INFLECTION FORM CORRESPONDENCE IN  
GEORGIAN AND ARMENIAN LANGUAGES ..... 47

Literature Studies

*Makhvala Davitadze*

THE FACE OF SHAMILIN AKAKI GATSERELIA'S PROSE ..... 58

*Eka Dughashvili*

EUTHYMOS THE HAGIORITE IN THE GREEK  
EORTOLOGION ..... 68

*Nino Megeneishvili, Shorena Thavadze*

STRUCTURAL AND THEMATIC DIFFERENCES OF MANUSCRIPTS  
REPOSITORIES AND PECULIARITIES OF FUNDS PROTECTION ..... 86



***Ia Ghadua***

FOR THE TRANSFORMATION OF SYMBOL OF THE CROSS AND  
THE LIGHT ACCORDING THE HYMNS OF TRANSFIGURATION  
AND ELEVATION OF THE CROSS .....97

**Translation Science**

***Irina Jishkariani, Mariana Balasanyan***

PECULIARITIES OF TRANSLATING OF TEXTS OF THE OFFICIAL  
BUSINESS STYLE ..... 113

**Historiography, Ethnology**

***Medea Burduli***

DYNAMIC OF THE SOCIO – ECONOMICAL CHANGES IN  
GEORGIAN VILLAGE ..... 125

***Tina Ivelashvili***

MESKHETIAN HOUSEHOLD ITEM PESHKHUMI ..... 141

**Education**

***Marekh Natenadze, Teimuraz Gvaramadze***

SOME OF THE CURRENT CHANGES IN THE SCHOOL EDUCATION ..... 153

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,  
ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78  
ელ. ფოსტა: [contact@sjuni.edu.ge](mailto:contact@sjuni.edu.ge)